# მამული

№2 (24).
2006 წლის
იანვარი







## ჯერართქმული სიმართლე «თვითმფრინავის ბიჭების» შესახებ ვიქტორ დომუხოვსკისთან საუბარში

ამერიკელი ჟურნალისტისა და მწერლის დენ ბრაუნის სენსაციური რომანი „და ვინჩის კოდი“ გამოსვლის დღიდან იქცა ათწლეულის ბესტსელერად. საიდუმლო კოდი, რომელსაც არნახული ძალაუფლების მოტანა შეუძლია, ლეონარდო და ვინჩის ქმნილებებშია დაშიფრული და მისი ამოხსნა რადიკალურად ცვლის ზოგადსაკაცობრიო ორიენტირებს. წიგნი უკვე მრავალ ენაზე ითარგმნა. რომანის შინაარსის თხრობას არ შევუდგებით, რადგან დღეიდან მკითხველი მის ქართულ ენაზე გაცნობასაც შეძლებს.

მკითხველის და ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება ამ წიგნისადმი არაერთგვაროვანია. სერიოზულად მიუთითებენ იმ საფრთხეზე, რომელიც მასშია დაშიფრული. და თუ „მამულმა“ მაინც გადაწყვიტა „და ვინჩის კოდის“ ბეჭდვა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოამზადოს საზოგადოება, რათა დენ ბრაუნის მიერ მოწოდებული თეზები არ მიიღოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად.



## და ვინჩის კოდი

დენ ბრაუნი





## რუსთაველის საქართველოში დაკარგული

ამ ნაწარმოებში ბევრი ისეთი რამის ამოკითხვა შეიძლება, რაც საკუთარ თავს უკეთ შეგვაცნობინებს. თანაც, მეჩვენება, რომ ,,ვეფხისტყაოსანი'' ჯერაც ,,წაუკითხავია''. ჯერაც არ არის გარკვეული თუ რას მოგვითხრობს აქ აღწერილი ამბები. უამრავი კითხვა მიჩნდება. პირველ ყოვლისა - ავტორის საკითხი. ეს კაცი ხომ, ფაქტობრივად, გააძევეს ქვეყნიდან და იძულებული გახდა, უცხო მიწაზე დაესრულებინა სიცოცხლე. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მის თხზულებაში მეგობრობის შესახებ, არ შეიძლება არ იყოს გარკვეული ირონია. ეს უფრო მისი სურვილია, ვიდრე რეალობა, რომელიც ძალიან შორს დგას იდეალისაგან. იგი არ ჰგავს კაცს, რომელიც ამოდენა პოემას მხოლოდ იმიტომ დაწერდა, რომ ეთქვა, მეგობრობაა მთავარიო. რაღაც სხვა სათქმელი უნდა ჰქონდეს, უფრო ღრმა, უფრო დაშიფრული... თანაც იგრძნობა რომ იმედიანია, მაჟორული. მაგრამ რატომ, რა იმალება აქ?



## გოგი ქავთარაძე:

ბევრი რეჟისორი ეცადა, კინოში გამოვეყენებინე როგორც ,,ქორწილის'' გმირი, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი!



## ვის ხელშია ბედი ჩვენი, ვისაში?

## გიორგი შენგელაია:

ასეთივე რიდითა და მოკრძალებით ვაჩუქებდი ქორწინების ბეჭედს წესიერ, პატიოსან ქალს, როგორიც ფილმშია. თუ დააკვირდით, ჩემი გმირი უხერხულად ისვამს ხოლმე ქოჩორზე ხელს. მეც ასეთივე ჩვევა მქონდა, ამ ჟესტით მორიდებას გამოვხატავდი...

# ვის ხელშია ბედი ჩვენი, ვისაში?

ეს წერილი ამ ექვსიოდე თვის წინათ გამოქვეყნდა...
რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მაშინ ნათქვამი ეს სიტყვები სულაც არ იყო ხმამაღლად ნათქვამი.
არადა, გაზეთის გამოსვლისთანავე უამრავი სატელეფონო თავდასხმის ობიექტი გავხდი... აქაც და იქაც... შეაწუხეს ჩემი ოჯახის წევრებიც და ხოდა, იმათმა მე შემაწუხეს...
ბევრი მირეკავდა და "თავხედობაში" მდებდა ბრალს, აქაოდა პრეზიდენტს "ჩიტირეკია" როგორ დაუძახეო... თითზე ჩამოსათვლელნი თუ რეკავდნენ და ადამიანურად გვერდში დგომას მპირდებოდნენ...
მოვიდა ეს ახალი წელიც. ბევრმა გაიხსენა ეს წერილი და პირად საუბრებში აღიარეს, რომ მართალი ვყოფილვარ...
აღიარებაც გმირობაა! გმადლობთ გმირებო!



**პროლოგი, ანუ მერამდენედ მოტყუებული ხალხი**

როდესაც ვიღაც უცხოელი ყურმოკვრით მაინც მოისმენს „ნარევოლუციებ" საქართველოსა და მისი „რევოლუციური" ხელისუფლების შესახებ ისეთ ანალოგიურ გულისწყრომას, როგორი პრეტენზიებითაც უყურებენ თვით „რევოლუციონერები" პენსიაზე გაგდებულ ხელისუფლებას, თავისთავად გაორდება ამ უცხოელის შთაბეჭდილება ჩვენზე. ერთის მხრივ - ადვილი შესაძლებელია უნდობლობით მოეკიდოს იმ პოზიციას, ასე-რიგად რომ ჩასჭიდებია ოპოზიცია არსებული ხელისუფლების განკითხვისას. მოსალოდნელია მათი გამოსვლები ჩაითვალოს კარგად ნაცად ხრიკად ხელისუფლებაში მოსასვლელად. მეორეს მხრივ კი - უეჭველია, წარმოდგენა წაუხდება „რევოლუციურ" მთავრობაზე, რადგან რა მეთოდითაც მოღვაწეობდა მისი წინამორბედი, ის მეთოდი განამტკიცეს, გააძლიერეს და არა აღმოფხვრეს. ისინიც ხომ ისეთივე სიტყვებით ებრძოდნენ „ძლიერთა ამა ქვეყნისათას", როგორითაც ებრძვიან მას. ერთია მხოლოდ, რომ გაბითურებულია და გაბრიყვებულია მხოლოდ ხალხი. რაც შეეხება ხალხს -

ხალხი ეს-ეს იყო გამოვიდა კომუნისტური საბჭოური აზროვნებიდან, რომ თავს ახლა ახალი უბედურება დაატყდა - შევარდნაძის (თორმეტწლიანი) მეორედმოსვლა. საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება თავისი სისასტიკით მსგავსი ეპოქა, რომელიც გადატვირთულიყო დამარცხებით, დაცინვით, შიმშილით, სიკვდილით, გადახვეწით, გაუდაბურებით და სხვა მრავალით. მაგრამ ყველაზე მძიმე, შეიძლება ითქვას ერთადერთი უმძიმესი და მიუტევებელი დანაშაული შევარდნაძის მეორედმოსვლის ეპოქას მიუძღვის მასში, რომ ქართველ კაცს გონებაში ჩაუნერგა დამარცხების ინსტიქტი, ე.ი. მამაკაცს ჩამოართვა მამაკაცობა - ოჯახის მარჩენალის ფუნქცია და ამით ქართულ ოჯახს არასრულფასოვნება შესძინა. ერი სულმოუთქმელად ელოდა პირდაპირი მნიშვნელობით მოხუცი ტირანის სიკვდილს...

> ჩვენისთანა ბედნიერი
> განა არის სადმე ერი?!
> მტვერწაყრილი,
> თავდახრილი,
> ყოვლადუქმი, უდიერი;
> უზღუდონი,
> გზამრუდონი,
> არგამტანი და ცბიერი;
> მტრის არმცნობი,
> მოყვრის მგმობი,
> გარეთ მხდალი, შინ
> ძლიერი;
> არ რის მქონე,
> არ რის მცოდნე,
> უზრუნველი და მშიერი.
> ილია ჭავჭავაძე

ერის რეპუტაციაც უცხოელის თვალში დაეცა, მან არ იცის და არც ეცოდინება კარგა ხანი ქართველი ერის პოტენციალის შესახებ. მიტომაცაა, რომ ჩვენი ღირსება შელახულია თვით უცხოელებისგან - ერთნაირი ავტოავარიის შემთხვევაში საქართველოში უცხოელი იმუნიტეტით სარგებლობს და საბოლოოდ მიიპარება ამ „ველური" ქვეყნიდან, ხოლო იგივე შეთხვევისას ქართველ დიპლომატს უცხოეთში იმუნიტეტს უხსნიან და კარგა ხნით აპატიმრებენ, ასევე მოხდა თურქეთშიც, ფეხბურთელ ბავშვთა შეჯიბრის დროს, და რომ არა სახელმწიფოთა დონეზე ამ საკითხის გადაწყვეტა, ვინ იცის რამდენი ხნით მოუწევდა ქართველ ბავშვებს ოსმალეთის ციხეში გატარება.

ამიტომაცაა, რომ გროშებზე იყიდება ქართველი მუშახელი, როდესაც სხვისთვის იგივე სამუშაო მაღალანაზღაურებადია; ამიტომაცაა, რომ ჩვენგან იაფად უნდათ, როდესაც სხვისგან ძვირად იღებენ; ამიტომაცაა, რომ სადაც ქართველის სახელს გაიგონებენ, განურჩევლად ბავშვია იგი თუ ქალი, მის სიახლოვეს აუცილებლად კრიმინალის სუნი სცემთ, არის თუ არა ეს ასე, ბოდიშსაც არ იხდიან შეცდომათა შემთხვევაში. ვერც ყბადაღებულმა „რევოლუციამ" უშველა ქართველთა რეპუტაციას მსოფლიოს თვალში. აქ ანაზდად ქართული ანდაზა მახსენდება - „მგელს მგლობა დაუწუნეს და ტურამ ქვეყანა დააქციაო". მაინც და მაინც ჩვენი ნეგატივი ჩანს ყველაზე მკაფიოდ საზღვარგარეთ და ეს ბინძური პიარების დამსახურებაცაა მეტწილად.

სწორედ ხალხს თავი შეაძულა გარდასულმა ხელისუფლებამ თავისი მავნებლობით, სწორედ ამ სიძულვილით შეერთდა ერი და ბერი და დაიძრა პროტესტის გამოსახატავად სატახტო ქალაქში. ავანტიურისტმა შევარდნაძემ კი სწორედ ეს მასა გამოიყენა სათავისოდ და საკუთარი სამომავლო მიზნების განსახორციელებლად, რათა მას შემდეგ ისევ გაგრძელებულიყო ხანგრძლივი დროით შევარდნაძიზმი. ხალხი ისტორიულ გზისგასაყარზე ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე მეორედ მოტყუვდა შევარდნაძეში - პირველად მაშინ, როცა სიყვარულს ეფიცებოდნენ და ამას გადააყოლეს რუსთველის გამზირი, სამეგრელო, აფხაზეთი, სამაჩაბლო, მეორედ კი მისი სიძულვილით დაბრმავებულებმა ვერ შეიცნეს წინამძღოლში ტრიუმვირატის ნილაბქვეშ შევარდნაძის ახალი სახე. ამით საკუთარი და საკუთარი შვილების მომავალი გასახრწნელად გაწირეს.

ადრეულ წლებში თუ შევხაროდით ჩვენს ეროვნულობას და ვამბობდით „ჩვენისთანა კარგი ერი არ არსებობსო", ახლა ერთხმად შეხმატკბილებულად გავიძახით „ჩვენისთანა ცუდი ერი არ არსებობსო". ორთავე შემთხვევაში საკუთარ თავს ვიტყუებთ, რადგან პირველ შემთხვევაში საბჭოურმა ცრუფეტიშიზმმა დაგვიუფლა, მეორე შემთხვევაში კი პოსტსაბჭოურმა ცრუნიჰილიზმმა, - და მაინც „ცრუ" და არა „მართალი".

სწორედ ამ ყალბი დაპირებების გამო, რომელსაც „რევოლუციონერები" ლოზუნგებად იყენებდნენ „ვარდების როქის" დროს, ხალხში დაიკარგა ნდობის ფაქტორი ოპოზიციური გამოსვლების მიმართ. ეს მაშინ, როდესაც მიხვდა ხალხი მოტყუებულები რომ დარჩნენ, ამით შევარდნაძემ და მისმა გაზრდილმა ავანტიურისტებმა მიაღწიეს იმას, რომ ახალი მოტყუების შიშით მოსახლეობას კარგა ხნის განმავლობაში უარი ათქმევინეს საპროტესტო გამოსვლებზე. მიუხედავად ყველაფრისა, გულისწყრომა მაინც არის არსებული ხელისუფლების მიმართ. უმთავრესად, იმისათვის, რომ რისთვისაც შეიყარა ერი და ბერი, ის პრობლემები დღესაც სასიცოცხლო და აქტუალურია - ერი მასიურად შიმშილობს, ახალი ხელისუფლება კი ახლებურად წნეხავს ღვედებს და კანონის ფარგლებში აქცევს უკანონობას.

**კანონით დამკვიდრებული უკანონობა**

აშკარად დამკვიდრდა სახელმწიფო რეკეტი, რომელსაც ახორციელებს ფინანსური პოლიცია და ყველა დანარჩენი ძალოვანი სტრუქტურა. კანონმა ხელ-ფეხი გაუხსნა მათ, რათა თავიანთი შავ-ბნელი ქმედება განამტკიცონ სამართლებრივი ფორმით. თუ „რევოლუციამდე" მეწარმეობა იბეგრებოდა კოლოსალური პროცენტებით, (ამიტომ ყველას ჰქონდა საშუალება დაემალა სახელმწიფოსთვის უსამართლოდ დადებული ბეგარა, ე.ი. ბიზნესი გადასულიყო ქურდობის რელსებზე და ამით გაეტანა თავი, თანაც მოეღწია დღემდე), „რევოლუციის" შემდეგ გადასახადთა რაოდენობა მართალია შემცირდა, მაგრამ გაიზარდა ტერორი მასზე. გარემოებათა მსხვერპლი ახალმა დროებამ არ დაინდო და ძველი ცოდვები მოჰკითხა, ცოდვები, რომელთა შეცოდებაც მათი იძულებითი ნაბიჯი იყო.

მძიმე საზიდარი და ხვედრი ერგო წილად ქართველ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს, ზოგადად ხალხს. უმრავლესობა ქვეყანაში ვითომპროლეტარიატად იქცა. სახელმწიფოსა და უცხოეთის შემწეობების შემყურე ბრბო უწყინრად და უჩივრად მიაქანებდა დროს გარდაუვალი ფინალისაკენ. სამწუხაროდ ფინალი არ შედგა. თუ დაიწერა ტიტრები და ტიტრებმა ამცნო ხალხს რაღაცის დამთავრება, აუცილებლად განახლდა შევარდნაძიზმის მეორე სერია, რომლის დასასრულობასაც პირი არ უჩანს.

ისევ გაოგნდა ხალხი თავისი რბევის გამო და ისევ განაგრძო ქედდადრეკილი ცხოვრება.

ქვეყნის სათავეში მოვიდნენ უმწიფარი და გაუნათლებელი ადამიანები თინეიჯერული გატაცებითა და სულისკვეთებით. მოწყალე თვალებით შეჩერებიან ევრო-ამერიკის დირექტივებსა და ინსტრუქციებს. უმეტეს შემთხვევაში მათი რჩევებიც კი არ არის ყურადღებული. სასამართლო და პროკურატურა ისევ აგრესიული უმრავლესობის გავლენის სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფო დაკვეთებსაც წარჩინებით ასრულებენ ისინი, განურჩევლად იმისა, არის თუ არა სამართლიანი ეს დაკვეთა. გაურკვეველი ვადით შეჩერდა კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს მოღვაწეობა, რამაც სახელმწიფოს უსამართლობა დაადასტურა და ამით ფინანსური ზარალი მიაყენა ჯიბეგასქელებულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც იკვებებოდნენ მეწარმეებისაგან რეკეტირებით შევსებული ბიუჯეტით...

უსუსური მდგომარეობაა კულტურასა და ხელოვნების სფეროში. აქ ჰყვავის უმეცრება, ღირსეული კი ჩრდილშია მოქცეული, დახლები და ესტრადა გაივსო მდარე პროდუქციით. რაც იყო, ისიც აღარ არის. გაუქმდა ქართული ფილმის ფენომენი, მაშინ, როდესაც მავანი და მავანი ცდილობს პირდაპირ დავით აღმაშენებელზე გადაიღოს ფილმი. რა სცენარით, რა რეჟისურით ამას არ აკონკრეტებენ. ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა ეკონომიურად, არც იმის კომფორტი გვქონდა ერთხელ გადაღებული ფილმი რამდენჯერვე სხვადასხვა ვერსიებით გადაგვეღო. ჩვენი თაობები ერთხელ გადაღებული „გიორგი სააკაძით", „დიდოსტატის მარჯვენით", „დათა თუთაშხიათი" იზრდებოდა, არ გვქონდა რა საშუალება გამოგვესწორებინა ხარვეზები და დაგვეხვეწა, შეგვევსო და გაგვემდიდრებინა კინოხელოვნების გამოცდილება. ეს ყველაფერი საბჭოურ ეპოქაში თუ ხდებოდა, სადაც დაფინანსების სისტემა დედამიწის მეექვსედ ნაწილზე ვრცელდებოდა მეტ-ნაკლებად.

მარტო დარჩენილი პატარა ერი, საკუთარი ფინანსებისა და შემწეობების შემხედვარე დავით აღმაშენებელზე რომ გადავაღებინებთ ფილმს მოწვეულ რეჟისორსა და მსახიობებს თავისი სპეცეფექტებით, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, ქართული სული, დავითიან-გორგასლიანი სული შენარჩუნებული ექნება კინოპერსონაჟს, თუ გვსურს წმინდა მეფე-ხუცესი ვაქციოთ სუპერ-ბოევიკად და კოვბოური სულისკვეთება მივმადლოთ?!

- რამდენი ათწლეული უნდა გავიდეს, თუ არა ასწლეული, რომ ეს გამოუსწორებელი შეცდომა აღმოვფხვრათ თაობებში, და მაინც იმ თაობებში, რომელიც წიგნს არ კითხულობს და კომპიუტერებით აქვს დაკნინებული თავი.

ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ამერიკელი, თუნდაც ევროპელი ვერ გადაიღებს! ყოველ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებში ბევრი ხარვეზის მიუხედავად, საუკეთესოდ თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი ქართული სულიერება, ეროვნული ინდივიდუალობა, რადგან მიუხედავად საბჭოური მენტალიტეტისა, ქართველები იყვნენ ბუნებით, წარმომავლობითა და შინაგანი რწმენით ქართველები...

ნდობის ფაქტორი თავისთავად ნაკლებია ამ „რევოლუციური" „მწერლების" მიმართაც. მაშინ როცა სრულიად უმსგავსო და უხამსო ნოველა დაბეჭდა თამარ მეფის პირველ ღამეზე „რევოლუციური" მწერლობის პათეტიკურმა წარმომადგენელმა, ჩვენ მოვითმინეთ მისგან ეს ბეცური საქციელი, მაგრამ ვაი, რომ ეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკად იქცა - ტოტალური გაუნათლებლობა ქვეყანაში!

> ჩვენისთანა ბედნიერი
> განა არის სადმე ერი?!
> ყველა უნჯი,
> ყველა მუნჯი,
> გულჩვილი და ლმობიერი;
> თვალაბმული,
> თავაკრული,
> პირს ლაგამი ზომიერი;
> ყველა ყრუი,
> ყველა ცრუი,
> ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
> მცირე, დიდი,
> ყველა ფლიდი,
> ცუღლუტი და მანკიერი.
> ილია ჭავჭავაძე

ALMA Mater - დედა უნივერსიტეტი, რის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი ოცნებობდა, - ცოდნის ტაძარი ცოდვის ტაძრად იქცა. თუ შევარდნაძის დროს მეცნიერება თვითდინებაზე იყო მიშვებული და აყვავებას განიცდიდა წითელი პროფესურა, სააკაშვილის დროს ცოცხით ხვეტავენ განურჩევლად წითელსა თუ ყვითელ, ცისფერსა თუ შავ პროფესურას. ქვეყნის პირველი საგანმანათლებლო ცენტრი დაექვემდებარა ერთ კონკრეტულ პიროვნებას. „რევოლუციის" მეორევე დღეს თავხედი და გაუზრდელი „კმარელები" შეუსიეს, ეგონათ როგორც ექსპრეზიდენტს „მოერიენ" იოლად, აქაც ასევე იოლად დაამყარებდნენ წესრიგს, - მადა ჭამაში მოდისო, ისე იყვნენ აცეტებული „გამარჯვებით" თავბრუდახვეულები.

სამაგიეროდ, პირველი ალიყურის გაკვეთილები კარგად დაისწავლა შევარდნაძის ტრიუმვირატმა და ციხეც შიგნიდან გატეხეს. გაივსო საქართველო მოვალეობის შემსრულებლებით, მოვალეობას კი არავინ ასრულებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადვილად შესაძლებელი გახდა რამდენიმე შეკრებილი კასტის მიერ მოწყობილი უსამართლო აქციებისა და გაფიცვების შედეგად კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა. ასე რომ, ვისაც მოესურვება და თვალში არ მოეწონება ლეგიტიმური ხელისუფლება, დაჯდებიან საშიმშილოდ, მოიტანენ ყურით მოთრეულ არგუმენტებს მათი კომპრომატების სახით და მოითხოვენ

**დასარული მე-9 გვ-ზე**

## გაიოზ კერატიშვილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

*მუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას*

# სახარება მათესი

*დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17, 22–23.*

## თავი 18

**1.** მას ჟამსა შინა მოვიდნენ იესოსთან მოწაფენი და უთხრეს: ვინ უფრო დიდი იქნება სასუფეველსა ცათასა?

**2.** და დაუძახა იესომ ყრმასა და დააყენა მათ შორის

**3.** და უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, უკეთუ არ მოიქცეთ და არ იყოთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.

**4.** რამეთუ, რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაი ესე, იგი უფროის იყოს სასუფეველსა ცათასა.

**5.** და რომელმან შეიწყნაროს ამნაირი ერთი ყრმა სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს.

**6.** და რომელმან დააბრკოლოს ერთი ამ პატარათაგანი ჩემდამი მორწმუნე, უმჯობესია მისთვის, ჩამოიკიდოს კისერზე ვირით[1] საბრუნი წისქვილის ქვა და ჩაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა.

**7.** ვაი ქვეყანასა ამას საცდურთა ამათგან, რამეთუ უნებლიედაც მოდიან საცდურნი, მაგრამ ვაი იმ კაცისა, რომლისაგანაც გამოვა მაცდურება.

**8.** უკეთუ ხელი შენი ან ფეხი შენი გაცდუნებდეს, მოიკვეთე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა კოჭლი შეხვიდე ცხოვრებაში გინდა უხელო, ვიდრე ორივე ხელი და ორივე ფეხი ზედა გქონდეს და ჩავარდე ცეცხლსა მას საუკუნესა.

**9.** და უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთი თვალით შეხვიდე ცხოვრებაში, ვიდრე ორთავე თვალთა ქონა და ჩაგდება გეენიასა ცეცხლისასა.

**10.** გაფრთხილდით, არსად არ შეურაცხყოთ ერთი პატარა ამათგანი. გეუბნებით თქვენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა.

**11.** რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მხსნელად წარწყმედულთა.

**12.** როგორა გგონიათ თქვენ, კაცსა რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და გზას ასცდეს ერთი იმათგანი, განა არ მიატოვებს მთებში ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა და არ მოიძიებს იმ გზააბნეულს?

**13.** და რაჟამს იპოვის, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, უმეტეს გაიხარებს მასზე, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტზე, რომელთაც გზა არ აბნევიათ.

**14.** ასევე არ არის სურვილი მამისა თქვენისა ზეცათაისა, რათა დაიკარგოს ერთი პატარა ამათგანი.

**15.** ხოლო უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიდი და ამხილე, რაჟამს შენ და იგი მარტონი იქნებით. უკეთუ ისმინოს შენი, დაგბრუნებია ძმა იგი შენი.

**16.** ხოლო უკეთუ არა ისმინოს, წაიყვანე შენთან ერთად ერთი ან ორი სხვა ვინმე, რათა პირითა ორისა და სამისა მოწმისაითა დამტკიცდეს ყოველი სიტყვა.

**17.** ხოლო უკეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა[2]; ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყოს იგი შენთვის, ვითარცა მეზვერე და წარმართი.

**18.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაოდენი შეჰკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა. და რაოდენი გაჰხსნათ ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.

**19.** კვლავ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკეთუ ორი თქვენთაგანი შეთანხმდეს და ერთად ითხოვონ ყოვლისა საქმისა ქვეყანასა ზედა, მიეცეთ მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაისა.

**20.** რამეთუ სადაც იყვნენ ორნი გინდა სამნი სახელითა ჩემითა შეკრებილნი, მეც იქ ვარ მათ შორის.

**21.** მაშინ მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: უფალო, რამდენგზის მივუტევო ძმასა ჩემსა უკეთუ წინააღმდეგ ჩემსა შესცოდოს? შვიდგზისა?

**22.** უთხრა მას იესომ: მე გეუბნები შენ არა შვიდგზის, არამედ სამოცდაათს შვიდგზის.

**23.** ამისთვის ემსგავსა სასუფეველი ცათაი კაცსა მეფესა, რომელმაც ინება გასწორება ანგარიშისა მსახურთა თვისთა თანა.

**24.** და ვითარცა დაიწყო ანგარიში, წარმოუდგინეს მას ერთი, რომელსაც ათი ათასი ტალანტი[3] ემართა.

**25.** და რამეთუ არარაი გააჩნდა მას, რათა გადაეხადა, ბრძანა მეფემან მისმან გაყიდვა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა და რაც კი რამ გააჩნდა, რომ გადაეხადა.

**26.** და დაემხო მსახური იგი და თაყვანსცემდა და ეუბნებოდა: სულგრძელი იქმენ ჩემ ზედა მეფეო, და ყოველივეს გადაგიხდი შენ.

**27.** შეებრალა მეფესა მსახური იგი, და გაუშვა და ვალიც აპატია მისი.

**28.** და ვითარცა წამოვიდა იქიდან მსახური იგი, შეხვდა ერთი თავისი თანა მსახური, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, დაიჭირა, წაუჭირა ყელში და უთხრა: გადამიხადე რაცა გმართებს.

**29.** ჩაუვარდა მუხლებში ამხანაგი იგი და ევედრებოდა და ეუბნებოდა: სულგრძელი იქენ ჩემ ზედა და ყოველივეს გადაგიხდი შენ.

**30.** ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წავიდა და შეაგდო საპყრობილეში, სანამ არ გადაუხდიდა ვალს.

**31.** ხოლო იხილეს რა თანამსახურთა საქმე ესე, შეწუხდნენ ფრიად და მივიდნენ და აუწყეს თავიანთ მეფეს ყოველივე რაიცა იქმნა.

**32.** მაშინ მოუხმო მას მეფემან მისმან და უთხრა მას: მსახურო ბოროტო! გაპატიე მთელი შენი ვალები, რამეთუ მევედრებოდი მე.

**33.** არა ჯერ იყო შენთვისაც, რათა შეგეწყალებინა შენი თანამსახური, ვითარცა მე შენ შეგიწყალე?

**34.** და განურისხდა მეუფე იგი და მტანჯველებს მისცა ხელში, სანამ არ გადაიხდიდა მთელ თავის ვალებს.

**35.** ასევე მამამან ჩემმან ზეცათამან დაგმართოთ თქვენ, უკეთუ არა მიუტევოთ თითოეულმა თქვენთაგანმა ყოვლითა გულითა ძმასა თვისსა შეცოდებანი მათნი.


იესო ქრისტე ზღვის სანაპიროზე

## თავი 19

**1.** და ვითარცა დაასრულა იესომ სიტყვანი ესე, წარვიდა გალილეიდან და მივიდა იუდეას საზღვრებში იორდანეს გაღმა.

**2.** და მისდევდა მას დიდძალი ხალხი და განკურნა იქ.

**3.** მაშინ მივიდნენ მასთან ფარისეველნი და გამოსცდიდნენ და ეუბნებოდნენ: უკეთუ ჯერ არს კაცისა მიერ გაშვება თავისი ცოლისა ყოველგვარი მიზეზით?

**4.** ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მათ: არ ამოგიკითხავთ, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი?

**5.** და თქვა: ამიტომ დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეერთოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორივენი ერთ ხორცად.

**6.** რამეთუ არიან უკვე არა ორ, არამედ ერთხორცად. ამისთვის, რომელნიც ღმერთმა შეაუღლა, კაცნი ნუ განაშორებენ.

**7.** ხოლო მათ უთხრეს მას: რაისთვისღა ამცნო მოსემ წიგნისა განტევებისა მიცემა და გაშვება?

**8.** მიუგო იესომ და უთხრა მათ: რამეთუ მოსემ გულფიცხელობისა თქვენისა გამო დაგრთოთ ნება თქვენი ცოლების გაშვებისა, მაგრამ დასაბამიდან ეგრე არ ყოფილა.

**9.** ხოლო მე გეუბნებით თქვენ, რამეთუ რომელმან გაუშვას ცოლი თვისი გარეშე სიძვისა მიზეზისა და სხვა შეირთოს, მრუშობს: და რომელმან განშორებული შეირთოს, ისიცა მრუშობს.

**10.** უთხრეს მას მისმა მოწაფეებმა: უკეთუ კაცსა ამდენი ბრალი დაედება დედაკაცისა თანა, უმჯობეს არს აღარ იქორწინოს.

**11.** უთხრა მათ იესომ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყვაი ესე, არამედ რომელთაც მიცემულ არს.

**12.** რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნიც მუცლიდან დედისა თვისისა საჭურისნი იშვნენ; და არიან საჭურისნი, რომელნიც კაცთაგან გამოსაჭურისდნენ. და არიან საჭურისნი, რომელთაც გამოისაჭურისეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის ცათასა. ვინც შემძლებელ არს დატევნისა, დაიტიოს.

**13.** მაშინ მოჰგვარეს მას ყრმანი, რათა ხელი დაედო მათზე და ეკურთხებინა იგინი, ხოლო მოწაფენი უწყრებოდნენ მათ.

**14.** ხოლო იესომ უთხრა მათ: აცალეთ ყრმებსა მაგათ ჩემთან მოსვლა და ნუ აყოვნებთ, რამეთუ ამგვართა არის სასუფეველი ცათა.

**15.** და დაასხნა მათ ზედა ხელნი და ვითარცა წარვიდა იქიდან,

**16.** აჰა, მოვიდა მასთან ვიღაცა და უთხრა: მოძღვარო სახიერო! რა სიკეთე ვქმნა, რათა მქონდეს ცხოვრება საუკუნო?

**17.** ხოლო იესომ უთხრა მას: რატომ მომმართავ მე სახიერად? არავინ არის სახიერი, ერთი ღმერთის გარდა. ხოლო უკეთუ გნებავს ცხოვრებასა შესვლა, დაიცავი მცნებანი.

**18.** უთხრა მას: რომელნი? ხოლო იესომ უთხრა მას, რამეთუ: არა კაც ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო.

**19.** პატივი-ეც მამას შენსა და დედასა შენსა და შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

**20.** უთხრა მას ჭაბუკმან: ყოველივე ესე შემისრულებია სიყრმით ჩემითგან. რაღა მაკლია მე?

**21.** უთხრა მას იესომ: უკეთუ გსურს, რათა სრულ იყო, წადი და გაყიდე შენი მონაგები და მიეც გლახაკებს და გქონდეს საუნჯე ცათა შინა და მოდი და შემომიდექ მე.

**22.** და ვითარცა ესმა სიტყვაი ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარი ფრიად.

**23.** ხოლო იესომ უთხრა მოწაფეთა თვისთა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რამეთუ მდიდარი ძნელად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.

**24.** და ამასაც გეუბნებით თქვენ: უადვილეს არს აქლემი ნემსის ყუნწში გავიდეს, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ცათასა შევიდეს.

**25.** ვითარცა ესმათ ესე მოწაფეთა მისთა, გაკვირვებულიყვნენ ძლიერ და ამბობდნენ: აბა, ვიღას შეუძლია ცხონება?

**26.** გაჰხედა იესომ და უთხრა მათ: კაცთაგან შეუძლებელი არს ესე, ხოლო ღვთის მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

**27.** მაშინ მიუგო პეტრემ და უთხრა მას: აჰა, ესერა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შემოგიდექით შენ: რა გვექნება ჩვენ?

**28.** ხოლო იესომ უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რამეთუ რომელნიც შემომიდექით მე, მომავალსა მას შობასა, რაჟამს დაჯდება ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა, ერთად დაჰსხდეთ თქვენც თორმეტთა საყდართა, განსასჯელად თორმეტთა ტომთა ისრაელისათა.

**29.** და ყოველმან, რომელმან მიატოვა სახლი, გინდა ძმანი ან დანი, ან მამა ან დედა, ან ცოლი, ან შვილი, ან ადგილი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს.

**30.** რამეთუ მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა, და უკანანი წინა.

## თავი 20

**1.** რამეთუ მსგავსი არს სასუფეველი ცათაი კაცსა სახლისა პატრონისა, რომელიც განთიადისას გავიდა მუშაკთა დასაქირავებლად თავის ვენახში სამუშაოდ.

**2.** და გაურიგდა მათ გასამრჯელოდ თვითოეულს ერთი დინარი დღეში და წარავლინნა იგინი ვენახსა თვისსა.

**3.** და გავიდა ჟამსა მესამესა და ნახა სხვებიც უბანში უქმად მდგომარენი,

**4.** და უთხრა მათ: წარვედით თქვენცა ვენახსა ჩემსა და რაც სამართალია გადაგიხდით.

**5.** ხოლო ისინი წარვიდნენ. და მერმე გავიდა მეექვსესა და მეცხრე ჟამზე და ასევე გააკეთა.

**6.** ხოლო მეთერთმეტესა ჟამსა გავიდა და ნახა სხვა მდგომარენი და უთხრა მათ: რას დამდგარხართ აქა მთელი დღე უქმად?

**7.** ხოლო მათ უთხრეს მას რამეთუ: არავინ დაგვიქირავაო ჩვენ. და უთხრა მათ: წარვედით თქვენცა ვენახსა ჩემსა და, რაც სამართალია გადაგიხდით.

**8.** და ვითარცა შემწუხრდა, უთხრა ვენახის პატრონმა ეზოის მოძღვარსა თვისსა: დაუძახე მუშაკთა და მიეცი გასამრჯელო; დაიწყე ბოლოდან და ჩადი პირველამდე.

**9.** მოვიდნენ მეთერთმეტე ჟამისანი და მიიღეს თითო დინარი.

**10.** მოვიდნენ პირველისანიცა იგი და ეგონათ, რამეთუ მეტს მიიღებდნენ, და მიიღეს იმათაც თითო დინარი.

**11.** და როცა მიიღეს, უსაყვედურეს სახლის პატრონს

**12.** და უთხრეს რამეთუ: უკანასკნელებმა ერთი ჟამი დაჰყვეს და ჩვენ გაგვითანაბრეთ, რომლებმაც მთელი დღის სიმძიმე და სიცხე ვიტვირთეთო.

**13.** ხოლო მან მიუგო ერთსა იმათთაგანს და უთხრა: მოყვასო, არაფერში მომიტყუებიხარ, განა ერთი დინარი არ დაგპირდი შენ?

**14.** მიიღე შენი და გაემართე. ხოლო მე მინდა ამ უკანასკნელსაც იმდენი მივცე, რამდენიც შენ.

**15.** ნუთუ არა მაქვს ნება მოვიქცე ისე, როგორც მე მინდა? შენი თვალი თუ ბოროტია, მე კეთილი ვარ.

**16.** ესრეთ იქნებიან წინანი უკან, და უკანანი წინ, რამეთუ მრავალნი არიან წვეულნი, და ცოტანი რჩეულნი.

**17.** და ვითარცა ადიოდა იესო იერუსალიმში, წარიყვანა თორმეტნი იგი მოწაფენი მარტონი და გზაში უთხრა მათ:

**18.** აჰა, ესერა, ავდივართ იერუსალიმში და ძე კაცისა მიეცეს მღვდელთმთავრებსა და მწიგნობრებს და სასიკვდილოდ დასაჯონ იგი.

**19.** და მისცენ იგი წარმართებს სალანძღველად, და სატანჯველად, და ჯვარზე საცმელად, და აღდგეს მესამესა დღესა.

**20.** მაშინ მივიდა იესოსთან ზებედეს ძეთა დედა, ძეთა მისთა თანა, თაყვანს სცემდა და რაღაცას ითხოვდა მისგან.

**21.** და ჰკითხა მას: რაი გნებავს? და უთხრა, მას: თქვი, რათა ორნი ესე ჩემნი ძენი დასხდნენ ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ სასუფეველსა შენსა.

**22.** მიუგო იესომ და უთხრა მათ: არ იცით, რას ითხოვთ. ძალგიძთ განა შესვათ სასმელი, რომელიც მე უნდა შევსვა და ნათლისღებითა რომლითა უნდა ნათელვიღო ნათელიღოთ?[4] ხოლო მათ უთხრეს: ძალგვიძს.

**23.** უთხრა მათ იესომ: სასმელი ჩემი შესვათ და ნათლისღებაი, რომელიც მე ნათელვიღო ნათელმიიღოთ. ხოლო, დაჯდომა ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ არ არის ჩემგან მისაცემი, არამედ ვისთვისაც გამზადებულ არს მამისა ჩემისა მიერ.

**24.** ვითარცა ესმათ ესე ათთა მათ, იწყინეს ორთა მათ ძმათა გამო.

**25.** ხოლო იესომ მოიხმო ისინი და უთხრა მათ: უწყით, რამეთუ მთავარნი წარმართთანი ბატონობენ მათ ზედა, და დიდებულნი მბრძანებლობენ მათზე?

**26.** ხოლო თქვენს შორის არა იყოს ეგრე, არამედ რომელსაც ჰსურდეს თქვენს შორის დიდ ყოფა, იყოს მსახური თქვენდა.

**27.** და რომელსაც უნდოდეს პირველობა თქვენს შორის, იყოს მონა იგი თქვენდა.

**28.** ვითარცა ძე კაცისა მოვიდა, რათა არა იმსახუროს ვინმე, არამედ ემსახუროს და მისცეს სული თვისი გამოსახსნელად მრავალთა.

**29.** და ვითარცა გამოდიოდნენ იერიქონიდან, მოსდევდა მას დიდძალი ხალხი.

**30.** და აჰა, ესერა, ორნი ბრმანი ისხდნენ გზასა ზედა, და ვითარცა გაიგეს, რომ იესო მოდიოდა, იძახდნენ და ამბობდნენ: შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, ძეო დავითისაო!

**31.** ხოლო ხალხი უწყრებოდა მათ, რომ გაჩუმებულიყვნენ. ისინი კი უფრო ღაღადებდნენ: შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, ძეო დავითისაო!

**32.** და შეჩერდა იესო, მოუხმო მათ და უთხრა: რაი გინდათ, რომ გაგიკეთოთ?

**33.** უთხრეს მას: უფალო, რათა თვალები აღგვეხილოს ჩვენ.

**34.** შეებრალა ისინი იესოს, და შეეხო თვალთა მათთა და მეყვსეულად აღეხილათ და გაჰყვნენ მას.

*გაგრძელება იქნება*

*1. სახარების ძველ რედაქციებში „წისქვილი ვირით საფქველი“, რაც ბერძნულ ტექსტშიაც დასტურდება („მილოს ონიკოს“), სახარების რუსულ და ახალ ქართულ თარგმანებში არ გვხვდება.*

*2. „კრებული“ სახარების რუსულ და ახალ ქართულ თარგმანებში თარგმნილია, როგორც ეკლესია.*

*3. ტალანტი: ვერცხლის ან ოქროს მონეტა.*

*4. შეკითხვა ნათლისღების შესახებ ბოლო პერიოდის ყველა ახალი ქართული თარგმანიდან — გარდა საპატრიარქოს გამოცემისა — ამოღებულია.*

მამული

# ვიქტორ დომუხოვსკი

***— ძალიან გამიჭირდა ემიგრაციაში, საშინელი დამთრგუნველი ცხოვრებაა, თავს დროებით მცხოვრებად ვთვლი და სულ იმაზე ვფიქრობ, მოვასწრებ თუ არა საქართველოში დაბრუნებას... ამას ცხოვრება არ ჰქვია, ეს არის ყოველდღიური სულიერი ტანჯვა. ჩემი საწერი მაგიდის ზემოთ ზვიადის, მერაბ კოსტავას და კონსტანტინე გამსახურდიას სურათებია. აქვეა საქართველოს რუკა, თბილისის ხედები. კომპიუტერი გავსებულია საქართველოს სურათებით, ქართული მუსიკით. მიუხედავად ჩემი პოლონური წარმომავლობისა, სულიერად ქართველი ვარ, ვფიქრობ ქართულად და როცა სხვა ენაზე ვლაპარაკობ, ვთარგმნი ქართულიდან, — თავის შესახებ ვარშავიდან მიამბობს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ვიქტორ დომუხოვსკი, რომელმაც ტუსაღობიდან გათავისუფლების შემდეგ, 7 წლის წინ პოლონეთში პოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ვიქტორ დომუხოვსკი მეტალურგიის ინსტიტუტში მუშაობდა, როცა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს დაუახლოვდა. 1989 წელს, 7 აპრილს, მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მთავრობის სახლის წინ მიმდინარე აქციაზე მივიდა შვილთან და მეგობრებთან ერთად.***



**ვიქტორ დომუხოვსკი ვარშავის ბინაში**

**ვიქტორ დომუხოვსკი**: - 9 აპრილის ღამეს იქ ვიყავი და იმან, რაც იქ ვნახე, მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა. ეს იყო ქართველების დაუვიწყარი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. რუსეთის შეიარაღებულ ჯარს შიშველი ხელებით ხალხმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ მათ თავიანთი სისხლიანი გეგმა ვერ განახორციელეს. ჩაფიქრებული ჰქონდათ ღამისმთევველთათვის ალყის შემორტყმა და მთავრობის სახლის ეზოში შეყრა, სადაც ამ ხალხის დასახვრეტად ტყვიამფრქვევები იყო მომზადებული, მათი გეგმის მიხედვით. ამით დაამტკიცებდნენ, რომ „ბრბო" შევარდა ეზოში მთავრობის სახლის შტურმით ასაღებად და, ამდენად, სისხლიც გამართლებული იქნებოდა! ეს მომენტი განგებ დამალეს სობჩაკის და სხვათა კომისიებმა. ახალგაზრდმა ბიჭებმა, მამაკაცებმა, რაგბისტებმა ალყა გაარღვიეს და გამოიყვანეს ხალხი. ქართული მილიციაც წინ დაუდგა ხალხს და არ შეუშვა მთავრობის სახლის ეზოში.

ეს ყველაფერი მე ჩემი თვალებით ვნახე. მაშინ საქართველო ერთიანი იყო, ეს იყო დაუვიწყარი დრო! ძლიერ მოვიწამლე, რუსებმა მაშინ გამოიყენეს თბილისში ქიმიური იარაღი, რომელიც პირველად ავღანეთში გამოსცადეს.

მერე იყო სახალხო ფრონტის ყრილობა, მერაბ კოსტავას სიკვდილი. 1990 წლის იანვარში ზვიად გამსახურდიას მითითებით შეიქმნა ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საიდანაც ვიყარე კენჭი 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში, გავხდი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი. ასე მივედი ჩემი ცხოვრების მთავარ საქმესთან, **1991 წლის 9 აპრილს ხელი მოვაწერე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, მონაწილეობდი აქტის მომზადებაშიც და პრეამბულაში სტრიქონნახევარი ჩემი წინადადებითაა შესული!**

**- ბატონო ვიქტორ, უზენაეს საბჭოში რომელ კომისიაში იყავით, რას საქმიანობდით...**

- იურიდიული კომისიის წევრი ვიყავი. აქტიურად ვმუშაობდი ჩემს საარჩევნო ოლქში. ბევრს დავეხმარე, ბევრს - ვერა. ჩემთან მიღებაზე ისეთი რიგები იყო, რომ მთელ დღეს ხალხთან ვმუშაობდი. ხმა გავარდა, დომუხოვსკი ყველას ეხმარებაო. იურიდიულზეც ჩავაბარე, რომ მეორე სპეციალობა მიმეღო, ისე კი, ფიზიკოსი ვარ. დავიწყე პატიმრების საკითხის კურირება და ჩემი ინიციატივით დიდი საქმე გაკეთდა, მოვამზადე **არასრულწლოვანთა ამნისტია.** ამნისტირებული პატიმრები მივიყვანეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში და იქ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გაათავისუფლა. ეს იყო ისეთი წუთი, ძველი რეპრესიული სისტემის მიერ ნატანჯმა ბავშვებმა იგრძნეს სითბო და ყურადღება. ბევრს ცრემლი მოადგა თვალებზე. საქართველოში არასრულწლოვანი პატიმარი არ დარჩა!

ამ ამნისტიის მომზადებაში დიდი დახმარება გამიწიეს შეწყალების აპარატის მუშაკმა **ლამარა სორდიამ** და არასრულწლოვანთა პროკურორმა **ნათელა ჩერქეზიამ.** ყველაზე გამოცდილი იურიდიულ კომისიაში იყო აწ გარდაცვლილი **ალე შუშანაშვილი.** პატიოსანი, ნაღდი მთიელი, არაორდინარული, უნიჭიერესი პიროვნება. პოეზიის მოყვარული და ღრმა მცოდნე, წლების განმავლობაში პირადად იძიებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას!

**- ბატონო ვიქტორ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ეგრეთ წოდებული თვითმფრინავის საქმის გამოძიება დაიწყო. როცა თქვენ დაინიშნეთ საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ, მაშინ პირველად გავიგე თქვენი სახელი და გვარი. რატომ მაინცდამაინც თქვენ?**

- პარლამენტის პირველივე სხდომაზე დავაყენე „თვითმფრინავის საქმეზე" **(საქმე № 201)** საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი.

თავის დროზე ჩემზე ძალიან მძაფრად იმოქმედა ტენდენციურმა სასამართლომ. მთავარი კი უდანაშაულო მამა თევდორეს დახვრეტა იყო, რომელიც საერთოდ თვითმფრინავშიც კი არ ყოფილა! ამის შესახებ ვიცოდი მისი ქალიშვილისგან, რომელიც ჩემი ნაცნობი იყო. რამდენიმე დღეში მოვამზადეთ ეს საკითხი და უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. მე დამნიშნეს თავმჯდომარედ.

**- კარგად მახსოვს, რომ თქვენი კომისია ინტენსიურად მუშაობდა ამ საქმესთან დაკავშირებით. ბევრი ახალი დეტალიც გამოააშკარავდა, მაგრამ ხელისუფლება ისე დაამხეს, უზენაესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე საბოლოოდ არ განხილულა კომისიის დასკვნა. რა გამოიძიეთ და რა დასკვნამდე მიხვედით?**

- როგორც ცნობილია, 1983 წლის 18 ნოემბერს, თბილისი-ბათუმის რეისის თვითმფრინავის საზღვარგარეთ გატაცების მცდელობა აღკვეთა იმდროინდელმა ხელისუფლებამ და ბრალდებულებს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა. წლების განმავლობაში ბევრი დაიწერა ამ თემაზე, მე ახლა მინდა, ისეთ მომენტებზე გავამახვილო ყურადღება, რაც დღემდე არ მითქვამს.

**- აქამდე რატომ არ გამოამზეურეთ, ბატონო ვიქტორ, გეშინოდათ თუ არ მოგეცათ ამისი საშუალება?**

- არა, შიში არაფერ შუაშია. როცა ის საშინელება დატრიალდა, ვგულისხმობ სამხედრო გადატრიალებას, ცოტა ხანში, შევარდნაძის უშუალო ბრძანებით, მე დამიჭირეს. ამიტომ ამ საკითხზე სასაუბროდ ჩემამდე ჟურნალისტები ვერ აღწევდნენ. სწორედ ეს უნდოდა ხუნტას, რომ ამ თემაზე სასაუბროდ ვერავის მოემართა, მე კიდევ ისეთ დღეში ჩავეგდე, გავემწარებინე, რომ ამით შური ეძია შევარდნაძეს ჩემზე.









**- რა მოხდა სინამდვილეში 1983 წლის 18 ნოემბერს? და რატომ მოხდა ეს 18 ნოემბერს?**

- ბიჭები აპირებდნენ საზღვარგარეთ წასვლას, მაგრამ არა - 18 ნოემბერს. მოხდა ისე, რომ უკრაინასა და ესტონეთში დაიჭირეს მათი ნაცნობები, რომლებთანაც საუბრობდნენ გაქცევის მარშრუტებზე. საქმეში იყო ამაზე მითითება, მაგრამ მართლა დაიჭირეს თუ ეს იყო უბრალოდ სუკ-ის წაქეზება, ვერ მოვასწარი დადგენა. ჩემი აზრით, ეს გახლდათ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი! დღეს ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს. რატომ მოხდა გაქცევა ასე მოუმზადებლად, რა ხდებოდა სინამდვილეში, ვინ წააქეზა ეს ახალგაზრდები, მეტისმეტად მნიშვნელოვანია ამის ამოხსნა. თუ კვლავ ვინმე დაინტერესდება, ჩემი თხოვნაა, ყურადღებით გამოიკვლიონ ეს დეტალები. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ყველანაირი დოკუმენტი გამქრალი ექნება შევარდნაძეს.

მე დავადგინე ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. **საქმეში გადიოდა ვინმე თევზაძე, მათი ნაცნობი, ერთ-ერთის მეზობელი. მერე კი მისი საქმე იყო ცალკე გამოყოფილი. რატომ გამოიყვანეს საქმიდან, გასაგებია, წინასწარ თანამშრომლობდა. ე.ი. ბიჭები „კონტროლის" ქვეშ იყვნენ - ეს დადგენილი იყო. სწორედ თევზაძე იყო ის პირი, ვინც სინამდვილეში აწყობდა გაქცევას, სწორედ მან გადაწყვიტა გაქცევის თარიღი და დაარწმუნა ისინი, რომ სწორედ 18 ნოემბერს იყო შესაფერისი დრო ამისათვის.**

რატომ განხორციელდა მაინც თვითმფრინავის გატაცების მცდელობა? მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სპეციალურად გაუშვეს ამ აქციაზე. არა, ამ ვერსიის დასაბუთება საქმის მასალებით არ შეიძლება. იმ დღეს ორი რეისი იყო გაერთიანებული: თბილისი-ბათუმი და თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი (რეისის ნომერი 6833), ამიტომაც გაფრინდნენ „ტუ-134"-ით, რომელზეც პილოტების კაბინა კარგად არის დაცული. ბათუმის მგზავრები ცოტა იყო და ამიტომ გაერთიანდა რეისებიო. არადა, რეისების ასეთი გაერთიანებები, მიუხედავად მგზავრების რაოდენობისა, იქამდე არ მომხდარა. და მაინც ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, თუ რა „რემბო" აღმოჩნდა „შტურმანი" გასოიანი, როდესაც „მოულოდნელად შეჭრილ" გამტაცებლებს უსწორდება: გია ტაბიძე მოკლა, სოსო წერეთელი და კახა ივერიელი კი დაჭრა? ჩემი აზრით, **რაღაცა ეტაპზე** „ჩეკისტებმა" უბრალოდ „პროზევალი" კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის ელვისებური მოქმედება და ვერ აიყვანეს აეროპორტში. ან იქნებ ქორწილში დათვრნენ?!

**- ბატონო ვიქტორ, ტაბიძეს, კ. ივერიელს და სხვებს თვითმფრინავში არ უსვრიათ? რა ხდებოდა თვითმფრინავში, ამის სრული სურათის შექმნა მოასწარით?**

- რა ჩაიდინეს თვითმფრინავში? ზუსტად დადგენილია მხოლოდ, რომ შამპანურის ბოთლი ჩაარტყეს თავში რეისის მგზავრს - დაცვის თანამშრომელი ეგონათ. **ტყუილია, რომ ტაბიძემ მას კიდევ ტყვია ესროლა თავში და რომ კიდევ სამი ტყვია ესროლა პირველ რიგში სამოქალაქო ავიაციის ფორმაში მჯდომ კაცს.** საქმეში არის ექსპერტიზა და ამოღებული ტყვია არ არის „ნაგანის" და არის ავტომატის. დაუდგენელია, ვისი ტყვიით დაიჭრა რეისის ინსპექტორი ზ.შარბათიანი, არადა, ბრალდებაში წერია, რომ მას ერთხელ ესროლა ისევ ტაბიძემ და 6-ჯერ - კახა ივერიელმა! ამ შემთხვევაში ტყვიების ექსპერტიზა არ არის გაკეთებული. საწყალი ზ.შარბათიანი სისხლისგან დაიცალა, რადგან როცა თვითმფრინავი დაჯდა თბილისში, ეკიპაჟი გაიქცა ფანჯრიდან, ეს უშველებელი, კეთილი ადამიანი, ყველას მიეხმარა გადასვლაში, თვითონ კი ვერ გაეტია. მიატოვეს და სამედიცინო დახმარებაც კი არ აღმოუჩინეს დროზე. მე ყოველთვის ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, რომ ბიჭებმა ჩაიდინეს დანაშაული, საფრთხეში ჩააგდეს 58 მგზავრის და ეკიპაჟის 7 წევრის სიცოცხლე. არ შეიძლება ამაზე ორი აზრი არსებობდეს. **„ტუ-134"-ს მალე გაუჩნდა თანამგზავრები - ორი სამხედრო გამანადგურებელი და თუ საზღვარს მიუახლოვდებოდა, ნაღდად ჩამოაგდებდნენ და „ტერორისტებს" დააბრალებდნენ!** კორეის თვითმფრინავი ხომ გახსოვთ? საერთაშორისო სკანდალს არ მოერიდნენ და არ დაინდეს, თორემ თავისას... ეს იყო მათი ტრაგიკული შეცდომა! გმირულად მოიქცა ეკიპაჟი, რომ შეძლო თვითმფრინავის თბილისში დაფრენა!

**- ფაქტია, რომ იქ ხალხი დაიღუპა, ვინ ისროდა იქ სპეცრაზმის მისვლამდე?**

- შტურმანმა გასოიანმა ინსტრუქცია დაარღვია და ასევე საფრთხეში ჩააგდო ადამიანების სიცოცხლე, როცა მან სროლა დაიწყო. ეს დაუშვებელი იყო მაშინდელი მსოფლიო სტანდარტებით და სსრკ-ს ინსტრუქციითაც.

საოცრად ვაჟკაცურად მოიქცა დათო მიქაბერიძე, იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და ერთადერთი გასროლა გააკეთა თვითმფრინავში, თავი მოიკლა. **დაჭრილ სოსო წერეთელს არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და დაკითხვაზე ცემით ამოხადეს სული.** ერთადერთი ჩვენებაა მისი საქმეში და ისეთი სიყვარულით გაჟღენთილია ბიჭების და განსაკუთრებით თ. ფეტვიაშვილის მიმართ. ცემდნენ, მაგრამ მაინც ჯიუტად იძახდა - თინამ არაფერი იცოდა ჩვენს გეგმებზეო. გია ტაბიძე კი უიღბლო ადამიანი იყო, სულ რაღაცა შარიან საქმეებში ეხვეოდა მეგობრების გამო.

როცა თვითმფრინავი უკვე დაჯდა თბილისის აეროპორტში და მიემართებოდა სადგომისკენ, ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს. **თვითმფრინავის კორპუსში აღრიცხულია ტყვიის 108 ნახვრეტი. მათგან მოკლეს სტიუარდესა, რომელიც გადმოხტა თვითმფრინავიდან.** საქმეში ნაჩვენებია, ვითომ სოსო წერეთელმა ესროლა, ბალისტიკური ექსპერტიზა კი აჩვენებს, რომ მოკლულია ჯარისკაცების მიერ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ გადარჩა მგზავრების უმრავლესობა? აეროპორტში ორი სხვადასხვა ნაწილის ჯარისკაცები იყვნენ. მათ წინააღმდეგ საქმეები ცალკე ძიებაში გამოიყო.

**- ბატონო ვიქტორ, ნუთუ არ შეიძლებოდა მათი ნებაყოფლობით ჩაბარებაზე დაყოლიება? მიიყვანეს თუ არა აეროპორტში მათი ახლობლები, ვისაც ენდობოდნენ და ვინც თავის თავზე აიღებდა ოპერაციის უსაფრთხოდ დამთავრებას?**

- ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა, რომ არ მომხდარიყო ბიჭების ნებაყოფლობითი ჩაბარება. განგებ ამწვავებდა სიტუაციას, მოსკოვიდან გამოიძახა სპეცდანიშნულების რაზმი, რუსი ჯარისკაცები უკმაყოფილობას ვერ მალავდნენ, რისთვის ჩამოგვიყვანესს, რა ჩვენი საქმეა ერთი გოგოს და ერთი ბიჭის განეიტრალება (სოსო წერეთელი და კახა ივერიელი უკვე დაჭრილები იყვნენ), ჩვენ კი გვითხრეს, რომ თვითმფრინავში 8-10 საშიში ტერორისტიაო.

ჰოდა, იმ **ტერორისტების ძებნაში მგზავრების ნახევარს ტრავმები სპეცრაზმმა მიაყენა.**

**- ვინ იძიებდა საქმეს, რატომ იყვნენ ისინი ასეთი შეუბრალებლები ახალგაზრდების მიმართ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რისთვის**

# «თვითმფრინავის ბიჭებზე»





**დახვრიტეს მამა თევდორე, დავით ჩიხლაძე, ის ხომ თვითმფრინავში საერთოდ არ ყოფილა?**

- ორი თვის დაკითხვების შემდეგ საქმეში დარჩნენ მხოლოდ ქართველი გამომძიებლები, რომლებმაც იანვრის ბოლოს დაიწყეს საქმის ახალი კუთხით „შეკერვა", **„ბანდა" სჭირდებოდათ და დაიწყეს „ბანდის" ხელმძღვანელის ძებნა.** იწყებოდა უბრალო კითხვით, - იცნობ იმას? თუ იცნობდა, ეტყოდა, ვიცნობო. რამდენიმე ცდის შემდეგ შეარჩიეს მამა თევდორე, მაგრამ, მათ უთხრეს, 6 თვე თუ მეტი არ გვინახავსო. მოკლედ, მოძებნეს მოწმე, რომელმაც დაწერა, სამი თვის წინ ვნახე მათთან ერთადო, მერე ვიღაცას დააწერინეს, ერთი თვის წინათო და ა.შ. „აღმოჩნდა", რომ ლამის აეროპორტში გააცილა?!

**1984 წლის თებერვალში აიყვანეს მამა თევდორე.** მისი დაკითხვის ოქმები ცალკე წიგნად უნდა გამოიცეს. ეს არის სულიერი ადამიანის ცხოვრების ენციკლოპედია. მე მგონი, ქართულმა ეკლესიამ ეს უნდა გააკეთოს. მსოფლიოში ვერ მოიძებნება ქვეყანა, სადაც უდანაშაულო სასულიერო პირს სასამართლოს გადაწყვეტილებით მიუსჯიან სიკვდილს იმ საქმისთვის, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია. ფაქტია, რომ **საქართველოს გენერალურმა პროკურორმა საბრალდებო დასკვნას ხელი არ მოაწერა.** საბრალდებო დასკვნას ხელი მოაწერა ვახტანგ რაზმაძემ! უსინდისოდ გაასამართლა მოსამართლე-ჯალათმა, „ტოვარიშჩ სმერტნაია კაზნ" **ბერსამიამ** (თუ არ მღალატობს მეხსიერება, სიკვდილის 27 განაჩენი აქვს გამოტანილი). 13 დღეში 20 ტომში მოგროვილი მასალა გამოიძია, მოწმეები დაკითხა...

**- ვინ იყო ადვოკატი? ვინ იცავდა ეჭვმიტანილების ინტერესებს?**

- ადვოკატი - არა, ადვოკატი პროცესზე საერთოდ არ ყოფილა. პროცესზე იყო მხოლოდ **პროკურორი,** ვინმე **იოსელიანი,** ჩამოყვანილი სპეციალურად მოსკოვიდან და ამის გამო პროცესი რუსულად ტარდებოდა, რადგან ქართული არ იცოდა. ჰო, კიდევ დარბაზი გაავსეს „ხალხით" - ესენი იყვნენ სუკ-ის თანამშრომლები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები. უამრავი დარღვევითა და პროცესუალური შეცდომით მიდიოდა სასამართლო, მაგრამ არაფერს ჰქონდა აზრი, ვინაიდან **განაჩენი თავიდანვე გამოუტანეს** ამ ახალგაზრდებს.

**- რატომ მოექცნენ ასე სასტიკად ცოცხლად გადარჩენილებს - გეგა კობახიძეს, კახა და პაატა ივერიელებს. განა, იმდროინდელი კანონმდებლობის მიხედვით, სხვა გამოსავალი არ იყო?**

- მიჭირს გეგა კობახიძესა და ძმები ივერიელების შესახებ ლაპარაკი. გინდა, არ გინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ **მათი კონკრეტული დანაშაული** მძიმეა, მაგრამ მაქსიმუმ **5-10 წლის** პატიმრობას თუ ითვალისწინებდა. ასეც მოხდა რუსეთში, როცა ოვეჩკინების ოჯახმა მართლა სისხლისღვრა მოაწყო თვითმფრინავში. ცოცხლად დარჩენილებს მიუსაჯეს 5-7 წელი (?!). მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამ იყო მთავარი.

ყველაფერი, რაც მოხდა, პირადად ედუარდ შევარდნაძის „დამსახურებაა". **არ აპატია ახალგაზრდებს პროტესტი, ეს ყველაფერი ჩათვალა პირად შეურაცხყოფად. საკუთარი კარიერის ლაქად.** უბედურებაა, რომ ასეთი სულით მახინჯი ადამიანი ამდენი წელი განაგებდა ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ბედს.

**- ბატონო ვიქტორ, თქვენ ნახეთ დაკითხვის ოქმები, გეგა კობახიძის და ივერიელების ხელით დაწერილი ჩვენებები, ამასთან დაკავშირებით ხომ არაფერი გახსენდებათ?**

- გეგა კობახიძე უნიჭიერესი პიროვნება იყო. ჩემი აზრით, **მისი სახით საქართველომ დაკარგა არამარტო დიდი მსახიობი, არამედ უდიდესი მწერალიც.** რა ენით, რა სულიერი სიმტკიცით, სინაზით, სიყვარულითაა გაჟღენთილი მისი ხელით დაწერილი ჩვენებების უმრავლესობა. დიდი დრო გავატარე მის ოჯახში, მისი დედის, ქალბატონ ნათელა მაჭავარიანის ოჯახში. იმ ბინაში ისეთი გრძნობები გეუფლება, რომ ვერც ხვდები, სად ხარ, რას აკეთებ, რაზე ფიქრობ. ხედავ მხოლოდ გეგას და თინას დიდ სიყვარულს და გიხარია, რომ მათ ასე ლამაზად უყვარდათ ერთმანეთი. გეგა არის საოცრება. რა ბედნიერია ქალბატონი ნათელა, გეგა მისი შვილი რომ იყო, და რა უბედურია, რომ ის დაკარგა. **გეგას დახვრეტით მთელმა საქართველომ დაკარგა მომავალი. იქნებ იმიტომაც გისჯებით ასე, რომ მაშინ ეს ბიჭები ვერ გადაარჩინეთ?! ეს არის უდიდესი ტრაგედია მთელი ერისთვის.**

ექვსნი იყვნენ. დიდი შეცდომა დაუშვეს და დიდ დანაშაულზე წავიდნენ. სამნი დარჩნენ. ოთხი გახადეს და იმ სამის გზას გაუყენეს! რისთვის? რატომ? მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმა უნიჭო ნაძირალამ „დილიხორი" გაისწოროს და **ნიჭიერების გენი გაანადგუროს ქართველ ხალხში.**

**ედუარდ შევარდნაძე თუნდაც მხოლოდ ამ ცოდვის გამოც კი არ უნდა დასაფლავდეს ქართულ მიწაში!!!**

**- რაც შეეხება შეწყალებას, განა შეწყალება არ შეიძლებოდა? დღემდე მაწუხებს ეს კითხვა, მათი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის რატომ არავინ გადადო თავი? ყველამ ხომ შესანიშნავად იცოდა, რომ გეგა, ივერიელები, მამა თევდორე, საზოგადოებისთვის საშიშ ძალას არ წარმოადგენდნენ?**

- ამგვარი პროცესები ერთი წელი თუ არა, ნახევარი წელი მაინც გრძელდება ხოლმე. მე შევისწავლე სტატისტიკა და არ მესმის, ასე სად ეჩქარობოდათ? 14 დღეში განაჩენის გამოტანა?! საბჭოთა კავშირის ისტორიაში ამისთანა სასამართლოს ვერ ნახავთ (1937 წლის სამეულები სასამართლო ხომ არ იყო). კარგი, 1984 წლის 13 აგვისტოს გამოტანილია განაჩენი, თანაც სიკვდილით დასჯა. 31 აგვისტოს საქართველოს სსრ-ს პრეზიდიუმი ვიქტორია სირაძის თავმჯდომარეობით სიკვდილმისჯილებს უარს ეუბნება შეწყალებაზე. 18 დღეში!!! დაუფიქრდით ამ რიცხვს - 18 დღეში! სასამართლოს მერე საქმე გახდა 24 ტომი და ამათმა ეს 24 ტომი 18 დღეში შეისწავლეს და ვერ ნახეს შესაწყალებელი არგუმენტები და უარი უთხრეს. **„კახეთის დედოფალმა" მედიკო მეზვრიშვილმა პირდაპირ მითხრა: „ასე გვითხრეს - არ უნდა შეიწყალოთო, ჯო! მე რა ვიცი, დამნაშავენი იყვნენ თუ არა. მითხრეს და ხელი მოვაწერე".** პრეზიდიუმის ყველა წევრმა დაახლოებით ასევე მიპასუხა, მხოლოდ „ჯო"-ს გარეშე.

წესით, საბუთები, მთელი საქმე უნდა გადაეგზავნათ მოსკოვში, რომ იქ ენახათ იურისტებს და თავისი რეკომენდაციები მიეცათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის. მითუმეტეს, საქმე რუსულად იყო შედგენილი, საბუთების 90 პროცენტი, რუსულად იყო. არ გადაუგზავნიათ საერთოდ. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. საქართველოში შეწყალებაზე მოგროვილი ხელმოწერების ნაწილი მოხვდა მოსკოვში და იქ დაფიქრდნენ. მაშინ შევარდნაძე იძახებს ცეკაში ინტელიგენციის წარმომადგენლებს და პრაქტიკულად ყველას უკან გააქვს თავისი ხელმოწერა შეწყალების განცხადებიდან. ახლა არ მინდა მათი გვარების აქ ჩამოთვლა ბიჭების გვარებთან ერთად. მხოლოდ **ნიკო ჭავჭავაძემ და მარიკა ლორთქიფანიძემ, მხოლოდ ამ ორმა არ წაიღო უკან თავისი ხელმოწერა შეწყალებაზე.** არადა, ბევრი იცნობდა ბიჭებს, ოჯახების მეგობრებადაც ითვლებოდნენ, პრაქტიკულად მათ თვალწინ იზრდებოდნენ კობახიძე, ივერიელები.... ამ უარების ფურცლებით გაიქცა მოსკოვში თვითონ „სისხლიანი ედუარდი" და ჩააწყო მისი ჭკუით საქმე. **კიდევ ერთხელ გაიქცა მოსკოვში, როცა გაიგო, რომ ჩერნენკო მაინც აპირებს შეწყალებასო.** დააჯერა, რომ თუ უნდათ, რომ მან მართოს რესპუბლიკა, ესენი დასახვრეტები არიან! ჩამოიტანა შეწყალებაზე უარი. დასვენების დღე იყო, გამოიძახეს შეწყალების განყოფილების უფროსი სახლიდან და გამოაწერინეს საქართველოს პრეზიდიუმის შეწყალებაზე უარის თქმის საბოლოო ფორმა. მბეჭდავი არ იყო, ხელით შეავსებინეს. ორშაბათამდე ვერ მოიცადეს.

**1984 წლის 3 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 17 საათსა და 5 წუთზე...**

ასეთი ჯალათობა, მე მგონი, არავის ჩაუდენია. ყოველთვის თითო-თითო კაცი ამოჰყავთ, **ოთხივე ერთად გამოიყვანეს საკნიდან და ძმა ძმას დააკლეს.** იმ საღამოს მოისვენა ედუარდ შევარდნაძემ და მალე მოსკოვში წავიდა სამუშაოდ. აქ მეორე, 9 აპრილის ჯალათი დატოვა - ჯუმბერ პატიაშვილი.

და ისევ იმ წითელმა ინტელიგენციამ, ვინც უარი თქვა შეწყალებაზე, ხელმეორედ ჩამოიყვანა შევარდნაძე საქართველოში, ქართველი ერის მომავლის ჯალათი.

**არ ვიცი, დამჯერო თუ არა, მაგრამ სიმართლეა და ამისი დავიწყება არ შემიძლია.** 1991 წლის შემოდგომაა, ოპოზიციის მიტინგი და მსვლელობაა. მე დავდიოდი სულ, ყველა მიცნობდა და ვკამათობდით, მაგრამ ზომიერად. უცბად, მომიახლოვდა მიხეილ კობახიძე (იმის მერე არ ვწერ, გეგასთან რა ნათესაურ კავშირშია) და მეუბნება ზიზღით: - დომუხოვსკი, იცოდე, მე შევარდნაძე მირჩევნია გამსახურდიას???!!! მხოლოდ ის ვუთხარი, **თქვენი ნებაა!**

**- ბატონო ვიქტორ, იქნებ არ არსებობდა სხვა გზა, იქნებ, შეუძლებელი იყო საბჭოთა რეჟიმში სხვა გადაწყვეტილების მიღება?**

- 1983 წლის 19 ნოემბერს, საღამოს, საქართველოს ტელევიზიით მოეწყო ედუარდ-შოუ. ასეთი გამწარებული მე ეგ არ მახსოვს საერთოდ. დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ მის გამოსვლაში სულ არ იგრძნობოდა სინანული დატრიალებული ტრაგედიის გამო. როგორც მახსოვს, თუ არ ვცდები, სამძიმარიც არ უთქვამს დაღუპული მფრინავისა და გარედან ტყვიით მოკლული მგზავრის მისამართით. სამშობლოს მოღალატეები, ბანდიტები და ა.შ. ასე მოიხსენიებდნენ ახალგაზრდებს. სხვათაშორის, პირველ ბრალდებაში ეს მუხლიც იყო 65 - სამშობლოს ღალატი, რომელიც დახვრეტას ითვალისწინებს **(უფრო გვიან, 10 წლის შემდეგ, მეც მიპირებდნენ მაგ მუხლის წაყენებას), მაგრამ შემდგომში ბიჭებს ეს აბსურდული სტალინური მუხლი საბოლოოდ მოუხსნეს.**

როგორ ეხვეწებოდა იმ საშინელ 18 ნოემბერს გეგას დედა, - გამიშვით და ბიჭებს გამოვიყვანო. - არაო, რას ბრძანებთ, საშიშები არიანო. - მომკლან, თუ მომკლავენო. - არაო, ქალბატონო, ჩვენ თქვენზე ვზრუნავთო. **რამხელა ცინიზმია!** ყველა იქ მყოფი აღნიშნავს ედუარდის სისხლით სავსე თვალებს.

მე ეგ მახსოვს, „დინამოს" სტადიონზე რომ გადახტა სამთავრობო ლოჟიდან და ვითომ ხალხში გავიდა. ახლოს ვერ მივედი. გარშემო სულ დაცვის ხალხი იყო და ტექნიკურად კორიდორს უქმნიდა. **შორიდან კი ისე ჩანდა, ვითომ გამწარებული გულშემატკივრები იყვნენ.** უკვე ასი კაცი ტრიალებდა დასავლეთ ტრიბუნის პირველ იარუსზე, არადა, მანამდე ცარიელი იყო პრაქტიკულად ტრიბუნა, სულ 5-10 კაცი თუ ვიყავით, უცებ გაივსო ხალხით, **მერე ხელი დაუქნიეს და გადმოხტა, როცა გაავსეს ჩეკისტებით ტრიბუნა!** ეს მე თავად ვნახე ჩემი თვალით, ასეთი **შოუების დადგმის დიდი სპეციალისტი იყო ყოველთვის ედუარდ შევარდნაძე,** სანახაობების დადგმის ჩინებული რეჟისორი.

გახსენების ღირსია კიდევ ერთი მომენტი, 1978 წლის 14 აპრილი, ქართულ ენასთან დაკავშირებული გამოსვლები. ეს ხომ ნამდვილი პიარაქცია იყო. ვითომ მოსკოვი წინააღმდეგია, რომ ქართული ენა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენა. მანამდე კი ჩატარდა საქართველოს კომპარტიის პირველადი ორგანიზაციების პარტიული კრებები, სადაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პირველადმა ორგანიზაციამ მიიღო დადგენილება, რომ ქართული ენა უნდა იყოს სახელმწიფო ენა. ე. ი. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ერთხმად მიიღო ცკ-სთვის საჭირო გადაწყვეტილება. არადა, თუ ეს არ იყო შეთანხმებული წინასწარ მოსკოვთან, მაშინ არც ჩაატარებდნენ იმ კრებებს ასეთი დადგენილებებით. ასეთი იყო მაშინ სუბორდინაციის და დემოკრატიული ცენტრალიზმის წესი!

**თავისი რეიტინგის ასაწევად მოაწყო ედუარდმა ეგ შოუ და ისევ ხალხში გასვლით და მოსკოვის თანხმობით.** მოსკოვში მაშინ მას არ დაურეკავს. პოლიტბიუროს უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ეს ენის ნორმა დარჩებოდა უცვლელად. სომხეთშიც ხომ დარჩა და არავითარი გამოსვლები იქ არ იყო, არც არსად სხვა „მოძმე რესპუბლიკაში" არ შეცვლილა მშობლიური ენის სტატუსი. მე არავითარ ჩრდილს არ ვაყენებ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტების და ინტელიგენციის ეროვნულ პოზიციას. **მათ მართლაც სჯეროდათ საფრთხის არსებობის და ალალად აიმაღლეს ხმა.**

ამას ის დადებითი მხარე ჰქონდა, რომ კომუნისტების უტვინობა-წინდაუხედაობამ და ედიკშოუს გამართვის დაუოკებელმა სურვილმა, ეროვნული პოზიციის გამოხატვის საშუალება მოგვცა. მაშინ ბევრი ადამიანი დაფიქრდა ეროვნულ ღირებულებებზე!!! **ამხანაგ ედუარდს საკუთარი დაგვარდნილი რეიტინგის აწევის სურვილი ამოძრავებდა!** თუ გახსოვთ, მან ვასილ მჟავანაძე შეცვალა კორუფციასთან ბრძოლის დროშით, როცა მთავარი მილიციელის რანგში აკეთებდა რეიდებს (ახლა ამას „ზაჩისტკა"-ს ეძახიან) ოპერის თეატრში, კინოებში! მაგრამ კორუფცია მისი მმართველობის დროს კი არ შემცირდა, პირიქით, უფრო დიდი მასშტაბები მიიღო.

და იყო მისი ყოვლად უკანონო დაჭერები და პროცესები **კობახიძის, ლაზიშვილის, გელბახიანის და სხვების წინააღმდეგ. მე ნანახი მაქვს სისხლის სამართლის ეს საქმეები. ეს არის სამართლებრივად უკანონო, მტკიცებულებების გარეშე. აშკარად ჩანს, რომ დავალება იყო ზევიდან და მართული პროკურორები და მოსამართლეები საჭირო განაჩენებს აცხობდნენ.**

აქ კი აეროპორტში, ჯარის მიერ გარედან გახსნილი ცეცხლი, როცა გარედან დაცხრილეს თვითმფრინავი, გამტაცებლების მიერ განხორციელებულ „სროლად" გაასაღეს(!) მერე ვიღაცა მაიორს დააბრალეს, იმან გასცა სროლის ბრძანებაო. არადა, მაშინ რუსის ჯარში ჯერ კიდევ იყო წესრიგი და ზევიდან ბრძანების გაცემის გარეშე ვერავინ გაბედავდა ცეცხლის გახსნას. სწორედ იმიტომაც აუტეხეს ასეთი სროლა თვითმფრინავს, რომ ყველა მოეკლათ - გამტაცებლებიც და მგზავრებიც !!! რომ მოწმე არ დარჩენილიყო.

**საქმეში კი ეწერა 108 ნახვრეტი, მე კი 200 მეტი დავთვალე** და მეტი იყო კიდევ, უბრალოდ, აზრი არ ქონდა ზუსტი რიცხვის დადგენას, ისინი ძალიან ბევრი იყო !!! **ეს თვითმფრინავი მაშინ (1991 წ.) იდგა თბილისის აეროპორტში ე. წ. საფლავზე. ახლა არ ვიცი, გაწმინდეს ის ტერიტორია თუ კიდევ იქ დგას.**

მაგრამ, ედუარდს სჭირდებოდა დიდი მსხვერპლი და ამიტომ შექმნა აეროპორტში ასეთი პანიკური, საშიში სიტუაცია. უკრაინის და რუსეთის კგბ-ს თანამშრომლებმა, რომლებიც საგამოძიებო სპეცჯგუფში იყვნენ, ასე შეაფასეს ეს საქმე: **„კაკიე ონი ტერორისტი! ვსე სლუჟბი, ვსე პოდრაზდელენია ვსიო სდელალი ტაკ, ჩტობი პროლიც ბოლშე კროვი. ნე ზნაიუ კომუ ეტო ბილო ნუჟნო. იმ ნე დალი ვოზმოჟნოსტი სდატსია! და ონი მნე სამი ეტო გოვორილი, ი ია იმ ვერიუ, ეტო პრავდა ტაკ ბილო".** ასე მიამბო ეს ამბავი გამოძიების პერიოდში დაკითხულმა ერთმა „მამალმა ჩეკისტმა".

მერე დაიწყო მშობლების და ახლობლების დასჯის ოპერაცია. რიცხავდნენ პარტიიდან, ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. პარტიულ კრებებზე კითხულობდნენ ცეკას მრავალ დახურულ წერილს, სადაც დაგმობილი იყვნენ და უკვე მოითხოვდნენ მათ დახვრეტას. სიტუაცია მაგრად წააგავდა 1937 წლის პროცესებს. **მაგალითად, ყვარლიდან უმაღლეს საბჭოში დახვრეტის მოთხოვნით (!!!) გამოგზავნილი იყო 18 დეპეშა, ყველა მათგანზე გამოგზავნის დრო უზის - 16.00 საათი.** ათასობით იყო ასეთი დეპეშები მთელი საქართველოდან. პარტია ავალებს, ხალხი ასრულებს. სუკი დასდევდა იმ ახალგაზრდებს, ვინც აგროვებდა შეწყალების ხელმოწერებს. ჩაუფიქრდით, გამართლებას კი არ ითხოვდ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დასაწყისი მე-4 გვერდზე











ნენ, შეწყალებას !!! **ძი, დამნაშავენი არიან, ცუდი რამ ჩაიდინეს, მაგრამ შეგვიბრალეთ ახალგაზრდებს სიცოცხლე.** ზოგს ხელმოწერასთან მიწერილი აქვს: მივცეთ 25 წელი. ოღონდ ნუ მოვკლავთ!

ასეთია ედუარდის სახე ამ საქმეში. თავის ცხოვრების მიზნად ჰქონდა მაშინ დაყენებული ბიჭების დახვრეტა.

წასვლაც ჰქონდა ასეთი, ისევ შოუ მოაწყო. **მისი რეიტინგი ნულამდე იყო დაცემული, საქართველოში კაცი არ მოიძებნებოდა, ვინც მას მხარს დაუჭერდა. ამიტომაც გადააბარა თავის მოწაფეებს ხელისუფლება, არ დაგავიწყდეთ, ვინ იყო მედიატორი - იგორ ივანოვი!** ეს ცალკე თემაა, და ყველა ნიუანსი კარგად შესასწავლია. ახლა წიგნს წერს კრწანისში. წიგნი წეროს, ვნახოთ, კიდევ რამდენ ტყუილს მოგვახსენებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ედუარდ შევარდნაძე უნდა გასამართლდეს. მან ასე ოსტატურად იმიტომ გადააბარა ხელისუფლება თავის გაზრდილებს, რომ პასუხისმგებლობისთვის აერიდებინა თავი. მაგრამ იცოდეს მანაც და მისმა ხელისდამფარებლებმაც, რომ **შევარდნაძის მიერ ჩადენილი საქმეები კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია და ვერავინ შეძლებს მის გადარჩენას. სულ მალე დადგება ის დრო, როცა სწორედ მისი მფარველი ზესახელმწიფოების ლიდერები თავადვე მოითხოვენ მის გასამართლებას.** ეს დრო ახლოვდება და ჩემი სიტყვების რეალურობაში სულ მალე თავადვე დარწმუნდებით. საქართველოს ტერიტორიების გასხვისებისა და იქაური მოსახლეობისთვის გენოციდის მოწყობის გარდა, არის კიდევ, ჩემი აზრით, რამდენიმე ბრალდება მის წინააღმდეგ, რომელიც გამოსაძიებელი და პასუხგასაცემია. ესენია:

**ა) მკვლელობების სერია, როცა შევარდნაძე მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო,**

**ბ) „კორუფციული" პროცესები 1970-1985 წ.წ. და 1992-2003 წ.წ.**

**გ) „თვითმფრინავის საქმე"**

**დ) სახელმწიფო გადატრიალება 1991-1992 წ.წ.**

**ე) ტერორი საქართველოში 1992-2003 წ.წ.**

ეს მთავარი მომენტებია მისი შავი კარიერისა, კიდევ არის ბევრი სხვა საკითხი, რომელზეც პასუხს მოითხოვს მომავალი თაობა.

**ედუარდ შევარდნაძე აუცილებლად უნდა გასამართლდეს!!!**

**- გამოძიების პერიოდში დაკითხეთ თუ არა მოსკოვში შევარდნაძე? როგორ შედგა თქვენი საუბარი?**

- ო, ეს ძალიან საინტერესო საკითხია. 4 თვე დავდევდი ე.შევარდნაძეს, რომ დამეკითხა. პირველი დეპეშა 1991 წლის 20 ივლისს ე.შევარდნაძეს ასეთი შინაარსის გავუგზავნე:

***„პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!***

***საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში შეიქმნა 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების ცდის შემსწავლელი დროებითი კომისია (საქმე №201). რამდენადაც თქვენ ამ საქმეს კარგად იცნობთ, კომისიას საჭიროდ მიაჩნია თქვენთან საუბარი. თუ იმდენად მოუცლელი ბრძანდებით, რომ თბილისში ვერ ჩამოხვალთ, შეგვატყობინეთ. უახლოეს ხანს (26 ივლისიდან - 10 აგვისტომდე) როდის შეძლებთ მოსკოვში კომისიის წევრების მიღებას.***

***კომისიის თავმჯდომარე***

***ვ. დომუხოვსკი"***

ზუსტად 9 აგვისტოს მივიღე შემდეგი პასუხი:

***„საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ბატონ ვიქტორ დომუხოვსკის***



ვიქტორ დომუხოვსკი მეუღლესთან რუსუდან კიკალეიშვილთან ერთად

25-კაციანი ბანდა (მაშინ მას ერქვა უშიშროების სპეცჯგუფი), დაგვხვდნენ ეზოში, როცა მე და პეტრე გელბახიანი გამოვდიოდით ბინიდან. მათ ბედზე იარაღი დავტოვეთ სახლში (აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დაგვრთო, გვესროლა, თუ ჩვენს მოტაცებას დააპირებებდნენ). პატარა ჭიდაობის შემდეგ შეგვაგდეს მიკროავტობუსში, მაგრამ ხმაურზე მოვიდა პოლიცია და ბინაში არ შეუშვა, მიუხედავად იმისა, რომ თან ჰყავდათ ქრთამით მოსყიდული აზერბაიჯანის უშიშროების პოლკოვნიკი. წაგვიყვანეს აეროპორტში, 3 საათი ვერ აფრინდნენ, არ უშვებდნენ. მერე კი არ ვიცი, რა დაუჯდათ - გაფრინდნენ თბილისში. ის უშიშროების პოლკოვნიკი, რომელიც მათ ეხმარებოდა, აზერბაიჯანში

# ვიქტორ დომუხოვსკი

***პატივცემულო ბატონო დომუხოვსკი, მივიღე თქვენი დეპეშა. ვადასტურებ რა პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისადმი და თქვენი მეთაურობით მომუშავე კომისიისადმი, მზად ვარ, გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.***

*ამასთანავე მინდა, აღვნიშნო, რომ პირადად ვარ დაინტერესებული კომისიასთან თანამშრომლობით, რათა სრული ნათელი მოეფინოს იმ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცების ცდასთან. ეს გარემოებანი დღემდე აღელვებს საზოგადოებრიობას, ათასნაირი მონაჩმახი და ჭორი დაემატა, რაც სრულიადაც არ უწყობს ხელს საქმის ფაქტობრივი მხარის მკაფიოდ დანახვას.*

*სამწუხაროდ,* ***რამდენადაც მუშაობის გამო მოუცლელი ვარ, ამჟამად თბილისში ვერ ჩამოვალ.*** *მოხარული ვიქნები, თუ სასაუბროდ მოსკოვში ჩამოხვალთ. გთხოვთ, თქვენთვის მოსახერხებელი ფორმით მომაწვდინოთ შეკითხვები, რომელზეც პასუხს მოელით.*

*ჩვენი საუბარი შეკითხვების მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება გაიმართოს.*

*გულწრფელად*

***ე. ა. შევარდნაძე".***

10 სექტემბერს ფაქსით გავუგზავნე შეკითხვები. ამჯერად დუმილი კიდევ უფრო დიდხანს, 2 თვეს გაგრძელდა. 11 ნოემბერს გავუგზავნე ასეთი შინაარსის დეპეშა:

***„პატივცემულო ბატონო შევარდნაძევ!***

*თქვენთან წინასწარი ა/წ 9 აგვისტოს შეთანხმების შესაბამისად, 10 სექტემბერს გამოგიგზავნეთ შეკითხვები №201 საქმის გამო. ძალზე დიდი დრო გავიდა იმისათვის, რომ პასუხის მიღების იმედი გვქონდეს, და უკვე შეგვიძლია ეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიისადმი უპატივცემულობად ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა, მთელ მსოფლიოში და მათ შორის სსრ კავშირში მიმდინარე პოლიტიკური საქმეების გამო თქვენი მოუცლელობის ამბავი საქართველოში ძალზე კარგად ვიცით, მაგრამ არც ძველი ვალების გასტუმრება უნდა გვავიწყდებოდეს. დაბეჯითებით გთხოვთ, სამ დღეში გვიპასუხოთ:*

***ითანამშრომლებთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიასთან ამ საკითხში?*** *თუ შეკითხვები დაგავიწყდათ, გიგზავნით განმეორებით.*

***თუ პასუხის გაცემა არ გსურთ, ესეც გვაცნობეთ.***

***13 ნოემბერს მოსკოვში ვიქნები და ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტთ,*** *გაგვეხილა ეს საქმე. ჩვენ ამას კეთილი ნების გამოვლენად მივიჩნევდით.*

***წინასწარ გიხდით მადლობას გულწრფელად***

***ვიქტორ დომუხოვსკი".***

ჰოდა, ჩავედი მოსკოვში, მოვილაპარაკეთ, 15 ნოემბერს 30 წუთით მიმიღებდა - მეტი დრო ვერ გამონახა. 10.30 საათზე მივედი მის ოფისში მოსკოვში, 50 წუთის განმავლობაში ვილაპარაკეთ. საუბრის ენად რუსული ავირჩიე, რადგან იმედი მქონდა, რომ უფრო გაუჭირდებოდა, ამანაც გაამართლა. მქონდა დიქტოფონი, და მთელი საუბრის ჩაწერა შევძელი, ბოლო 5 წუთის გარდა, ფირი გათავდა (გადაბრუნებას ხომ ვერ შევძლებდი ფარულად). ამიტომ ე.შევარდნაძის ბრალდება (ერთ-ერთ ე.წ. ინტერვიუში გამოუთქვამს), რომ სიმართლე ვ.დომუხოვსკის სინდისზე იყოსო - არ არის მართებული. მე მაქვს საუბრის აუდიოჩანაწერი. დღემდე ვნანობ, რომ არ მივიღე მისი დაპატიჟება მეორე დღეს აგარაკზე („ერთი ორი ჭიქა ქართული ღვინო დავლიოთო", - შემომთავაზა). ბევრ რამეს ახალს გავიგებდი, ალბათ. მაგრამ, მეშინოდა, მოპოვებული მასალა არ დამეკარგა, ღამე, სასტუმროში ბალიშის ქვეშ მედო და მეორე დღეს, დილასვე გავფრინდი თბილისში.

უმრავლესი პასუხების ლაიტმოტივია: მე არაფერში ჩავრეულვარ, მე არაფერი ვიცოდი. თუ სხვამ რაიმე დააშავა მათ მიმართეთ, ის დასაჯეთ... მანამდე კი 15 ოქტომბერს, ე. შევარდნაძემ მისცა 3-საათიანი ვრცელი ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტა"-ს (კარაულოვს). იქაც რამდენჯერმე იმეორებს, რომ მაბრალებდნენ ხალხის დახვრეტას, არადა, მე რა შუაში ვიყავი, განაჩენი სასამართლოს გამოჰქონდა და **პარტია არ ერეოდა სასამართლოს მუშაობაში.** აქ მინდა, მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანო მისი საქართველოში „მეორედ მოსვლის" პერიოდიდან. 1993 წელს შემოდგომაზე მოსამართლე ი. ტყეშელაშვილმა გამოიტანა განაჩენი ყვარლის საქმეზე. მაქსიმალური პატიმრობის ვადა გამოუტანა ორ კაცს - 13-13 წელი. რისთვის? რადგან ეს საქმე უსისხლო და მშვიდობიანი აღმოჩნდა! მაგრამ ამისთანა მკაცრი განაჩენი ახალგაზრდა ბიჭებისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი ე. შევარდნაძისთვის და 3 დღეში თავისი ორშაბათის რადიოინტერვიუში ისტერიკა გამართა ამ ისედაც მკაცრი განაჩენის გამო და შესძახა: „რაო, სიკვდილით დასჯის განაჩენი არ არსებობს? არავის გაუუქმებია სიკვდილით დასჯა! აი, ახლა დაიწყო შემდეგი პროცესი (ჩემს პროცესზეა ლაპარაკი). იქ მაინც გაითვალისწინონ რომ საქართველოს სსკ-ში ასეთი მუხლიც (დახვრეტის) არსებობს". ჩვენს პროცესზე მოსამართლე მირზა დოლიძემ გაითვალისწინა ედუარდის მითითება და ორ კაცს, ი.დოკვაძეს და პ.გელბახიანს გამოუტანა კიდევაც უმაღლესი ზომა - დახვრეტა. (???) აი, როგორ არ ერეოდა „ტოვარიშ ედუარდ" სასამართლოს საქმეში !!!

**- გადატრიალებისთანავე შევარდნაძემ თქვენი სასწრაფოდ დაპატიმრება მოითხოვა. თქვენ იყავით მისი ტუსაღი. იქნებ, თქვენი ცხოვრების ეს უმძიმესი პერიოდი გაიხსენოთ?**

- მე კი არ დამიჭირეს, მომიტაცეს უცხო სახელწიფოს - აზერბაიჯანის ტერიტორიიდან იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. 1993 წლის 6 აპრილს ქ. ბაქოში გაგზავნილი იყო „მხედრიონის" დაიჭირეს და მაგრადაც დასაჯეს. მერე აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტს ოფიციალური დასკვნა გაუგზავნა. მასში წერია, რომ პეტრე გელბახიანი და ვიქტორ დომუხოვსკი უკანონოდ და ფარულად იყვნენ მოტაცებულები ქ.ბაქოდან აზერბაიჯანის ხელისუფლების ნებართვის გარეშე!!! ამ საბუთმა დიდი როლი ითამაშა ჩვენს განთავისუფლებაში.

გზაში კარგა გვარიანად გვცემეს, მაგრამ ფიზიკური ტკივილი არ იყო ძნელი ასატანი. ყველაზე ძნელი ასატანი იყო უსუსურობის შეგრძნება. თბილისის აეროპორტიდან მიგვიყვანეს უშიშროებაში, სადაც „დიდის ამბით" **დაგვხვდა კოტე გაბაშვილი (მაშინ ქალაქის მერი) და ტელევიზიის ჯგუფი მამუკა არეშიძის ხელმძღვანელობით.** რამდენჯერმე ჩაგვწერეს, რადგან არ მოსწონდათ, რასაც ვამბობდით. მამუკა არეშიძე სულ იძახდა, რაც საჭიროა, ის არ არისო. იყო მუქარები, კითხვები. მერე მამუკა არეშიძემ „ივაჟკაცა" და იმისთანა მონტაჟი გააკეთა, რომ ვითომ ჩვენ რაღაც ვაღიარეთ. დღეს მამუკა არეშიძეს სრულიადაც არ რცხვენია ამისთანა მოქმედების გამო! მან ნაძირლობა ადრეც იკადრა, როცა 1991 წლის შემოდგომაზე დამიძახა თავის ღამის გადაცემაში, როგორც „თვითმფრინავის კომისიის" თავმჯდომარეს, და ისეთი დამონტაჟებული სიუჟეტი გაუშვა, რომ გამოდიოდა, თითქოს ე. შევარდნაძე არაფერ შუაში იყო თვითმფრინავის საქმეზე.

ჩვენი სასამართლოს დროს კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი მოხდა. როცა ლოთი ქობალია ქუთაისს მიადგა, ციხეში სპეციალურად მოვიდა **მოსამართლე მირზა დოლიძე** და ტკბილად დაგვიწყო ლაპარაკი, რომ ჩვენს საქმეში დანაშაულის მტკიცებულებები არ არის და კიდევ ფორმალურად რამდენიმე სხდომას ჩაატარებს და გაგვიშვებს. აი, ასეთი დამოუკიდებელი მოსამართლეები არიან საქართველოში. მერე კი, ისევ გახდა „მკაცრი", და ისეთ







# ალაპარაკდა!

აშკარა წარმოუდგენელ დარღვევებზე წავიდა, რომ გინესის წიგნშია შესატანი. **პროცესის პროკურორი იყო კახა კობერიძე** (ახლა ისევ „ცხენზეა“, გენერალური პროკურორის მოადგილეა, სხვათაშორის, ზუსტად მაგას დაავალეს ზვიად გამსახურდიას სისხლის სამართლის დიდი საქმის გაუქმება და საქართველოს პირველი პრეზიდენტის რეაბილიტაცია). სასამართლო პროცესზე იქცეოდა როგორც პირსისხლიანი ჯალათი!!! ახლა კი „დემოკრატიას“ და „კანონს“ იცავს.

ისე, იმდენი იურიდიული ლაფსუსი დაუშვეს, რომ მე რომ მქონოდა მიხეილ ჟვანეცკის ტალანტი, დავწერდი გენიალურ ანეკდოტებს სასამართლო პროცესზე! მაგალითად, რომ **ჩვენ გეგმა გვქონდა, თვითმფრინავით დაგვებომბა იმელის შენობა,** ან რომ ჩვენ **ვაპირებდით მასობრივი განადგურების ატომური იარაღის გამოყენებას** (???), ჩვენი საბრალდებო დასკვნა, ეს არის ამოუწურავი წყარო ანეკდოტების.

მერე ადვოკატები გამიგდეს პროცესიდან, მეც გამაგდეს და მომისაჯეს დაუსწრებლად 14 წელი. საინტერესოა, რომ სამი მუხლი მქონდა - დივერსია, ტერორიზმი და ბანდიტიზმი, ოღონდ, მათი მცდელობები (მე-15 მუხლთან ერთად). 13 სექტემბერს გააგდეს ჩემი დამცველი, რუსუდან კიკალეიშვილი, ჩემი მეუღლე, მიცავდა როგორც საზოგადოებრივი დამცველი. საპროცესო კოდექსში არ იყო მუხლი პროცესიდან ოჯახის წევრის - მეუღლის განთავისუფლების პროცედურის შესახებ. ამიტომ უკანონოდ გაათავისუფლეს. და მხოლოდ 1994 წლის დეკემბერში უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა უკანა რიცხვით მიიღო ეს ნორმა.

**მომცეს 14 წელი და კასაციაზეც უარი მითხრეს, ვიჯექი აგჭალაში,** სადაც ბიბლიოთეკა ავაშენე და პატიმრებს ჰქონდათ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვის საშუალება. ბევრი ჩემი პირადი წიგნი მოვატანინე, ნაცნობებმაც შემიგროვეს. წითელმა ჯვარმა გვაჩუქა წიგნები! **ასე გავატარე 5 წელი, 7 თვე და 19 დღე პატიმრობაში.**

**- როგორ მოხდა თქვენი გათავისუფლება, როგორ ჩახვედით პოლონეთში. ვიცი, რომ წარმოშობით პოლონელი ხართ.**

- ამასობაში ჩემმა მეუღლემ იჩივლა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში და მათ 1998 წლის 9 აპრილის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება №CCPR/C/6-/D/6-3/1995, რომლის შესაბამისად, უკანონობისა და დარღვევების გამო მოითხოვეს ჩემი განთავისუფლება 90 დღეში.

**ამის მერე ედუარდ შევარდნაძის წარმომადგენლები რამდენჯერმე შემხვდნენ.** ვლაპარაკობდით მომავალ გეგმებზე. მოვილაპარაკეთ, რომ მე განთავისუფლების შემთხვევაში წავალ ოჯახთან პოლონეთში. იმავდროულად, ჩემმა მეუღლემ, რომელიც 1996 წლის 6 ნოემბრიდან ბავშვებთან ერთად პოლონეთში ცხოვრობდა, **ჩემი საქმე გააცნო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბრონისლავ გერემეკს,** რომელიც 1998 წლის სექტემბრიდან ასევე ასრულებდა ეუთო-ს თავმჯდომარის მოვალეობას და საქართველოში ჰქონდა დაგეგმილი ვიზიტი. ვიზიტი რამდენჯერმე გადაიდო და საბოლოოდ ბ.გერემეკი 1998 წლის 23 ნოემბერს შეხვდა ე.შევარდნაძეს. მოლაპარაკების ერთ-ერთ პუნქტად იყო ჩემი განთავისუფლების საკითხი. როცა ბ. გერემეკმა დააყენა ეს საკითხი, ე. შევარდნაძემ ჰკითხა: **„ძალიან მთხოვთ დომუხოვსკის განთავისუფლებას თუ ისე რა?“.** რაზეც ბ. გერემეკმა უპასუხა: **„ძალიან გთხოვ!“. ე. შ. :** „კარგი, რადგან ძალიან მთხოვ, გავუშვებ“. გაოცებულმა **ბ. გერემეკმა ამის შესახებ დაწერა პოლონურ პრესაში.** ყველა საკითხი წინასწარ იყო შეთანხმებული და ე. შევარდნაძის ასეთი ქცევა მეტყველებს მხოლოდ მის „კომუნისტურ მენტალიტეტზე“. 25 ნოემბერს მე გამათავისუფლეს. **3 საათში გამიკეთეს საზღვარგარეთის პასპორტი და ერთ კვირაში წავედი პოლონეთში,** სადაც უკვე 2 წელი ცხოვრობდა ჩემი ოჯახი.

**- შევარდნაძე დღეს აღარაა ხელისუფლების სათავეში. ისე, ხელშეუხებლობის მყარი გარანტია აქვს და ხშირად კომენტარებსაც აკეთებს. რას ფიქრობთ, დღეს რა ხდება, შევარდნაძის მემკვიდრეობა გრძელდება?**

- შევარდნაძე და სააკაშვილი ერთ „თვითმფრინავში“ სხედან. სააკაშვილს მაგ სახელისუფლებო თვითმფრინავის ბილეთი უყიდა და საქართველოში ჩამოიყვანა ზურაბ ჟვანიამ. ჩემთვის **არაა პრობლემა სააკაშვილის მოხვედრა და სწავლა კიევის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტში. ძალიან კარგად ვიცით, რომ იქ მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ ორგანოების სათანადო რეკომენდაციის შემდეგ. რეკომენდაციის ჩაწყობა კი არ გაუჭირდებოდა ბიძამისს, თემურ ალასანიას, მამალ კაგებეშნიკს.** ზოგიერთები ამაში რაღაცას ხედავენ. ეს არ არის სწორი, რადგან მაშინ ასეთი დრო იყო და მაგისთანა პრივილეგიით ბევრი სარგებლობდა. მე ამაში კრიმინალს ვერ ვხედავ, რადგან არ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში 1991-1992 წ.წ. ზ. ჟვანიას კი სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი. ამიტომაც ე. შევარდნაძის გადაყენება 2003 წლის 23 ნოემბერს უდავოდ დადებითი მოვლენაა!!! მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს იყო ნამდვილი რევოლუცია. პირადად მე ვაფასებ როგორც ზედა ელიტებში გადატრიალებას. გასაგებია, რომ ე. შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი. მან 1992 წლიდან საქართველო გაატარა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, გამოიყენა რუსეთის ჯარი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ როგორც თბილისში, ასევე დასავლეთ საქართველოში, მოაკვლევინა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გაანიავა დასავლეთის 2-მილიარდიანი დახმარება (უფრო ზუსტად, დააბანდა თავის კლანში) და ა.შ. და ა.შ. შედეგად, მილიონ-ნახევარი (მოსახლეობის თითქმის მესამედი) ქართველი გახდა ემიგრანტი! ამიტომაც საქართველო მართლაც იყო რევოლუციის პირას. მაშინ კი პოლიტიკური ელიტა ვერ გააკონტროლებდა სიტუაციას. ამიტომაც მოხდა ეს გარიგება და ე. შევარდნაძე გადადგა მხოლოდ მაშინ, როცა მიიღო ხელშეუხებლობის გარანტიები თავისთვის და თავისი ახლობლებისათვის. მედიატორის როლს რუსეთი ასრულებდა! ამის ახსნაც შეიძლება, მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავდა, როგორ სძულთ ე. შევარდნაძე საქართველოში და რუსები „ოპოზიციის“ მხარეზე გამოვიდნენ, თანაც ზ. ჟვანია და ნ. ბურჯანაძე აშკარად მათი (პრორუსული) კადრები იყო. საყურადღებოა, რომ გადადგომის შემდეგ კარგ ხასიათზე იყვნენ ე. შევარდნაძე და ზ. ჟვანია, მ. სააკაშვილს კი არ ეტყობოდა სიხარული. მე ეს ტელევიზიით ვნახე მაშინ!

უკვე 2 წელი გავიდა „ვარდების რევოლიუციის“ შემდეგ. რა მოახდინეს საქართველოში ე. შევარდნაძის მოწაფეებმა? უცნაურ გარემოებებში მოკლული იყო ზ. ჟვანია. გაძლიერდა და პრაქტიკულად ავტორიტარული გახდა პრეზიდენტის მმართველობა. დაიწყო და თითქმის დასრულდა საკუთრების გადანაწილება ახალი პოლიტიკური ელიტის მიერ. ჩემთვის კი ახალი ხელისუფლების მთავარი ნაკლია მმართველი ჯგუფის უმრავლესობის არაპროფესიონალიზმი და კანონების მიმართ სრული უპატივცემულობა. სულ არ ადარდებთ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. ეს იწვევს ბევრ დარღვევას, მაგრამ ჰყავთ მართვადი სასამართლო ხელისუფლება და სასამართლოში „უკანონობას აკანონებენ“. ეს გზა დამღუპველია. **ამას ჰქვია ნეობოლშევიზმი!** ბოლშევიკებსაც ჰქონდათ ფორმალურად კარგი მიზნები „საყოველთაო კეთილდღეობა“ და რაც გამოვიდა, უკვე ვნახეთ...

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემოღების შემდეგ საერთოდ აკანონებენ სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობას!!! **ანონიმური დასმენა ბოლშევიკებსაც კი არ ჰქონდათ დაკანონებული.** ეს უკვე ახალი სიტყვაა ნეობოლშევიზმში!!! არც მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, **კორუფცია კი გაიზარდა.** სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას ასე: **თუ ე. შევარდნაძის დროს იყო დიდი კორუფცია, ახლა ძალიან დიდი კორუფციაა!!! მე ძალიან მაგონებს ეს ყველაფერი 1972 წელს, როცა ვ. მჟავანაძის მაგივრად ხელისუფლებაში მოვიდა ე. შევარდნაძე!**

შედეგიც სახეზეა - ისევ მატულობს ემიგრაციული პროცესები საქართველოდან!

ესაუბრა **ლეილა კვირიკაშვილი**



ვარშავის I ლიცეუმის დირექტორი ქრისტინა სტარჩევსკა (მარჯვნიდან მეორე) დომუხოვსკის მეუღლესთან და შვილებთან ერთად

# უსმინე უსინათლოს ლოცვას და... ქრისტეს დაინახავ, გეგა!

„ლაზარეზე“ მუშაობა ქართლოს ხოტივარმა 1970 წელს დაიწყო. მთელი გადამღები ჯგუფი თავდავიწყებით ჩაერთო საქმეში. მაშინ ქართლოს ხოტივარი ვერ წარმოიდგენდა, რომ პირადი ტრაგედია ამ ფილმზე მუშაობას შეაწყვეტინებდა. კავთისხევში, წინარეხში, ქვათახევში, ქუთაისში იღებდნენ. როცა გადასაღებად გორში გადავიდნენ, ბედისწერამ ქართლოსი საბოლოოდ ჩამოაშორა (ტრაგიკული შემთხვევის გამო ის ციხეში აღმოჩნდა) კინოს... მოგვიანებით კი თვითმკვლელობით მოისწრაფა სიცოცხლე.

დუმილი რეზო ჩხეიძემ დაარღვია: ქართლოსის ძმა, ბუბა ხოტივარი დაიბარა, რომელიც ფილმზე მეორე რეჟისორად მუშაობდა და გადაღების გაგრძელება მოსთხოვა. გაოგნებული იდგა ახალგაზრდა რეჟისორი და უარის ნიშნად თავს აქნევდა, ამას მე ვერ შევძლებო.. დიდ უბედურებაგამოვლილს ალბათ ეშინოდა, ვაითუ სულიერი ძალა არ მეყოსო... არც ბატონი რეზო იხევდა უკან... ბოლოს მკაცრად განაცხადა, არაფრის გაგონება არ მინდა! შენ აგრძელებო...

შინ დაბრუნებულ ბუბას მამამისმა - ლევან ხოტივარმა („მხიარული რომანის“ რეჟისორმა) უთხრა: - ნურაფრის ნუ გეშინია, შვილო, ხომ ვიცი, გულის სიღრმეში როგორ გინდა ფილმის გაკეთება, უკან არ დაიხიო და ღმერთი დაგეხმარება. მხოლოდ ღმერთს მიენდეო!

ამ დროს „ზემოთ“ ფილმის დახურვა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, როგორც ამბობენ, ხელჩართული ბრძოლით მოახერხა რეზო ჩხეიძემ თავისი გაეტანა და გადაღება გაგრძელდა.

„ლაზარე“ 1972 წელს დასრულდა. მოსკოვმა ფილმის მიღებაზე უარი თქვა, ყველაფერს ვხვდებით, რისი თქმაც გინდათ ამ ფილმით, თქვენი ბიბლიური პრეტენზიებითა და ანარქისტ-რევოლუციონერობით ნუ გვაყენებთ საშიშროების წინაშეო. ისევ რეზო ჩხეიძის მცდელობით, ფილმის გაშვებაზე მხოლოდ საქართველოში დართეს ნება.

ცენზურამ ფილმი მიიღო, მაგრამ ტიტრებიდან ქართლოსის გვარისა და სახელის ამოღება მოითხოვა.

ქართლოსს ციხიდან შემოუთვლია: ჯანდაბას ჩემი გვარი, ფილმს ცხოვრებას ნუ გაურთულებთ ამის გამოო.

*ბუბა ხოტივარი:* - ყოველთვის მაწუხებდა ის ამბავი, რომ სცენარის ავტორად ტიტრებში მხოლოდ ლევან მალაზონიაა აღნიშნული, დამდგმელ რეჟისორად - მხოლოდ მე... სამართლიანობა უნდა აღდგეს და ორივეგან ჩაიწეროს ქართლოსის სახელიც.

## ამღერებული „ლაზარე“

ფილმის მუსიკალური გამფორმებელი ანზორ ერქომაიშვილი იყო. გადაღებული მასალა რომ ნახა, პირდაპირ თქვა, - „ამ ფილმს უნდა ფრანგი დებიუსი, გერმანელი ბეთჰოვენი და ქართული ჰარიჰარალეო“. მოიყვანა დიდი ლოტბარი ჰამლეტ გონაშვილი და ანსამბლი „რუსთავი“. შახტიკოტეს დუქანში „რუსთავის“ ბიჭები ქეიფობენ. ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ჰამლეტის „მრავალჟამიერი“ ხომ მთელ გადამღებ ჯგუფს სამუდამოდ დაამახსოვრდა.

## უსინათლო

„ლაზარეში“ უსინათლოს როლს ავთანდილ მახარაძე ასრულებს. მის მიერ განსახიერებული როლი მართლა უძლიერესი და ურთულესი იყო. ამბობენ, უსინათლოს როლიდან ავთო ფილმის დამთავრების შემდეგაც ვერ გამოვიდაო. როცა „ლაზარე“ ეკრანზე ნახა, თქვა თურმე:

- რა მეშველება, ისე იმოქმედა ფილმმა ჩემზე, მგონი ისევ ბრმა ვარო!

სოსო ბაქრაძე, რომელიც ფილმში მამა ენუქს ასახიერებდა, შეწუხდა:

- შენი ბედი, შახტიკოტე რომ არ გათამაშეს, თორემ როლში შესული სახინკლეში დაგვხვდებოდი მედუქნედო.

კახი კავსაძემ კი სერიოზულად დასძინა:

- ან ანარქისტი რომ არ ითამაშე, ჭკუიდან გადახვიდოდი, ამ მთავრობას მიტინგებს მოუწყობდი და სანამ როლიდან გამოხვიდოდი, „გულაგში“ გიკრავდნენ თავსო.

## არისტოკრატი

აზნაურს ფილმში ვასილ ჩხაიძე ასახიერებს. ელდარ შენგელაიას აღმოჩენილი პიპინია ცხოვრებაშიც ისეთი ყოფილა, როგორიც კინო-ეკრანზე ჩანდა: ქართველი არისტოკრატი. ვასილ ჩხაიძე ბავშვივით გულუბრყვილო და სუფთა ადამიანი იყო.

## შახტიკოტე

*ბუბა ხოტივარი:* - ზურა ჭაჭიაშვილმა ერთხელ თქვა, ნახევრად ხუმრობით, მთელი ცხოვრება ვშიფრავდი, რა აზრი უდევთ ამ ბანდიტებს ჯადოსიტყვაში „კომუნიზმი“, ახლა მივხვდი, მგონი, სიბერეში - კომუნიზმი ნიშნავს ყველა წესიერი ადამიანის მოსპობას და მოროზოვებისა და შახტიკოტეების გაბატონებასო. მაშინ გავიგე პირველად სახელი შახტიკოტე.

შახტიკოტეს როლი ჯემალ ღაღანიძეს ერგო. პიროვნულად ის სრული ანტიპოდია თავისი როლისა.

მისი და ლაზარეს ჩხუბის სცენა არა და არ გამოდიოდა, ვერ სცემდა გეგას. ყველა ყელგამოწეული ეხვეწებოდა ჯემალს, სცემე გეგა კობახიძე (ლაზარე), გაიმეტეო. ჯემალ ღაღანიძე მორცხვად იმართლებდა თავს:

- მე კი მინდა, მაგრამ ხელი არ მემორჩილებაო.

- არ მტკივა, ჯემალ ბიძია, უფრო მაგრად დამარტყით, - ეხვეწებოდა გეგაც.

სადაც ჯემალ ღაღანიძე ჩხუბის შემდეგ ცუდად ხდება, იქ მართლაც ცუდად ხდება... იმდენად სტკიოდა გული, გეგას რომ ურტყამდა.

## გეგა

გეგა კობახიძე მაშინ 10 წლისა იყო. ნამდვილი არტისტი, რომელიც ინტუიციით ხვდებოდა რა სჭირდებოდა ლაზარეს სახეს, იმპროვიზაციასაც კი მიმართავდა.

როცა ფილმში გეგა თანდათანობით მედუქნე ხდება, საცოდავ მშიერ ბავშვებს აგდებს დუქნიდან, როცა შახტიკოტესავით პირით იჭერს ჰაერში ნასროლ ხურდა ფულს, ძალიან გაუჭირდა ასეთი ლაზარეს განსახიერება.

- იქნებ, ცოტა შევარბილოთ, იქნებ ეს ეპიზოდი არ გადავიღოთო, - სთხოვდა რეჟისორს.

როცა ფილმისათვის საჭირო ეპიზოდი მაინც შეასრულებინეს, ჯემალ ღაღანიძე გაოცდა: ეს ბავშვი შახტიკოტეობაში ჩემზე უფრო შახტიკოტეაო. ასეთი სამსახიობო ოსტატობა ჰქონდა.

## ლოცვა

ფილმის კადრები გაიხსენეთ: უსინათლო მთაზე ლოცულობს, უსმენს ლაზარე და ამომავალ მზეს უყურებს...

ახლა იმას გიამბობთ, რაც კადრს მიღმა მოხდა: ქართლოს ხოტივარმა გადაღების წინ გეგა გვერდით გაიყვანა და უთხრა:

- წარმოიდგინე, ლაზარეს მზის ნაცვლად იესო ქრისტე რომ დაენახა, როგორი სახე ექნებოდა?

- ქართლოს ბიძია, ქრისტე როგორ უნდა დავინახო?

- გეგა, ღმერთი კაცს ცხოვრებაში ხშირად ეცხადება, ოღონდ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. შენ ახლა დაინახავ ღმერთს, მაგრამ არავის არ უნდა გააგებინო. დაუკვირდი უსინათლოს ლოცვას, შეუშვი გულში მისი ყოველი სიტყვა და ... დაინახავ, ხომ გაიგე, გეგა?

გეგა დაფიქრდა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა, დაძაბულად დაიწყო ყურება, საიდანაც მზე უნდა ამოსულიყო. ვერავის ვეღარ ხედავდა, სახე აელეწა და ჩურჩულით უთხრა რეჟისორს:

- ქართლოს ბიძია, გავიგე...

ეს იყო კადრს მიღმა...

P.S. ფილმზე მუშაობის ეპიზოდები აღდგენილია რეჟისორ ბუბა ხოტივარის მოგონებების მიხედვით.

**ლელა ჯიყაშვილი**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის

# საშობაო ეპისტოლე



ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, დიდად პატივცემულო ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ და რწმენა და იმედი განგმტკიცებოდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

„აჰა ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს“. (გამოცხადება 3,8).

* * *

კვლავაც დაგვიდგა დღე იდუმალი, - შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ამ დიადი საიდუმლოების თანაზიარნი მუხლმოდრეკით თაყვანსა ვცემთ ბეთლემს შობილ ყრმას და მთელი არსებით ვმადლობთ მამაზეციერს, რომელმან „ესრეთ შეიყუარა სოფელი, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე 3,16).

მადლობას ვწირავთ უფალს იმისათვისაც, რომ მოგვანიჭა გონება და შინაგანი ხედვა, რათა სული ჩვენი ვყოთ ტაძრად, გული კი, - სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“;

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი ერი ოცი საუკუნეა მისდევს მაცხოვრის გზას და დღემდე ერთგული დამცველია იმ რწმენისა, რომელიც იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა იქადაგეს.

მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსაზღვრა ქართველი კაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც.

დღესაც ჩვენი ხალხი, მიუხედავად ათეისტური რეჟიმის 70 წლიანი ბატონობისა, მართლმადიდებლური კულტურის ერს წარმოადგენს. თვით მუსულმანი ქართველებიც კი საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ ისეთ ტრადიციებს, რომელიც ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობს და მამა-პაპათაგან აქვთ შესისხლხორცებული.

საერთოდ, რელიგია უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაზე, რადგან იგი აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. აზროვნება კი ქმნის კულტურას. აღსანიშნავია ისიც, რომ, თავის მხრივ, კულტურასაც შეუძლია შეცვალოს ცალკეული პიროვნების თუ საზოგადოების აზროვნება.

ამიტომაც იყო, რომ მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ჩვენთან, ისე ნებისმიერ ქვეყანაში, დამპყრობლები ცდილობდნენ ხელოვნურად თავს მოეხვიათ არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური გავლენა, არამედ მოეხდინათ კულტურულ-რელიგიური ასიმილაციაც, რაც გულისხმობდა როგორც რწმენის, ასევე სიმღერის, ცეკვის, სამოსლის, ლიტერატურული ღირებულებების, სუფრის წესის და ა.შ. შეცვლას. ეს ხელოვნური ექსპანსია, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა და განსხვავდება კულტურათა შორის ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესისგან, რაც კაცობრიობის კულტურულ განვითარებას განაპირობებს.

დღეს კულტურასა და ცხოვრების წესზე ზემოქმედების ყველაზე გავლენიან ძალად იქცა ისეთი საშუალებები, როგორიცაა მასმედია, კინოხელოვნება, ინტერნეტი და სხვა.

საზოგადოების და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის, მსოფლმხედველობას მნიშვნელოვანწილად აყალიბებს ტელევიზია. სამწუხაროდ, მისი საშუალებით ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობას. წლების განმავლობაში, არატრადიციული ღირებულებების ხელოვნურად დანერგვას ხელს უწყობენ გარკვეული ძალებიც და ამას თავისუფლების, დემოკრატიისა, და განვითარების პროცესად წარმოაჩენენ, რითაც დარტყმას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სახელმწიფოს და ხელისუფლებას აყენებენ.

ვფიქრობთ, სახელმწიფოსათვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდება მომავალი თაობა. სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას. მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და ისედაც ვიცი, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში ოფიციალური და წამყვანი ტელევიზიებით თითქმის არსად არ უჩვენებენ ძალადობის, ნარკომანიის, ალვირახსნილობის ამსახველ ფილმებსა და გადაცემებს, თუმცა არსებობს საკაბელო ტელევიზიები, სადაც მსგავსი მიმართულება დომინირებს, მაგრამ მათი მომხმარებლები დაბალ სოციალურ-კულტურულ ფენას განეკუთვნებიან და ამასთან, სათანადო გადასახადსაც იხდიან.

შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულვებელყოფის ატმოსფეროში და მაგალითად, ჯარში იგი თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს.

შეუძლებელია, საზოგადოება უარყოფდეს თავის მეობას, უარყოფდეს იმ ზნეობრივ საფუძვლებს, რასაც ისტორიულად ეყრდნობოდა (მაგ. მეგობრობის, ვაჟკაცური ღირსების, უფროსისადმი პატივისცემის, ერთგულების, ურთიერთგატანის, ქალის სიწმინდის ინსტიტუტს) და მან ააშენოს წარმატებული ქართული სახელმწიფო, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო თავისი ისტორიიდან მომდინარეობს და თავის ტრადიციებზეა დაფუძნებული.

ასევე შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრების წესი მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და იგი ვაქციოთ მისაბაძად, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვანწილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამისი დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიის და სხვათა მაგალითი.

ვფიქრობთ, ჩვენთვის ბევრის სწავლა შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში მიეღწია დიდი წინსვლისათვის და ამასთან, აეშენებინა ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო.

სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას არა მარტო ხელისუფლება, არამედ ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია ეკლესიას, მეცნიერებს, ინტელიგენციას, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მაინც ახალგაზრდობაზე მოდის, რადგან ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია. მათ უნდა შეიმუშაონ ახალი ეროვნული იდეები, ახალი პროექტები, გამონახონ ახალი გზები განვითარებისათვის და პრობლემების მოგვარებისათვის.

ყველამ ვიცით, რომ ახალგაზრდობისათვის და არა მარტო მათთვის, ერთ-ერთი სერიოზულ პრობლემას ნარკომანია წარმოადგენს. მან დღეს ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა მოიცვა. ზოგიერთს იგი, არასწორი ყოფის გამოვლინებად მიაჩნია, თვით ნარკომანები კი, მას ლამის ვაჟკაცობად თვლიან;

სინამდვილეში ეს არის ლაჩრობა, ეს არის სირცხვილი, ეს არის შიში რეალობისადმი და თავის არიდება იმ პრობლემებისათვის, რომელთა წინაშეც დგას ყოველი ჩვენგანი. იგია ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობა, უარის თქმა იმაზე, რომ შესაძლებლობისამებრ სიკეთე მოუტანო ოჯახს, საყვარელ ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს. (ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ნარკოტიკების გამავრცელებლებზე, რომელთა საქმიანობაც ეშმაკის მსახურებაა).

მე მესმის, რომ ეს მძიმე სენია და ადვილი არაა მისგან თავის დაღწევა, ამიტომაც თანავუგრძნობ მათ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ხელისუფლებამ, მეც და ჩვენმა ეკლესიამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთის მხრივ, შევიმუშაოთ სერიოზული პრევენციული ზომები (განსაკუთრებით მოსწავლეებსა და სტუდენტებში), მეორეს მხრივ, ამ საშინელ ურჩხულს როგორმე გამოვგლიჯოთ ჩვენი შვილები.

ამისთვის აუცილებელია, რომ ადამიანი იყოს მორწმუნე და გრძნობდეს პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე; მას ასევე უნდა ჰქონდეს დიდი სურვილი დაავადებისაგან განთავისუფლებისა და იმედი, ღვთის შეწევნით მიზნის მიღწევისა.

ამ ადამიანს ასევე უნდა ჰყავდეს მოძღვარი და სასულიერო პირს უნდა აკურთხებინოს სახლი, უნდა მარხულობდეს, ხშირად უნდა ამბობდეს აღსარებას, რათა გათავისუფლდეს ცოდვებისაგან და მიიღოს წმინდა ზიარება. დარწმუნებული ვარ, ასეთი პიროვნება, აუცილებლად, დაამარცხებს ცოდვით მიდრეკილებებს და გაიმარჯვებს საკუთარ თავზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცოდვა დღეს არ წარმოშობილა, იგი უძველესი დროიდან არსებობდა და არსებობს, მაგრამ ადრე ცოდვას ცოდვა ერქვა და იგი სირცხვილად მიიჩნეოდა; დღეს კი სიტუაცია იცვლება და იქითკენ მიდის, რომ მოხდეს ცოდვის ლეგალიზება.

განა შეიძლება ნარკომანობა იყოს ჩვეულებრივი მდგომარეობა და ნარკომანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიიჩნეოდეს? განა შეიძლება სოდომ-გომორის ცოდვა ბუნებრივ მოთხოვნილებად შევრაცხოთ და ეს გადახრა ჩვეულებრივ მოვლენად წარმოვაჩინოთ? მაშინ რატომღა ვსჯით მკვლელებსა და ქურდებს, სხვა ბოროტმოქმედთ, მათაც ხომ აქვთ ამ დანაშაულების მიმართ მიდრეკილებები?

ასეთი ლიბერალური მიდგომის პროპაგანდა არ შეიძლება; ამას მხოლოდ ურწმუნონი თუ გააკეთებენ და ისინი, ვისაც სინდისი დამწვარი აქვთ, როგორც ამბობს პავლე მოციქული. მართალია, მათი რიცხვი საქართველოში ჯერ დიდი არ არის, მაგრამ ეკლესიის ვალია გააფრთხილოს ისინი და აუხსნას, რომ იმქვეყნად თავის თავს საშინელ ხვედრს უმზადებენ, თუმცა არც ამქვეყნად დარჩებიან დაუსჯელნი.

მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნიკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგიცაა.

მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არაქართული ტერიტორიებია.

ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიზირებული მეცნიერებებია და, ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავის ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისთვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები (გათიშე და იბატონეს პრინციპი).

ჯერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა.

ქართული საზოგადოება წინ აღუდგა აფხაზთა მუჰაჯირობის (გადასახლების) პროცესსაც, ვინაიდან აფხაზები ოდითგან ჩვენი კულტურის და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყვნენ და არიან.

ასევე ჩვენი ნაწილი არიან ოსები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობენ.

სამწუხაროდ, აფხაზებისა და ოსების ბოლო თაობები იმ იმპერიულ ისტორიოგრაფიაზე გაიზარდნენ, რომელმაც მათ ქართველებისადმი არამეგობრული დამოკიდებულება ჩამოუყალიბა.

ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა. მაგრამ ჩვენს შორის არსებული ნათესაური, მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების გამო მტერმა მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწია.

ამიტომაც, მიუხედავად ყველაფრისა, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ძირითადად განიხილება როგორც პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი და არა ხალხებს შორის მომხდარი კონფლიქტი, რისი დადასტურებაცაა თუნდაც დღეს, ორივე მხარის უბრალო ადამიანების ძირითად ნაწილში კეთილგანწყობითი ურთიერთდამოკიდებულება.

ვლოცულობთ, რომ მალე აღდგეს ნამდვილი მშვიდობა და ერთობა ჩვენს შორის.

ის ძალები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირისპირდებიან, ეკლესიის წინააღმდეგაც გამოდიან და სურვილი აქვთ, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით იგი წარმოაჩინონ სხვა კონფესიების უფლებების დამრღვევად და ამის ერთ-ერთ მიზეზად კონსტიტუციურ შეთანხმებასაც ასახელებენ. ისინი, რელიგიური თავისუფლების მოტივით, ითხოვენ ყველას თანასწორუფლებიანობას, მაშინ, როდესაც მსგავსი სამართლებრივი მოდელი არცერთ ტრადიციული კულტურის სახელმწიფოში არ არის.

მაგალითად, არცერთ ქვეყანაში არ არის ყველა კონფესიის დიდი დღესასწაული სახელმწიფო უქმე დღედ გამოცხადებული. არცერთ სახელმწიფოში ჯარში არ მსახურობს ყველა კონფესიის სამხედრო მოძღვარი და. ა.შ. რაც უბრალოდ ქაოსსა და ანარქიას გამოიწვევს.

პირიქით, ევროპაში სწორედაც, რომ სხვა მაგალითები გვაქვს: ბრიტანეთის სახელმწიფოს მონარქი, ამავდროულად არის ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, ხოლო ეპისკოპოსები - ლორდთა პალატის წევრები არიან; რომის პაპი სახელმწიფო ვატიკანის მეთაურია; ვატიკანი კი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება შეიქმნა ევროპული ქვეყნების სამართლებრივი მოდელების შესაბამისად და მას მხარი დაუჭირა ქვეყანაში არსებულმა ყველა ტრადიციულმა რელიგიამ. იგი, აგრეთვე, იყო საერთო-საჯარო განხილვის საგანი და შეიძლება ითქვას მთელი ქართველი ერის მხარდაჭერით იქნა მიღებული.

ამ დღეებში შემდგარმა წმინდა სინოდის სხდომამ, ერთ-ერთ საკითხად მიიღო საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტი, სადაც არის თხოვნა კონსტიტუციური შეთანხმების სრულად განხორციელებისათვის ორმხრივი კომისიების ამუშავების შესახებ. ვიმედოვნებთ, ეს თხოვნა მალე რეალობად იქცევა.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ განსაცდელს უფალი უშვებს, რათა როგორც ცალკეული ადამიანი, ისე ესა თუ ის ერი გამოიცადოს „ვითარცა ცეცხლში გამოწრთობილი ოქრო“.

„გამოსვლათას“ მთელი წიგნი არის მოწმობა ცოდვათა გამო ისრაელის დაცემისა და სინანულით განწმენდილი ერის ღვთის მადლით კვლავ აღდგინებისა.

ქართველი ერის მთელი ისტორიაც სულიერი გზაა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჩვენზედ განცხადებული ღვთის სასწაულისა არის დავით აღმაშენებლის დროს ქართველთა დაცემული სამეფოს აღორძინება და იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა.

მთელ ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს „ძლევა საკვირველი", რადგან თექვსმეტი წლის ყმაწვილმა დავითმა ჩაიბარა ტერიტორიებდაკარგული, გაღატაკებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, სულიერად და მორალურად განადგურებული ქვეყანა და ღმერთმა თავისი სიდიადე სწორედ ამ ახალგაზრდა მეფის საშუალებით დაუძლურებული ერში განახორციელა; და კვლავ განცხადდა პავლე მოციქულისადმი ნათქვამი უფლის სიტყვები: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების..."(II კორინთ. 12.9).

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ღვთის განგებულებით, ქართველთა გამოხსნისა და აღორძინების საქმე დავითს არც დაუწყია და არც დაუმთავრებია. ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით. საქართველოს აღორძინების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ასევე იყო მტერთაგან დასუსტებულ ქვეყანაში სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აგება და ერის სულიერი მომზადება. აი, ამან შექმნა წინაპირობა დავითის საქართველოსთვის.

ასე, რომ კაცთათვის შეუძლებელი, შესაძლებელია ღმრთისაგან, მაგრამ ერის განწმენდის გარეშე ეს სასწაული არ აღსრულდება. აუცილებელია მოხდეს სინერგია, ანუ უფლის და ადამიანის ნების თანხვედრა.

საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი!

პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ჟამი როგორც შრომისა, ისე ლოცვისა, აღსარებისა და ზიარებისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს შვიდგზის ლოცვას, რადგან ამ დროს ათასობით და ათიათასობით ადამიანი ერთიანდება და აღავლენს ერთობლივ ლოცვას ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: „სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათ შორის ვარო" და როცა ამდენი ადამიანი შეჰღაღადებს უფალს და დახმარებს სთხოვს, რა თქმა უნდა, იგი ჩვენთან იქნება. ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს ეკლესიის ყველა სულიერი შვილს, - როგორც ქართველთ, ისე სხვა ერის წარმომადგენელთ, რომ შვიდგზის ლოცვა გააძლიერონ და ეს იქნება დასაწყისი საქართველოს გაბრწყინებისა.

დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ანგელოზნი უგალობენ ახალშობილ მაცხოვარს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" და ჩვენც მათთან ერთად აღმოვთქვამთ სადიდებელს ღვთისას:

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყეველი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

საშობაო ეპისტოლე კი მსურს დავამთავრო ჭეშმარიტი ღვთისადმი ერთგულების გამო ბაბილონის კერპთმსახური მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ ცეცხლში ცოცხლად ჩაგდებული და უფლისგან სასწაულებრივად გადარჩენილი სამი ყრმის: ანანიას, აზარიასა და მისაელის ღვთისადმი ლოცვით:

„აკურთხეთ, ადამის ძენო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე...

აკურთხეთ, მღვდელნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, უფლის მორჩილნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, მართალთა სულნო და სამშვინველნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე!

აკურთხეთ, წმიდანო და გულით გლახაკნო, უფალი, უგალობეთ და განადიდეთ უკუნისამდე... რადგან მან გამოგვიყვანა ჯოჯოხეთიდან, მან გვიხსნა სიკვდილის ხელიდან".

კურთხეულო საქართველოვ შეისმინე სიტყვა უფლისა: „აჰა ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს". (გამოცხადება 3,8).

მაშ, გავუღოთ გული ჩვენი ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა და ვიხაროთ უფალთან ერთად.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა".

ქრისტესმიერ საყვარელო ჩვენო სულიერი შვილებო, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ დღესასწაულს და ახალ წელს.

იხარეთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თქვენთვის მლოცველი

**ილია II**

**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**
**ქრისტესშობა**
*თბილისი, 2006 წელი*



## მეორე გვერდიდან

მათ გადადგომას, რათა მათი ადგილი დაიკავონ „მოვალეობის შესრულებლის სტატუსით". ამას ჰქვია ქართული ანდაზით „აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო".

### „მცირე, დიდი - ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი"

ვიყიდებით შინ და გარეთ ნებისმიერი ხერხით. სახელმწიფო პოლიტიკა გადასულია ტოტალურ პრივატიზაციაზე, თავის ნათქვამში გაამჟღავნა ეს პოზიცია მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმაც - „უნდა გავყიდოთ ყველაფერი, სინდისის გარდაო".

ამ „სინდისის გარდა"-ზე იმიტომ გაამახვილა ალბათ ყურადღება, რომ ამ მთავრობას სინდისი კარგა ხნის გაყიდული ჰქონდა. ასე იავარ-ქმნეს აჭარა, ასე იავარქმნეს ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტები.

რაც შეეხება აჭარას, ორიოდ სიტყვით მინდა ვთქვა, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების ძალადობით დამხობა იყო უკანონო და უსამართლო, თვით სააკაშვილმა მოაწყო ინსპირირება აბაშიძის რეჟიმის დასამხობად, ეს კი მისი მხრიდან ამორალური საქციელი იყო. მას სხვანაირად შეეძლო აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება, მაგალითად საკანონმდებლო წნეხის ქვეშ მოექცია „მცირე ფაშა", ან არჩევნების გზით.

ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი არის სულსწრაფი პიროვნება და ქმნის არასრულფასოვანი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას. მას ვერ უწოდებს კაცი ჩამოყალიბებულ, ბრძენს, თუნდაც ჭკვიანს. მასზე გასაოცრადაა ზედგამოჭრილი ქართული სიტყვა „ჩიტირეკია". ამას მთელი მისი არსებით ადასტურებს ყველა ნაბიჯზე. იგი ვერასოდეს იქცევა ერის ზნეობრივ მაგალითად, თუმცაღა „რევოლუციის" ხანებში იგი გულწრფელად შეიყვარა ხალხმა, საკუთარი ბედი და მომავალი ანდო, და როგორც ზემოთ ავღნიშნე, ხალხი აქაც მოტყუებული დარჩა, არადა მის „რევოლუციურ" ქმედებებს, საუბრის ლოგიკას, თვით პიროვნულადაც ადარებდნენ ზვიად გამსახურდიას, მოჰქონდათ ყურით მოთრეული პარალელები ზვიადისა და მიშას ხასიათებში.

არ გაამართლა!

რადგან „წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო", ხელში კი შერჩათ საეჭვო ქმედითუნარიანობისა და გონებრივი მონაცემების პატრონი, ღვირახსნილი მექალთანე და პოლიტიკური ბეცი.

ვის უნდა მიბაძოს ასეთ შემთხვევაში ხალხმა მაშინ, როდესაც თვით ოპოზიციაც თავის სათანადო და ღირსეულ სიმაღლეზე ვერ დგას?! ყველას სურს მორთმეული კეთილდღეობა, რაც საქართველოში მაინც გამოიხატება იმაში, რომ როგორმე მოტყუებისა და ცბიერების გზით მოხვდნენ პარლამენტში, უკეთეს შემთხვევაში დაისაკუთრონ თბილ-თბილი სავარძლები. ამ საკითხშიც ერთი პარადოქსული უცნაურობა სჭირს „პოსტრევოლუციურ" და მართლაც რევოლუციის ზღურბლზე შემდგარ საქართველოს - თუ გსურს გახდე მინისტრი, უნდა გქონდეს გავლილი ევროპაში, უკეთეს შემთხვევაში ამერიკაში კოლეჯის კურსი მაინც, არაფერს ვამბობ უმაღლეს განათლებაზე, ხოლო თუ რა ჯდება ევროპაში ან ამერიკაში არათუ სწავლა, გამგზავრებაც კი, კარგად მოეხსენება როგორც ქართველობას, ასევე ნებისმიერ უცხოელს. გამომდინარე აქედან, ჩვეულებრივი მოქალაქისათვის მინისტრის პორტფელი კი არა, ბაღის გამგის ადგილიც კი მიუწვდომელია. სხვა შემთხვევაში, თუ სურს ამ ნომენკლატურის კიბეზე ნელ-ნელა აცოცდეს, თავდაპირველად უნდა დააგროვოს ბევრი ფული (ცოტა არ ეყოფა ამ საქმეს), შემდეგ აუცილებლად უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის" აქტიური (და არა რიგითი) წევრი და ბოლოს უნდა ჰყავდეს ლობი (ან პარლამენტში, ან სამინისტროში, ან პრეზიდენტის აპარატში, ერთის სიტყვით სატახტო ქალაქში და მხოლოდ სატახტო ქალაქში, ადგილობრივი წურბელები არ გამოდგებიან). თანამდებობებზე კარგა ხანია აღარ ინიშნებიან გონებრივი მონაცემებითა და პრაქტიკული გამოცდილებით ადამიანები. იყავი „ნაც.მოძრაობის" წევრი (მოკლედ რომ ვთქვათ, ნაცისტი)? გჭერია მიტინგებზე დროშა და საჭიროების შემთხვევაში კონდახად გამოგიყენებია იგი? დაუნდობლად გიცემია შენი მოწინააღმდეგეები და მათაც უცემიხარ შენ?

- ჭრილობას მოგიშუშებენ არა წამლით, არამედ გარკვეული გავლენის სფეროების თქვენთვის ჩაბარებით, ანუ დაგნიშნავენ თანამდებობაზე - მერე გინდ ბოთლებზე დაჯექი, გინდაც... სხვა რამეზე, ამას უკვე აღარ ექნება არსებითი მნიშვნელობა.

### „მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი"

არსებულმა ხელისუფლებამ პირველი დარტყმა მიაყენა იმ ხალხს, ვინც „რევოლუციის" დღეებში ალალად დაუდგა გვერდით. მან აკრძალა ბაზრობები, ამით დააზიანა ღარიბი ფენის შემოსავლის წყარო, ის რითაც წლით-წლობამდე თავი გაჰქონდა საზოგადოების დაბალ ფენას. რამდენ ბაზრობას მიადგა „ნიღბიანი" ვინ იცის; განსაკუთრებული გულმოდგინებით დაარბიეს ამ ბოლო ხანებში რესტორანი „ნიკალა", - საზოგადოების თავშეყრის ასეთ ადგილზე შექმნეს დისკომფორტი, სამაგიეროდ ბოდიშიც მოიხადეს და ისეთი ბოდიში, გინებაზე უარესი რომაა. გაცილებით ადრე „რევოლუციის" გარიჟრაჟზე არნახული სისასტიკით დაარბიეს „ომეგა-ცენტრი", მისი რბევის შედეგად ულუკმაპუროდ დარჩა საშუალო ფენა, მეტწილად მწერლები და კულტურის მოღვაწეები, რადგან „ომეგა-ცენტრმა" დაასაქმა და საარსებო წყარო მისცა მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებსა და პოლიგრაფისტებს. სამაგიეროდ ფართოდ გაუღეს კარი ისეთ უნიჭო მწერლებს, როგორებიც არიან ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე და დათო ტურაშვილი. უხეშად ერევიან და ჯერაც ვერ წაურთმევიათ ქართველი მწერლებისათვის „მწერალთა კავშირის" შენობა, რათა შემდგომად ამისა გადააბარონ ბენდუქიძის უწყებას და სარფიანად გაასაღონ იგი.

თუ აჭარაში ავტორიტარული რეჟიმი იყო და მას მართავდა როგორც დღევანდელი „ძლიერნი" მოიხსენიებენ, „ტანმოკლე ფაშა" და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნილი ჰქონდა მაქსიმალური კომფორტი და საარსებო წყარო, პატრონობდა მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებებს, დღევანდელი მისი მონაცვლე ფაქტიურად არის „თბილისის რესპუბლიკის" გუბერნია, სადაც თავისუფლად გზახსნილი აქვს ყველა ჯურის ავანტიურისტებს, რათა დაისაკუთროს ედემის ბაღად ქცეული ოაზისის ყველა ღირებულებანი.

სამაგიეროდ კუდქიცინა მურიებად გვევლინებიან ჩვენი „ძლიერნი" უპირველეს მტერთან რუსეთთან, მისგან გამომდინარე აფხაზეთთან და განსაკუთრებით სამაჩაბლოს, თვითმარქვია ოსეთად მონათლულ, ყაჩაღურ მთავრობასთან, რომელთანაც გაუთავებლად და დაუზარელად მართავენ უნაყოფო მოლაპარაკებებს.

დემოკრატიის დასაცავად თვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კი ძალას მიმართა და ისეთ ძალას, რომელიც უცხო ქვეყნის ანექსიისა და ოკუპაციის ტოლფასია, მაგრამ შტატებიცა და მისი მოკავშირეებიც (მათ შორის საქართველოც) ამ ნაბიჯზე წავიდნენ. შევარდნაძის მეორედმოსვლის ეპოქამ თავისი არსით დაამტკიცა სეპარატისტებთან მოლაპარაკებათა გამართვის უნაყოფობა. ომით წართმეული არასოდეს მშვიდობით არ დაბრუნებულა. პირიქით, პავლე მოციქული გვასწავლის - „ვინაც აღიღოს მახვილნი, მახვილითვე წარიწყმიდოს"...

### ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!

ასე და ამრიგად „რევოლუციამ" თავისი შვილები შეჭამა და ისე შეჭამა, რომ ამბის გამკითხავი არც კი დატოვა. დაიშალა „ტრიუმვირატი" - დასამარებულია ჟვანია, კუთხეშია მიგდებული ბურჯანაძე, ოქროს ხანას განიცდის სააკაშვილი. ასე იყო ოდითგან, ყველა „ტრიუმვირატი" ერთმანეთს ჭამდა, რათა ერთი დარჩენილიყო ძლიერთაგანი. იულიუს კეისარმა გადალახა რუბიკონი, რათა გამართლებულიყო ტრიუმვირატის დაშლა, მაგრამ იგი იულიუსი იყო, თავისი ეპოქის დიდი პროგრესული მოაზროვნე, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე. მას წინ უდევს ენგური, რათა გაამართლოს შევარდნაძის ტრიუმვირატის დაშლა.

ხალხი? ხალხი აღარ იკითხება;

ერი? ერი აღარ იჯერიება;

ილიამ ჯუზეპე ჯუსტის „ლოკოკინას" (ლექსი) შთაგონებით შექმნა თავისი შედევრი „ბედნიერი ერი". ეს ჯუზეპე ჯუსტი გარიბალდელი პოეტი იყო. ევროპაში იმ პერიოდში მოდაში იყო რევოლუციური მოძრაობისადმი მხარდაჭერა, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მაშინ დიდი ადამიანები აზროვნებდნენ, ახლა კი ავანტიურისტები.

**მანუჩარ კაჭახიძე**

## წერილი მამას

არაფერი შეედრება იმ ტკივილს, როცა ადამიანის გულს მშობლის გარდაცვალებით გამოწვეული სევდა ეუფლება; როცა შენს სულს აკლდება მშობლიური, ღვიძლი, ტკბილი სიტყვა; როცა გერთმევა იმედი იმისა, რომ აღარასოდეს მოგეფერებიან როგორც შვილს და სასთუმალთან არავინ დაგარიგებს კეთილისა და ბოროტის გარჩევას; როცა ძალიან გახარებული უცებ გაიქცევი, რომ შენი სიხარული გაუზიარო, მაგრამ სიცარიელის ცივი სუსხი დაგხვდება თბილი გულის ნაცვლად.

უფრო მძიმეა განცდა იმისა, რომ შენზე ფიქრში, შენი ნახვის ოცნებაში ჩაიფერფლა მშობელი მამის გული, როცა მის გაყინულ ცხედარს შენი ალალი ცრემლიც კი არ წაჰყოლია; როცა სიკვდილჩაკიდულს შვილის თბილი ხელიც არ შეხებია.

მენატრები ჩემო მამი... მენატრები! მენანები! მებრალები!

მტკივა შენი განშორებით, სიცოცხლის ბოლო წუთებში შენთან არყოფნით დამძიმებული გული.

ვიცი, რომ ჩემზე ფიქრში ჩაიფერფლე. გეძნელებოდა ერთადერთი შვილის გარეშე ყოველი დღის გათენება და დაღამება. დაგიმდა კიდეც ცხოვრების ნახევარ გზაზე...

მეცოდები...

რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო მემატება მონატრების მძიმე განცდა.

დადგება დრო, როცა მოვალ შენს საფლავთან, და მდინარედ იხუვლებს ჩაგუბებული ცრემლის ნიაღვარი.

მანამ კი, იცოდეს შენმა ტკბილმა სულმა, რომ ძალიან მიყვარხარ და უფალს ვევედრები სასუფეველი დაგიმკვიდროს ცათა შინა.

შორიდან ვეფერები შენი სულის ნათელ ნათებას ჩემო მამი... და

### ვალერი მაჭარაშვილის ხსოვნას

მენანები, რომ თან წაგყვა ჩემი დარდი და მონატრების მძაფრი სურვილი.

ვეალერსები შენს სულს და ვკოცნი ლოდად ქცეულ შენს კეთილ გულს.

პირველი შენი დაბადების დღეა უშენოდ მამიკო... მე მაინც, როგორც ცოცხალს, გილოცავ!

მიყვარხარ, მენატრები...

**შენი ერთადერთი შვილი**

***მიხეილ სააკაშვილმა თემურ შაშიაშვილი ბოლო დროს იმდენჯერ ახსენა, იმერეთის ყოფილ გუბერნატორს გრიპის ვირუსი შეეყარა, თუმცა, მოძრაობა „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირის“ ფარეხიდან გაეცნო და ხოტბაც არაერთხელ შეასხა, ვარდებდამჭკნარ ხელისუფლებას ძველებურად არ ეპუება და განკითხვის დღეს უმზადებს. რაც მართალია, მართალია, თემურ შაშიაშვილმა სააკაშვილის, ბურჯანაძისა და კიდევ ბევრის საიდუმლო იცის... იცის, წარამარა როგორ ურეკავდა ქუთაისში შევარდნაძე, — შაშიაშვილი „მოქკავშირს“ ნუ ლანძღავს, ახალგაზრდებმა შემაღონესო!.. ნამეტანი შემაწუხეს, თავს ზევით ძალა არ მაქვს და იმერეთის წისქვილკომბინატები და პურის ქარხნები ანზორ ბურჯანაძეს დაუქვემდებარეო!.. ისიც იცის, 2 ნოემბრის არჩევნების წინა ღამეს გუბერნატორები როგორ გააფრთხილეს საგანგებოდ, — ხმა „ნაცმოძრაობას“ და „მოქკავშირს“ მიეცითო!.. ახალი პრეზიდენტი ხომ არ მოსწონს და არ მოსწონს, მაგრამ თეიმურაზ შაშიაშვილი ძველის გასამართლებასაც ითხოვს. დიახ, „წინ საქართველოს“ ლიდერი შევარდნაძის გასამართლებას აპირებს.***

# თეიმურაზ შაშიაშვილი: ლუსტრაციის კანონპროექტით

## საქართველოს კანონპროექტიდან ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარების და რეესტრის წარმოების შესახებ



### 1. თანამდებობრივი შეზღუდვები

**1.1. ამ კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეზღუდვები შეეხება შემდეგ თანამდებობებს:**

**ა)** წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების წევრებს და თანამდებობის პირებს, რომელთა არჩევის წესიც დადგენილია ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;

**ბ)** წინა პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების მიერ არჩეულ, დანიშნულ ან დამტკიცებულ საჯარო თანამდებობებს;

**გ)** საკონსტიტუციო, უზენაესი და საერთო სასამართლოების მოსამართლეებს;

**დ)** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის აპარატის და მთავრობის კანცელარიის საჯარო მოსამსახურეებს;

**ე)** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, რომელთა თანამდებობებიც ითვალისწინებს პოლკოვნიკის ან უფრო მაღალ სამხედრო წოდებას;

**ვ)** საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების და მათი ტერიტორიული ერთეულების ოპერატიული ქვედანაყოფების მოსამსახურეებს, აგრეთვე სხვა ქვედანაყოფების მოსამსახურეებს, რომელთა თანამდებობებიც ითვალისწინებს პოლკოვნიკის ან უფრო მაღალ სამხედრო წოდებას.

**1.2. წინა პუნქტის ბ)-ვ) ქვეპუნქტებით დადგენილ თანამდებობებზე არ შეიძლება დანიშნული ან დამტკიცებული იქნენ პირები, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ:**

**ა)** ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები;

**ბ)** ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები;

**გ)** საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და რაიონული კომიტეტის მდივნები;

**დ)** საქართველოს სსრ ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები და რაიონული კომიტეტის მდივნები;

**ე)** საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**მიხეილ სააკაშვილი**

**თბილისი, 2005 წლის...დეკემბერი**

- მთელი სახელმწიფო აპარატი კორუფციის ჭაობშია ჩაფლული და საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აჭარა საქართველოს კი არ დაუბრუნა, აჭარის მოსახლეობას ხელიდან გამოჰგლიჯა-მეთქი! ამ ხმამაღალ განცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ უამრავი ადამიანი გამოგვეხმაურა და დავრწმუნდით, რომ მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე წარმოგვედგინა. კორუფციაში ჩართულია ქვეყნის პრეზიდენტიც და იქ, სადაც ფული და ფინანსები ტრიალებს, ფინანსური პოლიცია იქნება, საგადასახადო სამსახური თუ ა. შ., თბილისიდან კი არ ინიშნებიან, პირდაპირ იგზავნებიან ფულის საკეთებლად. დღეს თუ რაიონებში რაიმე კეთდება (გზების დაგებას, ე. წ. ასფალტიზაციას ვგულისხმობ), მუშახელსაც თბილისიდან აგზავნიან. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც უმუშევარია და არანაირი სახსარი არ გააჩნია, კარგად ხვდება, ამ სამშენებლო ფირმების უკან თუ ვისი ოჯახური კლანის ინტერესი დგას... შევარდნაძეს სამართლიანად აკრიტიკებდნენ - შენი ახლო ნათესავები და ძმისშვილები ნავთობბიზნესში არიანო, მაგრამ რა შეიცვალა? **ნავთობბიზნესში შევარდნაძის კლანი ჩაანაცვლა სააკაშვილის კლანმა და პრეზიდენტის ძმა ახლა უკვე ლონდონიდან აცხადებს, რომ ის საქართველოში „კანარბოს“ წარმომადგენელია.** ბანკებში, ნავთობბიზნესში, სადაზღვევო სამსახურებში, პრაქტიკულად ყველგან, სადაც დიდი და, ამავე დროს, შავი ფული ტრიალებს, სადაც ყველაზე ადვილია ფულის შოვნა და ამ საქმეს არ სჭირდება დიდი განათლება და ჭკუა-გონება, ყველგან შევიდნენ მიხეილ სააკაშვილის ნათესავები, ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები. **„სილქ როუდ“ ჯგუფი თავის დროზე აკაკი ჩხაიძემ შექმნა.** თუ ვინმე მივიდა და მიიყვანეს იქ, მიიყვანა აკაკი ჩხაიძემ. ეს ხალხი დღეს საქართველოში აყვავებულია... მათ იყიდეს სასტუმრო „ივერია“, მათ იყიდეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, „ლოკომოტივის“ სტადიონიც და საფეხბურთო გუნდიც კი მათი ყოფილა... მიხეილ სააკაშვილი ვისაც კი „ფულის ტომარას“ ეძახდა, ყველას ჩაუძვრა ტომარაში და ყველას ქონება დაისაკუთრა. ვეკითხები საზოგადოებას, არ არის ეს კლანების ჩანაცვლება? პრეზიდენტს საუცხოო ურთიერთობა აქვს ძველ „ფულის ტომრებთან“ და **ამ დროს დიდი დავით ყიფიანის გაჭირვებამდე მიჰყავთ, როცა გუნდს უშლიან!**

**- ბატონო თემურ, ამასწინათ ტელევიზიით ძველი კადრები უჩვენეს... სააკაშვილი ეუბნებოდა კეზერაშვილს, სასწრაფოდ ხალხი ჩამოვიყვანოთ სამეგრელოდან და ეს ნაძირალები აქედან გავყაროთო. უცებ გამოჩნდით თქვენ და სააკაშვილს უთხარით, - სააკაშვილზე უფრო დიდ ნაძირალას მე აქ ვერ ვხედავო!.. რა ხდებოდა, სად შეეტაკეთ ერთმანეთს?**

- ეს 2 ნოემბრის არჩევნებამდე მოხდა ზესტაფონში!.. რაც მაშინ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩაიდინა, საზიზღრობა იყო. შევარდნაძის გარშემო შეკრებილი გამყიდველური ძალა შეკრული იყო „ნაცმოძრაობასთან“. 2003 წლის 20 სექტემბერს თერჯოლაში ტაძარი იხსნებოდა - ბატონი თოფაძე, მე, ყველანი იქ ვიყავით. მირეკავენ და მეუბნებიან - შევარდნაძემ ზესტაფონის გამგებელი კვეტენაძე გაათავისუფლაო! ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, ისე მოხდა ეს და აღვშფოთდი; თანაც კვეტენაძე არ იყო გასაშვები კაცი, მოგვიანებით შევარდნაძეს კვეტენაძე თავის ადგილზე დავაბრუნებინე. სხვა საკითხია, მერე როგორ მოიქცა კვეტენაძე, თორემ მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარ... მთელი საქართველოს გასაგონად ვაცხადებ: **„ნაცმოძრაობასთან“ შეკრული შევარდნაძის გამყიდველი გარემოცვა შევარდნაძეს ისეთ გადაწყვეტილებებზე აწერინებდა ხელს, რომ ხალხის მღელვარება გამოეწვიათ.** არჩევნების წინ ზესტაფონის გამგებლის გათავისუფლებაც ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო. ასევე, დაურეკეს კანცელარიიდან 2 ნოემბრის არჩევნების წინ კახეთში, ქართლში გამგებლებსა და გუბერნატორებს და მითითება მისცეს, - ემუშავათ ორი ძალის გამარჯვებაზე, ხმა მიეცათ „ნაცმოძრაობისა“ და „მოქკავშირისათვის“! ამის თქმა მე ვერავინ გამიბედა, რადგან კარგად იცოდნენ „მოქკავშირისადმი“ ჩემი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ კანცელარიიდან მსგავსი ულტიმატუმები იყო. ერთი სიტყვით, თერჯოლაში ვართ გამგებლის მოადგილის დაკრძალვაზე და მირეკავენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ზესტაფონის გამგებელს - კვეტენაძეს, რომელიც შევარდნაძეს დავაბრუნებინე თანამდებობაზე - კაბინეტში არ უშვებენო. უშიშროების უფროსმა ისიც მითხრა, თქვენ არ მოხვიდეთ, საშიში ვითარებააო!.. ლაჩრები, მართლაცდა, ლაჩრები!.. სასწრაფოდ ჩავედი ზესტაფონში. გამგეობის შენობასთან შვიდი-რვა კაცი დამდგარა და კარში არავის ატარებს. პოლიცია, უშიშროება გარედან უყურებს სეირს. ჩავჭერი ის შვიდი-რვა კაცი და ძალით შევედი გამგეობაში. კაბინეტში ვზივარ... ამ დროს კაბინეტში შემოვარდა ორმოცდაათამდე კაცი!.. თურმე, სააკაშვილი გზაში ყოფილა, დაურეკავთ და ჩვენკენ წამოსულა!.. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ესენი არიან კურდღლები, სააკაშვილს მარტო დაცვა მოჰყვებოდა ორმოცდაათი კაცი... ჩვენ ორნი-სამნი თუ ვიქნებოდით კაბინეტში. ძალიან უნდოდათ, რომ კაბინეტიდან გავქცეულიყავი, მაგრამ უკან არ დამიხევია, დავიცავი ის ღირსება, რაც იმერეთსა და ზესტაფონს ოდითგანვე ჰქონდა. სააკაშვილმა მაშინ ზოგადად დაიწყო შევარდნაძის გარემოცვის ლანძღვა, მაგრამ მე მას კონკრეტულად ვუთხარი, - სააკაშვილზე უფრო დიდ ნაძირალას აქ ვერავის ვხედავ-მეთქი! ხელისუფლებამ მაშინ გამო-იჩინა სისუსტე, ზესტაფონის ფაქტი რომ არ გამოიძია!.. ასე ველურებივით დღეს რომ შეცვივდნენ გამგეობის შენობაში, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხენ!.. **მიხეილ სააკაშვილს ყოველთვის მივიჩნევდი ბოლმიან, გაუწონასწორებელ და არასერიოზულ პიროვნებად. ამერიკის პრეზიდენტი როცა ჩამოდიოდა საქართველოში, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა რამდენიმე ჟურნალისტთან ერთად სააკაშვილს კაბინეტში შეუტანა იმ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების სია, რომლებიც ჯორჯ ბუშს უნდა შეხვედროდნენ. ერთადერთი კაცი, რომლის გვარ-სახელიც სააკაშვილმა გადახაზა, მე ვიყავი და რა უნდა ელაპარაკო ასეთ ბოლმიან კაცს?** ტყუილი აღმოჩნდა სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ ყველა დაპირება ზესტაფონის „ფეროსა“ და „ჭიათურმანგანუმის“ შესახებ. ამ ორ უმძლავრეს და გამართულ კომპლექსს დღემდე მართავენ ის ხელმძღვანელი პირები, რომელთა სახელის გაგონებაც სააკაშვილს ვითომ არ სურდა. ყველა რგოლში, ყველა უჯრედში შენარჩუნებულია ის კორუმპირებული კადრები, რომლებსაც სააკაშვილი ვითომ ებრძოდა. ამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც, ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი - კაპანაძე დღემდე ქარხანაშია. მე თავიდანვე ვაცხადებდი, რომ „ფეროსა“ და „ჭიათურმანგანუმში“ „ნაცმოძრაობის“ დღევანდელი აქტივისტებისა და სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის, კერძოდ, ბეჟუაშვილის სერიოზული ფინანსური ინტერესები იდო.

**- ბატონო თემურ, დღეს 9 დეკემბერია, ზურაბ ჟვანიას დაბადების დღე...**

- სწორედ ამიტომ ვიკავებ ზურაბ ჟვანიას ხსენებისგან თავს!.. **ეჭვი არ მეპარება, იგი ამ ხელისუფლებამ მოკლა და უკვე მკვდარი ჟვანია აქციეს გმირად!** ცოცხალ ჟვანიას ებრძოდნენ და მოკლეს, **არც ის იყო მართალი, როგორც ებრძოდნენ ჟვანიას და არც ის, რომ ის გმირია!..** ჟვანია იყო რიგითი ქართველი პოლიტიკოსი, მაგრამ **თავისი გარემოცვიდან - ყველაზე უკეთესი.** ეს არის ჩემი პასუხი!

**- თქვენ ჩემთან კერძო საუბარში ახსენეთ, რომ შევარდნაძე უნდა გასამართლდეს...**

- მე თქვენი პოპულარული გაზეთისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ **„მოქკავშირი“ უნდა გასამართლდეს!** რაც დრო გადის, უფრო და უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ **უნდა გასამართლდეს შევარდნაძეც!** შევარდნაძის სასამართლო, თუ ის მართალია, თვითონ შევარდნაძისთვის შეიძლება იყოს კარგი. თავად უნდა აძლევდეს ხელს პროცესი და უნდა თქვას, - **დიახ, მე უნდა გამსამართლდე!** შევარდნაძე უნდა გასამართლდეს იმიტომ, რომ **შევარდნაძის თითქმის ყველა თანაშემწე და მრჩეველი დღეს დაწინაურებულია.** თუ ეს ხალხი ასეთი კარგი და ჭკვიანი იყო, შევარდნაძე რატომ არ უსმენდა? **მას ამის გამო პასუხი უნდა მოვთხოვო!** თუ ესენი ყველანი გამყიდველები იყვნენ, მაშინ ესეც ხმამაღლა უნდა ითქვას. შევარდნაძეს აკრიტიკებენ პრივატიზაციის გამო, არადა, ვინც ჩაატარა ქვეყანაში პრივატიზაცია, ისინი დღეს ორივენი დაწინაურებულნი არიან. ე. ი. რა გამოდის, შევარდნაძე არ უსმენდა პრივატიზაციის მინისტრებს? თუ ეს ასე იყო, მაშინ **შევარდნაძე უნდა გასამართლდეს.** მთელი უშიშროების საბჭო და ადმინისტრაციული ორგანოები, ძველი ხელმძღვანელები დაწინაურებულნი არიან, შევარდნაძის ოცდაათამდე მინისტრი დღეს დაწინაურებულია. რატომ ათავისუფლებდა და ხსნიდა იგი ამ ხალხს? **ამისთვის უნდა გასამართლდეს!** ნოღაიდელი, ეს მართლაცდა უწიგნური და ბნელი კაცი, პარლამენტში გამოვიდა და თქვა, - ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარობას გადავარჩინეთ საქართველო!.. მაინტერესებს, რატომ ჰყავდა შევარდნაძეს ასეთი მინისტრი? მაჭავარიანი, გიგი წერეთელი, დღეს რომ ასეთი „კარგები“ არიან და „აშენებენ ქვეყანას“, რატომ ჰყავდა შევარდნაძეს გვერდით? **გამოდის, რომ ეს კაცი თვითონ ყოფილა ყველაფერი და არავის არაფერს ეკითხებოდა... აი, ამისთვის უნდა გასამართლდეს შევარდნაძე**. შევარდნაძემ ორად ორი რამ მთხოვა და მე ორივეზე ვითხოვ პასუხს!..

**- რა გთხოვათ ასეთი?**

- როდესაც მას სურდა, პურისა და ფქვილის ბიზნესი ხელში ჩაეგდო მისი ახლობლისათვის, ქუთაისში მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მხარი დამეჭირა პურის ქარხნებისა და წისქვილკომბინატების გაერთიანებისათვის, რაზეც კატეგორიულ უარს ვაცხადებდი. ხშირად მირეკავდა **ვაჟა ლორ-**

# ჟიული შარტავა მეორედ მოკლეს!

**თქიფანიძე...** ერთ დღესაც მითხრეს, - შევარდნაძეც დაგირეკავსო!.. მართლაც დამირეკა და მითხრა, - თემურ, ხომ იცი, ჩემი ახლობელია, ძალიან შემაწუხეს, მთხოვენ და იქნებ ხელი შეუწყო, რომ ასეთი გაერთიანება მოხდესო!..

**- ვისზე გეუბნებოდათ?**

- არ მინდა ახლა დაკონკრეტება!..

**- სხვაზე ვისზე გეტყოდათ, თუ არა ანზორ ბურჯანაძეზე?**

- ჰო, **დღეს ეს ოჯახი ემიჯნება შევარდნაძეს, არადა, 1992 წლის მარტში შევარდნაძე რომ მოსკოვიდან თბილისის აეროპორტში ჩამოფრინდა, მთელი ოჯახი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დახვედრია, თურმე!..** დიახ, პრივატიზაციისათვის ამზადებდნენ იმერეთსა და მთელ საქართველოში წისქვილკომბინატებს, პურის ქარხნებს, მე კი კატეგორიული წინააღმდეგი წავედი და შევარდნაძის თხოვნა არად ჩავაგდე. როცა დოკუმენტი მომიტანა კაბინეტში ხელმოსაწერად, ქაღალდზე შევარდნაძის ხელმოწერა არ ყოფილა... შევარდნაძეს უთქვამს, შაშიაშვილის პოზიცია მაინტერესებს, რას იზამს და მერე მოვაწერ ხელსო!.. ავდექი და დოკუმენტის მეორე მხარეს დავაწერე, - **„კატეგორიული წინააღმდეგი ვარ-მეთქი“!**

**- ვინ მოგიტანათ დოკუმენტი კაბინეტში?**

- არ მინდა ახლა!..

**- თვითონ ანზორ ბურჯანაძე მოგადგათ ქაღალდით ხელში?**

- სამწუხაროა, რომ ამ ამბების გახსენება მიწევს!..

**- მეორედ რა გთხოვათ შევარდნაძემ?**

- ერთ-ერთ მინისტრს, რომელიც პენსიებთან დაკავშირებით ამდენს ლაპარაკობდა ამ დღეებში პარლამენტში, იმერეთის ერთ-ერთ რაიონში ირჩევდნენ...

**- ხარაგაულზე ლაპარაკობთ?**

- დიახ!.. იქ იყო ულირსეულესი პიროვნება, ხარაგაულის გამგებელი - **ეზანოიძე,** რომელიც დეპუტატობისთვის იყრიდა კენჭს და ის გახდებოდა კიდეც დეპუტატი, რომ არა შევარდნაძის სურვილი - **„ჩემმა ექიმმა მთხოვა, ძალიან კარგი ბიჭია და უნდა დავეხმაროო!..“**

**- ლადო ჭიპაშვილზეა ლაპარაკი?**

- ის ხალხი, ვინც შევარდნაძემ ასპარეზზე გამოიყვანა, ვისაც რეკომენდაცია მისცა, ვინც კაცად აქცია, დღეს გამოდის და ამბობს, - **„წინა ხელისუფლება, წინა ხელისუფლება“!** თურმე, მარტო შევარდნაძე ყოფილა წინა ხელისუფლება და ესენი არსად ჩანდნენ. გეკითხებით, **უნდა აგოს თუ არა შევარდნაძემ ამაზე პასუხი?** სად მოძებნა, საიდან მოიყვანა, როგორ შემოიკრიბა გარშემო ეს ხალხი!.. **მე ვიქნები შევარდნაძის ერთ-ერთი ბრალმდებელი სასამართლოზე და ზუსტად ამ ჭრილში ჩამოვაყალიბებ შევარდნაძის ბრალეულობას სახელმწიფოს წინაშე!..**

**- ბატონო თემურ, ფრაქცია „დემოკრატიულმა ფრონტმა“ ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი მოამზადა პარლამენტში განსახილველად. როგორ უყურებით ამ დოკუმენტს?**

- საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ლუსტრაციისთვის ყველას დაეხმარება **1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი.** ვინც ეს დოკუმენტი მოამზადა და პარლამენტში შეიტანა, ვინც იმ კოდექსს ხელი აუწია, **უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან შეთანხმებული ადამიანები არიან,** რადგან ამ კოდექსმა დააქცია და დაანგრია საქართველო! რაც შეეხება კანონპროექტს ლუსტრაციის შესახებ, **დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ახალგაზრდობა სულ მალე მოითხოვს „კმარას“, „სოროსის ფონდისა“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლუსტრირებას!** ლუსტრაციის კანონს უნდა დაექვემდებაროს „მოქალაქეთა კავშირში“ გაწევრიანებული უკლებლივ ყველა პიროვნება, თუმცა, იქაც იყვნენ ღირსეული ადამიანები, მაგალითად, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი **ნოდარ ამაღლობელი**, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. მე არასოდეს ვიქნები იმის მომხრე, რაც დღეს ე. წ. ოპოზიციამ ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტით გააკეთა. **მათ ჟიული შარტავას, საქართველოს ეროვნულ გმირს, კაცს, რომელმაც საქართველოს თავისუფლებას თავი უყოყმანოდ შესწირა, მეორედ ესროლეს ტყვია.** თანამდებობა ხომ არ არის მთავარი, კაცმა ხომ უნდა გაიაროს, ბოლოს და ბოლოს, ზნეობრივი განსაწმენდელი? ჟიული შარტავა ცეკას წევრიც იყო, ცეკას განყოფილების გამგეც, კომკავშირის ცეკას პირველი მდივანიც, მაგრამ ის, უპირველესად, გმირი იყო და სწორედ ჟიულის თაობამ დაამთავრა და აღკვეთა საქართველოში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკების მიერ დანერგილი მხეცური ტერორი... დღეს ჟიული შარტავა რომ ცოცხალი იყოს, ლუსტრაციის კანონის მიხედვით ყველაზე მეტად ის ისჯება. **რაიკომის მდივნიდან დაწყებული, ჟიული თითქმის ყველაფერი იყო..** ეს უდიდესი პატრიოტი, უწესიერესი, უდიდესი ღირებულების მატარებელი კაცი ამ კანონით სიკვდილის შემდეგ შეურაცხყვეს და დასაჯეს!.. ჟიული შარტავას აგენტებთან აიგივებენ. ეს კანონპროექტი პირადად მე ბევრგან არ მეხება, მაგრამ მეხება იქ, სადაც ჟიული შარტავამ მთხოვა, ვყოფილიყავი!.. ცეკას წევრები იყვნენ უდიდესი მეცნიერები, ფილოსოფოსები. ცეკას პირველი მდივანი იყო პოლონეთის დღევანდელი პრეზიდენტი კვასნევსკი, რომელსაც გაეროს გენერალური მდივნობა სურს და, სხვათაშორის, ამერიკა მხარს უჭერს მის კანდიდატურას. ცეკას პირველი მდივანი იყო მოლდოვას პრეზიდენტი ვორონოვი, რომელსაც სააკაშვილმა და მთელმა დასავლეთმა არჩევნებში დაუჭირეს მხარი. ვისთან მეგობრობს დღეს სააკაშვილი? - რუიტელთან!.. ვინ იყო რუიტელი? - ესტონეთის ცეკას პირველი მდივანი!.. დღეს გაერთიანებულ გერმანიას, ფაქტობრივად, ყოფილი სოციალისტური გერმანიის წარმომადგენლობა მართავს. კომუნისტი ბრაზაუსკასი ორჯერ აირჩიეს ლიტვის პრეზიდენტად მაშინ, როცა ლიტვაში დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ლანდსბერგისი არავის ახსოვს და ოთხმოც წელს მიტანებული ბრაზაუსკასია ფაქტობრივი მმართველი ქვეყნისა - პრემიერ-მინისტრია. მსოფლიოში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ მენშევიკური ფრთა, რომლებსაც ერთი და იგივე იდეოლოგია აქვთ, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური მეთოდებით მოქმედებენ. **XX საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ გაასწორა საქართველო მიწასთან, XXI საუკუნის დასაწყისში „კმარას“, სოროსისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეებმა მოითარეშა საქართველო.** პირადად მე, თეიმურაზ შაშიაშვილს, პარტიის წევრი წინაპარი არავინ მყოლია. არც ხელისუფლებაში მყოლია ნათესავი და პირველი ადამიანი. **ვინც ჩემს დაწინაურებაში დიდი წვლილი შეიტანა, ჟიული შარტავა იყო. დღეს საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომლის ბაბუაც 1937 წელს შევიდა მოსკოვში კომუნისტური პარტიის რიგებში. როცა სააკაშვილის ბაბუა კომპარტიის წევრი გახდა, ჩემს ბაბუას მაშინ მიწებს და წისქვილებს ართმევდნენ. როცა მიხეილ სააკაშვილის ბაბუის ძმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ პარტიასთან თანამშრომლობდა, ჩემს წინაპრებს იჭერდნენ.** 1925 წელს მიხეილ სააკაშვილის ბაბუის მეორე ძმა - ნიკოლოზ სააკაშვილი ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, კორნელი კეკელიძემ და საქვეყნოდ სახელგანთქმულმა სხვა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტში არ მიიღეს!!! ნიკოლოზ სააკაშვილი ბაქოში ცხოვრობდა... **ისიც საინტერესოა, რისთვის გამოაძევეს იგი ბაქოდან, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივების გამო ხომ არა?** ზუსტად ამ დროს ჩემი ერთ-ერთი წინაპარი თბილისში ჩამოსულ სტალინს დახვდა, მატარებლის სადგურში სახალხოდ უწოდა მას იუდა, საქართველოს გამყიდველი და რევოლვერიდან ესროდა კიდეც. ამის გამო ჩემი წინაპარი დახვრიტეს. მე სკოლის კომკავშირის მდივანი ვიყავი, სააკაშვილი მდივანი ვერ გახდა, **კომკავშირის მდივნის მოადგილის დონეზე დარჩა!..** მე სკოლის შემდეგ სტამბაში წავედი სამუშაოდ, **სააკაშვილი პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში წავიდა და იქ იყო კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.** როდესაც სააკაშვილი საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარებში, ანუ, ფაქტობრივად, ÊÃÁ-ს ჯარში წავიდა, მაშინ მე გადაწყვეტილება მივიღე, რომ ქუთაისიდან საბჭოთა ჯარში არ გამეშვა ხალხი და ბედნიერი ვარ, რომ ეს გავაკეთე კიდეც. **როდესაც ბაბუაჩემი მართლმადიდებელ ეკლესიაში მგალობელი იყო და წმინდა გიორგის ეკლესიის ხატისკავად ითვლებოდა, მაშინ სააკაშვილის ბაბუა ქუთაისში სომხური ეკლესიის ტერტერა იყო.** 1990 წლამდე თავიც რომ მომეკლა, უცხოეთში წასვლის ნებართვას არავინ მაძლევდა, იმის გამო, რომ ჩემმა დისშვილმა პიონერებზე სკანდალური ლექსი დაწერა. არადა, ამ დროს საბჭოთა უშიშროების აგენტი ბიძების თუ სხვა უახლოესი ნათესავების წყალობით მავანს უცხოეთის ქვეყნები შემოვლილი ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რა სიტუაციასთან გვაქვს საქმე და ვინ ვის ასამართლებს!.. მე ხომ არ ვამბობ, ხომ არ მითქვამს, ვისი მამა, პაპა, ბებია როდის შევიდა კომპარტიაში, ვინ იყო და ა.შ. ამას ესენი ამბობენ, იმიტომ, რომ დაკომპლექსებულნი არიან, თორემ მაშინ ავდგეთ და გამოვაქვეყნოთ, **დავდოთ დოკუმენტები და ნახოს საზოგადოებამ, ვინ რა გვარი იყო, ვინ როდის გადაიკეთა გვარი და ა.შ. რაც შეეხება აგენტებს. ორი აზრი არ არსებობს, რომ საბჭოთა სუკის აგენტების შეწყნარება ყოვლად წარმოუდგენელია. განსაკუთრებით საშიშია ის ხალხი, ვინც КГБ-ში მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში შეყო თავი და დღემდე აგრძელებს სამარცხვინო და მოღალატურ საქმიანობას**.

**- კაცმა რომ თქვას, კანონპროექტი ლუსტრაციის შესახებ ხელისუფლებამ კი არა, პარლამენტის ოპოზიციურმა ფრაქციამ მოამზადა!..**

- მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჭეშმარიტი ოპოზიციური პარტიებისათვის დღევანდელ საქართველოში სატელევიზიო სივრცე დახშულია. რას ნიშნავს ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნა? უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს მსოფლმხედველობრივ, იდეურ დაპირისპირებას ხელისუფლებასთან, რაც დღევანდელ პარლამენტში არ ჩანს. პარლამენტში, ძირითადად, იმაზე დაობენ, ამა თუ იმ კანონის მიღება როდის იყო უფრო კარგი - ხუთი თვით ადრე თუ ხუთი თვით გვიან; იდეურ ჭიდილს იქ მე ვერ ვხედავ... სააკაშვილს დღეს უპირისპირდება ხალხი, ვინც ორი წლის წინ თავს იკლავდა მისი გაპრეზიდენტებისთვის. ასეთ ხალხს მე ვუწოდებდი განაწყენებულ, თანამდებობის მაძიებელ ადამიანებს, რომელთა პრინციპები ხელისუფლების პრინციპების იდენტურია. პრეზიდენტი გამობრძანდა ტელევიზიით და განაცხადა, - შაშიაშვილი ლაპარაკობდა კანონიერი ქურდების წინააღმდეგ, მაგრამ მან ვერ დაამარცხა ეს ხალხი და ჩვენ დავამარცხეთო! **რაც მე ტელევიზიით ვნახე, იმის შემდეგ ჭკუათმყოფელი კაცი ვანა იტყვის, რომ სააკაშვილმა ქურდობის ინსტიტუტი დაამარცხა ქვეყანაში?**

**- რა ნახეთ ასეთი, რამ გაგაკვირვათ?**

- რა და, იმ აბანოში, სადაც სააკაშვილი დადის და სადაც ამერიკის პრეზიდენტი ჰყავდათ, ციხიდან ბადრაგის მიერ გამოცილებული კანონიერი ქურდი ბანაობდა... მე არ ვიცი, **შეიძლება სააკაშვილთან ერთადაც ბანაობდა ის ქურდი!.. ნორმალურ ქვეყანაში ეს რომ მოხდეს, პრეზიდენტი გადადგება!** ჩემი გუბერნატორობის დროს, როცა ავტოქარხნის დირექტორი გაიტაცეს კრიმინალებმა, დავიბარე პოლიციის ხელმძღვანელობა და განვუცხადე, - თუ ეს დანაშაული არ გაიხსნება და კრიმინალებს ვერ გამოავლენთ, პოლიციის ყველა ხელმძღვანელი გადადგებით, თუ თქვენ არ გადადგებით, მაშინ მე გადავდგები-მეთქი! მართლაც, ავტოქარხნის დირექტორი რომ არ ეპოვნათ და დამნაშავეები არ დაეჭირათ, მზად ვიყავი, წავსულიყავი! **როცა ციხეში გამოკეტილი კანონიერი ქურდები პრეზიდენტების აბანოში მიჰყავთ დასაბანად, თქვენ ამის შემდეგ ეჭვი გეპარებათ, რომ ამ ყბადაღებული პრივატიზაციის უკან კრიმინალები და შავი ფული დგას?** ეს ხომ ცხადზე ცხადია!.. ამერიკის გულწრფელობა მაფიქრებს, უფრო სწორად, მირჩევნია, ამერიკის გულწრფელობას შევხედო ეჭვით, ვიდრე მის დემოკრატიულობას!..

**- დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

- ამერიკა, რომელიც სააკაშვილს უჭერს მხარს, თანაუგრძნობს იმ პრეზიდენტს, რომელმაც ქვეყანაში სასამართლო სისტემა დაასამარა, საპარლამენტო ცხოვრება ჩაკლა, დიქტატორული საარჩევნო კანონი მიიღო და კონსტიტუცია თავის თავზე მოირგო. ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარე იყო ჩამოსული და როცა უთხრეს, თუ როგორი კანონით ჩატარდება თბილისში არჩევნები, სტუმარს, თურმე, ვერაფერი გაუგია და გაკვირვებულს უკითხავს, - თქვენ სად ცხოვრობთ? ამას რომ ითმენენ, ამაზე რომ თვალს ხუჭავენ, მე უკვე ამერიკის გულწრფელობაშიც მეპარება ეჭვი და დემოკრატიულობაშიც. როგორც ჩანს, **ამერიკაც და რუსეთიც ფიქრობენ არა საქართველოზე, არამედ თავის ინტერესებზე ამ ქვეყანაში და ურჩევნიათ, აქ დასვან ისეთი პიროვნებები, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებენ როგორც კრემლის, ასევე თეთრი სახლის ინსტრუქციებს.** მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რაც რუსეთს და ამერიკას ცალ-ცალკე აღებულს სურთ, - გადააქციონ საქართველო თავიანთ პლაცდარმად, რუსეთმა - ამერიკის წინააღმდეგ, ამერიკამ - რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაიგოს და შეიგნოს, რომ ის, ვინც რუსეთიდან და ამერიკიდან იმართება, არ შეიძლება იყოს ქართული პოლიტიკური ძალა და თუ საქართველოს მოსახლეობა მხარს დაუჭერს რომელიმე ქვეყნის მიერ მართულ ლიდერს, ის ბრძოლას დაუწყებს თავისსავე ქვეყნის დამოუკიდებლობას. მე იმ ქართველს ვცემ პატივს, რომელმაც იცის, რომ თურაშაულის პატრონი ტყეში არ უნდა ეძებდეს პანტას! **ჩვენ ნუ გვგონია, რომ უკეთესად ვიცხოვრებთ, თუ ვილაცას გავებებით ფეხქვეშ!** ჩვენ უკეთესები ვიქნებით ჩვენი ეროვნული სიამაყით, ჩვენი ტოლერანტობით, როცა თავზე არავის დავასხდებით, მაგრამ არც სხვას დავისვამთ თავზე. დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველომ სრული ნეიტრალიტეტი რომ გამოაცხადოს, გაცილებით უკეთ ვიცხოვრებთ და გაცილებით უკეთესი ურთიერთობა გვექნება როგორც ამერიკასთან, ასევე რუსეთთან. ჩვენი პრობლემა სწორედ ის არის, რომ საქართველოს ან რუსული, ან ამერიკული ძალა მართავდა. **საქართველოში ძალიან ცოტა ხანს იარსება სუფთა ქართულმა, ეროვნულმა ძალამ!.. ეს იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, რომელიც, სამწუხაროდ, არ გაახარეს!**

*ესაუბრა*

დიტო ჩუბინიძე



# „მე ვიქნები შევარდნაძის ერთ-ერთი ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე!“

მამული

# დღე, როცა პრეზიდენტი

## რეპორტაჟი ზუგდიდიდან. 1993 წლის 24 სექტემბერი

### ამ დღეს პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნდა

ზვიადი უკვე ზუგდიდის გამგეობის შენობაშია. ფანჯრიდან ესალმება მოედანზე შეკრებილ ხალხს.






გამგეობის შენობაში ხალხმრავლობაა. ესალმებიან, ირგვლივ გახარებული და დაბნეული სახეებია.




გარეთ ხალხი მატულობს, მოედანი რამდენიმე წუთში გაივსო.



ზვიადი მაგიდასთან ზის და სიგარეტს ეწევა (ცნობისათვის: ზვიადი სიგარეტს არ ეწეოდა).




მაგიდას უზის ბესო გუგუშვილი, იქვე არიან გურამ აბსანძე, დაცვის ბიჭები, „მრგვალი მაგიდის“ წევრები.






ოთახი თანდათან ხალხით ივსება.
დაცვის წევრის ზაზა ბურჯანაძის ხმა:
— მეტს ნუღარ შემოუშვებთ ნურავის!




ზვიადი კოტე ფირცხალავას გადაკოცნის.
— შენი ჭირიმე, მოდი, დაჯექი, —ეუბნება ზვიადი.




მაგიდას პრეზიდენტთან ერთად უსხედან ბესო გუგუშვილი, ტარიელ გელანტია და კოტე ფირცხალავა.

ზვიადი ისევ სიგარეტს ეწევა.
— მაგრად ვიწვალეთ ძალიან...
— ვიტრიალეთ, ვიტრიალეთ, კინაღამ კოპიტნარში დავჯექით, — ჩამოსვლის დეტალს იხსენებს ზვიადი.
ტელეფონი რეკავს. ბესო გუგუშვილი პასუხობს:
— რომელი ბრძანდებით?
— ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტი ჩამოვიდა...




ზვიადმა თავისი დიპლომატი მოიკითხა. ბაჩუკი გვანცელაძეს ეუბნება:
— ბარგი სადაცაა, იქ დადეთ.




გურამ აბსანძის ხმა: — 5 წუთით გავალ, ბატონო ზვიად!
ზვიადი ისევ სიგარეტს ეწევა.




გარეთ ხალხის შეძახილები გაისმის. სკანდირებენ — ზვიადი, ზვიადი!



შენობაში მყოფი ხალხი ერთმანეთს ეხვევა, კოცნიან. აქ არიან ნემო ბურჭულაძე, ბეჟან ჯავახია, გია მამფორია, ნანა კვასხვაძე, ნიკო ნორაკიძე, შალვა წიკლაური, დათო სოკოლოვი, ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, ზურაბ წულაია, გურამ მაქაცარია, ჯულიეტა მილდიანი, მაგული გაგნიძე, ნანა მამფორია, თამაზ ვაშაძე, რობერტ პეტრიაშვილი, ზვიად ძიძიგური...













გარეთ ხალხი ემატება და ემატება... ისმის სკანდირება.
გვარდიელის ფორმაში ჩაცმული კაცი ამბობს:
— სენაკში, აეროპორტში რომ ჩამოვიდა, პირჯვარი გადაიწერა, ქართულ მიწას აკოცა, ბიჭებს ტირილი აგვივარდა და წამოვიყვანეთ მერე ზუგდიდში.




კიბეებზე ჩადის ზვიადი, გარს დაცვის ბიჭები და გვარდიელები ახვევია.
გადის ეზოში, მარჯვენა ხელის აწევით გაღიმებული ესალმება ხალხს და დაცვა თეთრ მანქანაში სვამს.



მანქანების ესკორტი მიაცილებს. ჩერდებიან. პრეზიდენტი ეკლესიაში შედის.




პირჯვარს იწერს, სანთლებს ანთებს. მდუმარედ დგას ხატების წინ. მერე წმიდა გიორგის ხატთან მიდის და სანთელს ანთებს. პირჯვარს გადაიწერს და ეკლესიიდან გამოდის.




იქაც ხალხია უკვე შეკრებილი. ისმის სკანდირება — ზვიადი, ზვიადი! მანქანები მიდიან. გზის ირგვლივ აუარება ხალხია. ესალმებიან, ტირიან, იცინიან.



# საქართველოში დაბრუნება

***ზუგდიდში, მოედანზე შეკრებილი ხალხი სულმოუთქმელად ელოდება პრეზიდენტს.***



***ზვიადი პირდაპირ ტრიბუნაზე ადის. მარჯვენახელაწეული ესალმება, უღიმის ხალხს, ხალხი ემოციას ვერ აცხრობს. ცაში ზეაწეული ხელებით ტაშს უკრავენ, ისმის სკანდირება.***

***ზვიადი გაბრწყინებული სახით გაჰყურებს ათიათასობით გულანთებულ ადამიანს.***



***ტარიელ გელანტია მიმართავს ხალხს: — შევეცადოთ, რომ დავაწყნაროთ გვერდში მდგომი ადამიანები, გთხოვთ, დაწყნარდით, მიტინგს გახსნილად ვაცხადებთ, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, ვულოცავ სრულიად საქართველოს და ვთხოვთ საქართველოს პრეზიდენტს, მიმართოს თავისი ქვეყნის ტანჯულ ხალხს.***



***ზვიად გამსახურდია მიკროფონს იღებს ხელში და ერთი წამის შემდეგ მიმართავს ერს:***



ჩემო საყვარელო ხალხო, ჩემო ძმებო, დებო, შვილებო! თანამებრძოლებო! **პირველად ჩემს ცხოვრებაში სიტყვებს ვერ ვპოულობ, როგორ მოგეფეროთ, როგორ მოგესიყვარულოთ, როგორ გამოვხატო ჩემი ამჟამინდელი გრძნობა,** არ ვიცი. დამუნჯებული ვარ სიხარულისგან, თქვენი დანახვისგან, საქართველოს დანახვისგან! თავი სიზმარში მგონია. ამდენი ხანია, მეგობრებო, არ შემივლია თვალი საქართველოსთვის, თქვენთვის. **ვიყავი ტანჯვაში, ბრძოლაში, გაძევებული სამშობლოდან, მაგრამ ჩემი ფიქრი, ჩემი აზრი ყოველთვის თქვენთან იყო, ყოველდღე თქვენთან ვიყავი უხილავად, მეგობრებო! ერთი წუთი არ მიფიქრია სხვა რამეზე, თქვენ გარდა, ჩემი საქართველოს გარდა, ჩემი ქვეყნის გარდა, არაფერზე არ მიფიქრია, მეგობრებო!** ეს მეორე წელი მიდის, რაც მე მომწყვიტეს საქართველოს, მაგრამ ვერ მომწყვიტეს, ხომ ხედავთ, ვერ მომწყვიტეს, მეგობრებო! **არც არის ძალა, რომელიც საქართველოს დააჩოქებს.** არ არსებობს ასეთი ძალა დედამიწის ზურგზე, ვინაიდან ქართველი ერის შეგნება არის უმაღლესი, **ქართველი ერის ძალისხმევა არის უდიდესი! ვერაფერს დაგვაკლებენ, მეგობრებო!** ვერაფერს! მხოლოდ თავიანთ თავს დააკლებენ!

მეგობრებო! უმძიმესი ჟამი დაგვიდგა. გაპარტახებულია საქართველო, განადგურებულია საქართველო ამ ჩინგიზ ხანების, ამ ჯალალედინების, ამ თემურ ლენგების მიერ. **ასეთი ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედი — ტანჯვა, ბრძოლა, გლოვა, მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვება!**

მრავალჯერ ვღვარე ცრემლი, მრავალჯერ! ახლაც მეტირება! განა არ ამეტირება, როცა ვუყურებ ამ სახეებს? განა ჩვენ ყველას არ გვეტირება? არაერთხელ მივუსამძიმრე, ახლაც მუხლს ვიყრი მათი ხსოვნის წინაშე, მთელი საქართველოს დაღუპული შვილების ხსოვნის წინაშე. ისინი შეეწირნენ საქართველოს, ღვთის საქმეს. ღვთის უდიდეს საქმეს შეეწირნენ ისინი, მეგობრებო! ამიტომ საუკუნოდ კურთხეული იქნება მათი ხსენება.

ჩვენი გზა, ჩვენი ისტორიული გზა ასე იყო საუკუნეების განმავლობაში. არაფერი ახალი დღეს არ ხდება. **„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.** ამიტომ ვართ ყოველის მხრივ მტრებით და ყვავ-ყორნებით გარემოცულნი, მაგრამ ისტორიაში როგორც გავარღვიეთ ყველა რკალი, როგორც დავამარცხეთ ყველა ბარბაროსი, კაციჭამია, დღესაც ისე დავამარცხებთ კაციჭამიებს!

კაციჭამია ხუნტა სულს ღაფავს, თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის და დროზე მოეგონ გონს, ვინც გაწირა საქართველო, საკუთარი ერი, ვინც ძმა ძმას გადაჰკიდა, ვინც ძმის სისხლში შეისვარა ხელი, დროზე მოინანიონ ღვთის წინაშე, და თუ უფალი შეუნდობს, მაშინ ჩვენც შევუნდობთ. თუ საქმით მოინანიებენ, თუ საქმით შეინანებენ, თუ დაინახავენ, რა დაატრიალეს საქართველოში, რა დღეში ჩააგდეს საქართველო, თუ აეხილებათ ის დაბნელებული თვალები, ის დაბრმავებული თვალები, დე, დაინახონ და ისიც დაინახონ, რომ მათ საქართველო ვერ დააჩოქეს, **სამეგრელო ვერ დააჩოქეს! და ვერც დააჩოქებენ ვერასოდეს.**

მეგობრებო, **მტერმა როდესაც უპატრონოდ დაიგულა ჩვენი მამული, ვერაგულად შემოგვესია.** მას ეგონა, რომ ამ კაციჭამიებზე გაბოროტებული ხალხი, გამწარებული ხალხი წინ არ აღუდგებოდა. შემოგვესია ვერაგულად, ჟლეტს ჩვენს თანამოძმეებს, არნახული ბარბაროსობით აცვიფრებს მთელ მსოფლიოს. **ის მტერი წაქეზებულია კიდევ უფრო დიდი** მტრის მიერ, მაგრამ ორივე, ორივე დამარცხდება, გჯეროდეთ, **ორივე დამარცხდება საქართველოსთან ბრძოლაში.** ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი დების და ძმების ჟლეტას, ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი დების და ძმების სისხლისღვრას, **ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ ყველა იმას, ვისაც ჰგონია, რომ საქართველო უპატრონოა.**

არ არის საქართველო უპატრონო! **ამაოდ გგონიათ, ყვავ-ყორნებო, რომ საქართველო უპატრონოა.** საქართველოს ჰყავს პატრონი და მალე დაინახავენ ისინი იმ პატრონის ძალას.

**მეგობრებო, ჩვენ არ გვინდოდა სისხლისღვრა, ჩვენ არ გვინდოდა მოძმე ხალხის სისხლში ხელების გასვრა;** აბა, გაიხსენეთ, 1989 წლის 27 ივლისს, სწორედ აქ ვიდექი, ამ ადგილზე, თქვენც აქ ბრძანდებოდით აღელვებული, როცა აფსუებმა სოხუმში ქართველების სისხლი დაღვარეს პირველად; მე მაშინ ჩამოვედი, მოგიწოდეთ სიმშვიდისაკენ, მოვუწოდე მათ, რომ გონს მოგებულიყვნენ. მაგრამ, ვაი, რომ არ მოქმედებს მათზე ადამიანური სიტყვა, არ მოქმედებს შეგონება, რა გაეწყობა! ჩვენ უნდა დავდგეთ ჩვენ მოძმეთა დასაცავად და **მტკიცედ უნდა დავდგეთ. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, საქართველოს დასაცავად, ქართული მიწის დასაცავად.** ნურავის ჰგონია, რომ უპატრონო საქართველოს გააავერანებს და მის მიწას მიითვისებს. **ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ მოლაპარაკება, შევთავაზეთ შერიგება, ახლაც ვთავაზობთ,** თუ შეგრჩენიათ გონება, თუ შეგრჩენიათ ელემენტარული კეთილი განსჯა, გონს მოეგეთ! **დაანებეთ თავი ამ სამხედრო ავანტიურას საქართველოს წინააღმდეგ!** ქართულ მიწას თქვენ არავინ დაგითმობთ! შევრიგდეთ! თუ ელემენტარული კეთილგონიერება გააჩნიათ, შეწყვიტონ ეს ომი და გამოგვიწოდონ შერიგების ხელი. მე შევთავაზე მათ, არაერთხელ, სხვათაშორის, ჩვენი მეგობრების — ჩეჩნების მეოხებითაც, მათი შუამავლობით, არაერთხელ. **გამოვაცხადოთ ეროვნული შერიგება, დავამთავროთ ეს ძმათამკვლელი ომი,** მაგრამ ის ავანტიურისტები, რომლებიც მათ სათავეში უდგანან, არ ცხრებიან. არ ცხრებიან, ვინაიდან, მათ არ სურთ მშვიდობა. ჩვენ გვსურს მშვიდობა, ჩვენ გვსურს, ვუმკურნალოთ ჩვენს დაწყლულებულ, მრავალტანჯულ ქვეყანას, მაგრამ ნურას უკაცრავად. დიდი ვაჟასი არ იყოს: **„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“.**

მეგობრებო, ალბათ, მრავალ თქვენგანს აწუხებდა აზრი დღემდე, რატომ არ ჩამოდის პრეზიდენტი. ყველას აწუხებდა ეს აზრი, ყველა დაფიქრებული იყო. პირდაპირ გეტყვით, ვერ ჩამოვდიოდი. ისეთი ბლოკადა მომიწყო ხუნტამ და მისმა მხარდამჭერმა ძალებმა, რომ ფიზიკურად ვერ გამოვაღწიე. მრავალჯერ ვცადე, მაგრამ ვერ გამოვაღწიე. აი, **ახლა უფალმა ინება, განგებამ ინება, სასწაული მოხდა და ჩამოვედი თქვენთან.**

ახლა მინდა, მივმართო ჩვენს მებრძოლებს.

ძმებო, თქვენი შემართება, თქვენი თავდადება, თქვენი ვაჟკაცობა მთელ საქართველოს აოცებს, აღაფრთოვანებს, იმედს აძლევს, ამავე დროს, **მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი მთავარსარდალი, უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც ფიცი მაქვს მიცემული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა, მოგიწოდებთ,** მტკიცედ დავდგეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დავიცვათ ჩვენი ქართველი მოსახლეობა.

ამავე დროს გთხოვთ, თქვენ, მართალია, საყვედური არ გეთქმით, მაგრამ განვამტკიცოთ დისციპლინა, ვიყოთ ნამდვილი რეგულარული ჯარი, ვინაიდან თქვენ ხართ კანონიერი ჯარი, კანონიერი მხედრობა საქართველოსი, თქვენ ხართ ნამდვილი კანონიერი მხედრობა საქართველოსი! და ეს განაპირობებს, ეს განაპირობებს თქვენს ძლევამოსილებას. ის უკანონო ბანდები ამიტომაც არიან ესოდენ დაქსაქსულნი და უძლურნი, რომ კანონიერება მათ მხარეზე არ დგას, ჩვენ კი უნდა განვსხვავდებოდეთ მათგან ორგანიზებულობით, დისციპლინით, და მე გთხოვთ, დღეიდან განსაკუთრებით გავამახვილოთ ამაზე ყურადღება, ვინაიდან სწორედ აი ეს დისციპლინა, ერთიანი შემართება განაპირობებს მომავალში ჩვენს გამარჯვებებს.

დღეს ჩვენი ბიჭები იბრძვიან ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულებით, ჩვენი ძვირფასი ლოთი იქ არის, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოს და კატეგორიულად ვუცხადებთ ხუნტას (რასაკვირველია, მას ესმის ამჟამად ჩემი), ამჟამად, როცა საქართველოს უჭირს, მან ხელი არ უნდა შეგვიშალოს და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას, რომ რაც ერგება საქართველოს, რაც უკანონოდ აქვთ მიტაცებული, ყველაფერი გადმოვიდეს ჩვენი კანონიერი ჯარის ხელში და მოხმარდეს საქართველოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, **ხუნტას შეაჩვენებს საქართველო მრავალჯერ და მომავალი შეაჩვენებს მას.** თუ ის ხელს შეგვიშლის ჩვენ, საბოტაჟს გამოგვიცხადებს, თუ არ დაუთმობს ჩვენს მებრძოლებს, რაც მათ სჭირდებათ, და თუ განაგრძობს მონოპოლიზებას და უზურპირებას ხელისუფლებისას, ეს მისთვის კატასტროფით დამთავრდება. ამავე დროს, მოვუწოდებ მათ, დროზე გადადგნენ და ადგილი დაუთმონ კანონიერ ხელისუფლებას.

დაბოლოს, დავამთავრებ სახარების სიბრძნით: ქვეყანაზე სიკეთის მქადაგებელი, სათნოების მქადაგებელი, ღმერთი, რომელიც მოევლინა დედამიწაზე, იესო ქრისტე ბრძანებს: „ვინცა მახვილი აღიღოს, მახვილითვე შეიმუსროს“.




***მიკროფონს გადასცემენ ბესო გუგუშვილს:***

— მეგობრებო, დღეს საქართველოს დიდი დღეა, ***— ამბობს გუგუშვილი და განაგრძობს —*** დღეს საქართველოს დროებით დედაქალაქში, ზუგდიდში აღსდგა კანონიერება, საქართველოს დაუბრუნდა მისი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეს მაქვს შესაძლებლობა ჩვენს პრეზიდენტთან ერთად თითქმის ორი წლის შემდეგ ვიდგე მიტინგზე და მივმართო ჩვენს საყვარელ ხალხს. დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩვენს საყვარელ პრეზიდენტს, ასეთი გულთბილი შეხვედრა რომ მოუწყეთ, მე თქვენს სახეებზე ვხედავ სიხარულს, მე თქვენს სახეებზე ვხედავ იმედს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიხარულიც და ეს იმედიც განხორციელდება.



გაგიმარჯოთ, ზუგდიდელებო!
გაუმარჯოს მთელ საქართველოს!

***მიკროფონთანაა ტარიელ გელანტია.***

— თანამემამულენო! ***— მიმართავს გელანტია ხალხს, —*** ყველამ ვიცით, რომ სათქმელიძ ალიან ბევრი დაგროვდა. ყველას უნდა გამოსვლა, მაგრამ პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, პრემიერ მინისტრის გამოსვლის შემდეგ უნდა შევთანხმდეთ, რომ გრანდიოზული მიტინგი გაიმართება კვირას, 2 საათზე, აქ და ახლა კი დიდი მადლობა მობრძანებისათვის.

***დაცვას გაჰყავს პრეზიდენტი. ხალხი ვარდებს ესვრის, მღერიან „შავლეგოს“, ხალხი აღარ იშლება, მერე თანდათან გაიშალნენ ქუჩებში, მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, დროშები უჭირავთ ხელში.***



***ვიდეოკადრებში ჩანან „მხედრიონის“ მიერ მოკლული გოჩა ჯიქიას მამა, ირინე ტალიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, დავით სოკოლოვი, ნიკო ნორაკიძე, დაცვის წევრი ვაჟა ჭინჭარაული, დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე, ზურაბ გუჩუა... ზუგდიდელები, თბილისელები, ერთი სიტყვით, ქართველები.***









***აფხაზეთს შევარდნაძე 3 დღეში ჩააბარებს.***

**12 წლის შემდეგ რეპორტაჟი ზუგდიდიდან მიჰყავდა**

**ლეილა კვირიკაშვილს**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სიონის პრიორატი 1099 წელს დაარსებული საიდუმლო ევროპული საზოგადოებაა. 1975 წელს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში აღმოჩენილია „საიდუმლო დოსიეთა“ სახელით ცნობილი ხელნაწერი გრაგნილები, რომლებშიც სიონის პრიორატის ბევრი წევრის სახელები გამჟღავნდა, მათ შორის არიან სერ ისააკ ნიუტონი, ბოტიჩელი, ვიქტორ ჰიუგო და ლეონარდო და ვინჩი. ვატიკანის პირადი პრელატურა, სახელწოდებით „ოპუს დეი“, კათოლიკური სექტაა, რომელიც ღრმა ღვთისმოსაობას ქადაგებს. სავალალოდ გაითქვა სახელი ტვინის გამორეცხვით, ძალადობით და „ხორცის მოკვდინების“ სახიფათო რიტუალებით. სექტა „ოპუს დეიმ“ ახლახან დაასრულა თავისი შტაბბინის მშენებლობა ნიუ-იორკში, ლექსინგტონ ავენიუს 243-ში, რაც 47 მილიონი დოლარი დაჯდა. წიგნში წარმოდგენილია ხელოვნების, არქიტექტურის ნაწარმოებთა, დოკუმენტებისა და საიდუმლო რიტუალების ზუსტი აღწერა.

*ამერიკელი ჟურნალისტისა და მწერლის დენ ბრაუნის სენსაციური რომანი „და ვინჩის კოდი“ გამოსვლის დღიდან იქცა ათწლეულის ბესტსელერად. საიდუმლო კოდი, რომელსაც არნახული ძალაუფლების მოტანა შეუძლია, ლეონარდო და ვინჩის ქმნილებებშია დაშიფრული და მისი ამოხსნა რადიკალურად ცვლის ზოგადსაკაცობრიო ორიენტირებს. წიგნი უკვე მრავალ ენაზე ითარგმნა. რომანის შინაარსის თხრობას არ შევუდგებით, რადგან დღეიდან მკითხველი მის ქართულ ენაზე გაცნობასაც შეძლებს.*



# დენ ბრაუნი
# და ვინჩის კოდი

## პროლოგი



პარიზი, ლუვრი
21,46

ცნობილმა კურატორმა ჟაკ სონიერმა ბარბაცით გაიარა დიდი გალერეის თაღქვეშ და თვალში მოხვედრილი პირველივე სურათის - კარავაჯოს ტილოსკენ გაეშურა. ის მოოქროვილ ჩარჩოს ჩაეჭიდა და თავისკენ ექაჩებოდა, სანამ შედევრი კედლიდან არ ჩამოვარდა და სამოცდაათი წლის მოხუცი ქვეშ მოიყოლა.

სონიერის ვარაუდი გამართლდა, შორიახლოს გრუხუნით დაეშვა ლითონის ცხაური და დარბაზში შემოსასვლელი გადაკეტა. იატაკი შეზანზარდა. სადღაც სიგნალიზაციის სირენა აყმუვლდა.

კურატორი რამდენიმე წამს გაუნძრევლად იწვა, ჰაერს ყლაპავდა და გონს მოსვლას ცდილობდა. **ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.** მერე ნახატის ქვეშიდან გამოფოფხდა და თვალებით დაუწყო ძებნა ადგილს, სადაც დამალვას შეძლებდა.

ხმა ძალიან ახლოს გაისმა:

- არ გაინძრე!

ოთხზე დამდგარი კურატორი გაშეშდა, მერე ნელა შებრუნდა. სულ რაღაც თხუთმეტ ფუტში, ცხაურს მიღმა მისი მდევრის მრისხანე ფიგურა აღმართულიყო - მაღალი, ბეჭგანიერი, მკვდრისფერი სახით და მეჩხერი თეთრი თმით. თვალის კაკლები ვარდისფერი ჰქონდა, გუგები კი შიშისმომგვრელად, წითელი. ალბინოსმა ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, ლულა ცხაურში შეყო და კურატორს დაუმიზნა.

- შენ არ უნდა გაიქცე, - წარმოთქვა მან გაურკვეველი აქცენტით, - ახლა კი თქვი: სად არის ის?

- უკვე გითხარით, - ენის ბორძიკით წაიჩურჩულა კურატორმა, რომელიც უწინდებურად ოთხზე იდგა, - წარმოდგენა არა მაქვს, რაზე მელაპარაკებით.

- ტყუილია! - მამაკაცი უძრავად იდგა და საშინელი თვალებით მისჩერებოდა, რომლებშიც წითელი ნაპერწკლები ელავდა, - შენ და შენს ძმებს გაქვთ რაღაც, რაც თქვენ არ გეკუთვნით.

კურატორს გააჟრჟოლა. **საიდან იცის?**

- და დღეს ეს საგანი ნამდვილ მფლობელებს დაუბრუნდება. ასე რომ, მითხარი, სად არის და ცოცხალი დარჩები. - მდევარმა ლულა ოდნავ დასწია, ახლა ის პირდაპირ კურატორის თავისკენ იყო მიმართული, - თუ ეს საიდუმლოა, რომლის გულისთვის სიკვდილსაც არ შეუშინდები?

კურატორს სუნთქვა შეეკრა.

მამაკაცმა თავი უკან გადააგდო და პისტოლეტი დაუმიზნა.

სონიერმა უმწეოდ ასწია ხელები.

- მოიცადეთ, - წაიბურტყუნა მან, - ყველაფერს გიამბობთ, რაც ვიცი. - და კურატორმა ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებს ნელა არჩევდა. ამ ტყუილში ხშირად ვარჯიშობდა და თან ღმერთს შესთხოვდა, რომ მისი გამოყენება არ დასჭირვებოდა.

როდესაც სონიერი გაჩუმდა, მდევარმა თავმომწონედ გაიღიმა.

- სხვებმაც სწორედ ეს მითხრეს.

**სხვებმა?** - გაუკვირდა სონიერს.

- ისინიც მოვძებნე, - თქვა ალბინოსმა, - მთელი სამეული. და მათ დაადასტურეს, რაც ახლახან მიამბე.

**შეუძლებელია!** კურატორისა და მისი სამი sénéchaux-ის (*ძველი მსახურები - რედ.*) ნამდვილი ვინაობა ხომ ისევე წმინდა და ხელშეუხებელი იყო, როგორც უძველესი საიდუმლო, რომელსაც ისინი იცავდნენ. მაგრამ უცებ სონიერს გონება გაუნათდა. საკუთარი მოვალეობის ერთგულმა სამივე sénéchaux-მა სიკვდილის წინ იგივე ლეგენდა გაიმეორა, რომელიც მან უამბო მდევარს. ეს ჩანაფიქრის ნაწილი იყო.

მამაკაცმა ისევ დაუმიზნა პისტოლეტი.

- ასე რომ, როდესაც მოკვდები, ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი ვიქნები, რომელსაც სიმართლე ეცოდინება.

**სიმართლე!..** კურატორმა მყისვე შეიგრძნო ამ სიტყვის საზარელი აზრი, სიტუაციის მთელი საშინელება მისთვის აშკარა გახდა. **თუ მოვკვდები, სიმართლეს ვერასოდეს ვერავინ გაიგებს.** თვითგადარჩენის ინსტინქტმა აიძულა, საფარის პოვნა ეცადა.

გასროლამ დაიქუხა. კურატორი ულონოდ დაეშვა იატაკზე. ტყვია მუცელში მოხვდა. საშინელი ტკივილის მიუხედავად, ხოხვას ცდილობდა.

ნელა ასწია თავი და მკვლელს მიაჩერდა. ახლა ის თავში უმიზნებდა.

სონიერმა თვალები დახუჭა, შიში და სინანული სტანჯავდა.

ფუჭი გასროლის ტკაცანი ექოდ მოედო დერეფანს.

სონიერმა თვალები გაახილა.

ალბინოსი დამცინავი გაოცებით ათვალიერებდა იარაღს. დატენვა დააპირა, მერე, როგორც ჩანს, გადაიფიქრა, ჩაიცინა და სონიერის მუცელზე მიანიშნა:

- მე ჩემი საქმე გავაკეთე.

კურატორმა თვალები დახარა და სელის თეთრ პერანგზე, მკერდის ძვალს ქვემოთ რამდენიმე დუიმზე სისხლით შეღებილი ნახვრეტი დაინახა. **ძუთი!** სასტიკი შეცდომა: ტყვია გულში კი არა, მუცელში მოხვდა. კურატორი ალჟირის ომის ვეტერანი იყო და ბევრი მტანჯველი სიკვდილი უნახავს. ის თხუთმეტიოდე წუთს კიდევ იცოცხლებს, კუჭიდან გამოჟონილი მჟავა კი ნელნელა მოწამლავს.

- სხვათაშორის, ტკივილი სასარგებლოა, ბატონო ჩემო, - თქვა ალბინოსმა. და წავიდა.

მარტო დარჩენილმა ჟაკ სონიერმა რკინის ცხაურს შეხედა. ის ხაფანგში გამოემწყვდა, კარს კიდევ ოც წუთს ვერ გააღებენ. ხოლო იმ დროისთვის, როცა დახმარება მოვა, უკვე მკვდარი იქნება. მაგრამ იმ მომენტში სიკვდილი არ აშინებდა. **საიდუმლო უნდა გადაეცა.**

მოხუცი წამოდგომას ცდილობდა და თვალწინ სამი მოკლული ძმის სახეები ედგა. სხვა ძმათა თაობებიც გაახსენდა, მისია, რომელსაც ისინი ასრულებდნენ და მზრუნველობით გადასცემდნენ საიდუმლოს შთამომავლებს.

ცოდნის უწყვეტი ჯაჭვი.

და აი, მიუხედავად სიფრთხილის ყველა ზომის და ყველა ეშმაკობისა, ის, ჟაკ სონიერი, ახლა ამ ჯაჭვის ერთადერთი რგოლი და საიდუმლოს ერთადერთი მცველია. როგორც იქნა, წამოდგა, მთელი სხეული უცახცახებდა. **რაღაც გზა უნდა მიპოვო...**

ის დიდ გალერეაში იყო ჩაკეტილი, და ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი არსებობდა, რომლისთვისაც საიდუმლოს გადაცემა შეეძლო. სონიერი მდიდრული საპყრობილის კედლებს ათვალიერებდა. მათ მთელ მსოფლიოში განთქმული ტილოების კოლექცია ამშვენებდა, ისინი თითქოს ზემოდან დაჰყურებდნენ და ძველი მეგობრებივით უღიმოდნენ.

სონიერი ტკივილისგან შეიჭმუხნა და მთელ ძალებს მოუხმო. ის, რაც ახლა უნდა გაეკეთებინა, მისგან მთელ გულისყურს მოითხოვს და სიცოცხლის უკანასკნელ წამებსაც წაართმევს.

## I თავი

რობერტ ლენგდონს გაღვიძება გაუჭირდა.

სადღაც სიბნელეში ტელეფონი რეკავდა. ოღონდ ზარი უჩვეულოდ მკვეთრად, გამყინავად ჟღერდა. მან ტუმბოზე ხელი მოაფათურა, ლამპა აანთო და ნახევრად მძინარემ მოავლო თვალი ოთახს: რენესანსის სტილის წითელხავერდგამოკრული საძინებელი, ლუდოვიკო XVI-ის დროინდელი ავეჯი, კედლებზე ხელით ნახატი ფრესკები, წითელი ხის ვეებერთელა საწოლი ბალდახინით.

***დასწყევლოს ღმერთმა, სადა ვარ?***

სავარძლის ზურგზე ჟაკარდის ხალათი ეკიდა მონოგრამით:

„ოტელი „რიცი“, პარიზი“.

თავში ბურუსი ნელ-ნელა გაეფანტა.

ლენგდონმა ყურმილი აიღო:

- ალო.

- ბატონო ლენგდონ, - გაისმა მამაკაცის ხმა, - ხომ არ გაგაღვიძეთ?

ლენგდონმა მოჭუტული თვალებით შეხედა მაგიდის საათს. ის ღამის 12:32-ს აჩვენებდა. მხოლოდ ერთი საათი ეძინა და უზომოდ დაღლილი იყო.

- პორტიე ვარ. შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენთან სტუმარია. ამბობს, სასწრაფო საქმე მაქვსო.

ლენგდონს ჯერ კიდევ უჭირდა აზროვნება. ***სტუმარი?*** მზერა ტუმბოზე დადებულ დაჭმუჭნილ ქაღალდს მოხვდა. ეს პატარა აფიშა გახლდათ.

**პარიზის ამერიკულ უნივერსიტეტს**
**პატივი აქვს, მოგიწვიოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის რელიგიური სიმბოლიკის პროფესორთან რობერტ ლენგდონთან შეხვედრაზე.**

ლენგდონმა ამოიგმინა. საღამოს ლექცია სლაიდების დემონსტრაციის თანხლებით ჩატარდა - წარმართული სიმბოლიზმი, რომელიც შარტრის ტაძრის ქვის წყობაში აისახა - და კონსერვატორ პროფესურას აშკარად არ ეპრიანა. შესაძლოა, ყველაზე რელიგიურმა სწავლულებმა ამერიკაში მიმავალი პირველივე რეისით მიაბრძანონ აქედან.

- მომიტევეთ, - უპასუხა ლენგდონმა, - მაგრამ ძალიან დავიღალე და...

- კი მაგრამ, მოსიე, - პორტიენი ძალიან ცდილობდა, თავაზიანად ელაპარაკა, - ამ ადამიანის ვინაობა და მისამართი ჩაიწერეთ. და უთხარით, რომ ვეცდები, ხუთშაბათს, პარიზიდან გამგზავრების წინ დავურეკო. ო'კეი? გმადლობთ! - და ყურმილი მანამდე დადო, სანამ პორტიე სიტყვის შებრუნებას მოასწრებდა.

ის საწოლში წამოჯდა და მოღუშული მიაჩერდა მაგიდაზე დადებულ სამახსოვროს ოტელის სტუმრებისათვის, რომლის ყდაზე წარწერა ახლა უკვე დამცინავად გამოიყურებოდა: **„ჩვილივით მშვიდად იძინეთ სინათლეების ქალაქში, ტკბილი თვლემა ოტელ „რიცში“, პარიზი“.** ის შებრუნდა და კედელზე დაკიდებულ მაღალ სარკეში ჩაიხედა. იქიდან თითქმის უცხო მამაკაცი უყურებდა. გაბურძგნილი, დაღლილი.

***ერთი კარგად უნდა დაისვენო, რობერტ.***

ბოლო წელი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, და ეს გარეგნობაზეც აისახა. ჩვეულებრივ ცოცხალი ლურჯი თვალები ჩაუქრა, ყვრიმალებს და ჩაჩვრეტილ ნიკაპს წამოზრდილი წვერი უფარავდა. საფეთქლებზე თმა გაუთეთრდა, ჭაღარა ხშირ შავ თმაშიც გამოერია. და თუმცა მდედრობითი სქესის ყველა კოლეგა ერთხმად უმტკიცებდა, რომ ჭაღარა საოცრად უხდებოდა, თვითონ ამით დიდად აღფრთოვანებული არ იყო.

***ახლა რომ „ბოსტონ მეგეზინში“ ვენახე!***

ლენგდონის გასაოცრად, წინა თვეში ჟურნალმა „ბოსტონ მეგეზინმა“ ის ქალაქის ყველაზე „დამაინტრიგებელი“ ადამიანების ათეულში შეიყვანა - საეჭვო პატივია, რადგან ეს ჰარვარდელი კოლეგების მუდმივი დაცინვის საგნად იქცა. და აი, ახლა, სახლიდან სამი ათასი მილის მანძილზე, კოშმარად შემოუბრუნდა, რომელიც პარიზის უნივერსიტეტში ლექციაზეც კი სდევნის.

- ბატონებო და ქალბატონებო, - მიმართა წამყვანმა გაჭედილ დარბაზს, - ჩვენს დღევანდელ სტუმარს წარდგენა არ სჭირდება. ის მრავალი წიგნის ავტორია, მათ შორის გახლავთ „საიდუმლო სექტების სიმბოლიკა“, „ინტელექტუალთა ხელოვნება: იდეოგრამების დაკარგული ენა“. და დიდ საიდუმლოს არ გაგიმხელთ, თუ გეტყვით, რომ სწორედ მის კალამს ეკუთვნის „რელიგიური იკონოლოგია“. ბევრი თქვენგანისთვის მისი წიგნები სახელმძღვანელოებად იქცა.

სტუდენტებმა თანხმობის ნიშნად ენერგიულად დაიწყეს თავის ქნევა.

- დღეს მინდოდა, ამ ადამიანის ესოდენ შთამბეჭდავი ცხოვრებისეული გზა მომენიშნა და ისე წარმედგინა თქვენთვის. მაგრამ... - აქ წამყვანმა ქალმა კეკლუცად გახედა პრეზიდიუმის მაგიდასთან მჯდომ ლენგდონს, - ერთ-ერთმა სტუდენტმა ახლახან კიდევ უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამაინტრიგებელი შესავალი მომაწოდა.

და მან დარბაზს ბოსტონის ჟურნალის ნომერი დაანახვა.

ლენგდონს შეაჟრჟოლა. ***ეშმაკმა წაიღოს, სად გამოქექა?***

წამყვანმა სრულიად იდიოტური სტატიის ნაწყვეტების კითხვა დაიწყო, ლენგდონი კი სავარძელში სულ უფრო ღრმად ჩამალვას ცდილობდა. ოცდაათი წამის შემდეგ მთელი აუდიტორია ხითხითებდა, წამყვანი





# კოდი

კი მაინც არ ცხრებოდა.

- „მისტერ ლენგდონის უარმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მოეთხრო ვატიკანში შარშან გამართულ თათბირში მისი უჩვეულო როლის შესახებ, „ინტრიგანების“ ათეულში შესასვლელად ქულების დაგროვებაში შეუწყო ხელი“, - აქ ქალი შეჩერდა და აუდიტორიას მიმართა: - გინდათ, გაგრძელებაც მოისმინოთ?

დარბაზმა ერთსულოვანი აპლოდისმენტებით უპასუხა.

***არა, ვიღაცამ უნდა შეაჩეროს,*** გაიფიქრა ლენგდონმა. წამყვანი უკვე ახალ ნაწყვეტს კითხულობდა:

- „მართალია, ზოგიერთი ახალგაზრდა პრეტენდენტისგან განსხვავებით, პროფესორ ლენგდონს გასაშტერებლად ლამაზ მამაკაცად ვერ ჩავთვლით, მაგრამ ის სრულად არის დაჯილდოებული ორმოცს გადაცილებული მეცნიერის შარმით. და მის მომხიბვლელობას ხაზს უსვამს დაბალი ბარიტონი, რომელიც, სტუდენტი გოგონების აზრით, „ყურებზე შოკოლადივით მოქმედებს“.

დარბაზში ხარხარმა იფეთქა.

ლენგდონმა ნაძალადევად გაიღიმა და გადაწყვიტა, სასწრაფოდ რაიმე ეღონა.

- მადლობელი ვარ, მონიკ, - წარმოთქვა მან, წამოდგა და პოდიუმიდან ჩამოვიდა, - ამ ჟურნალში მართლაც რომ მხატვრული სიტყვის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები მუშაობენ. ჯობდა, რომანები ეწერათ, - მან ამოიხვნეშა და აუდიტორიას თვალი გადაავლო, - მაგრამ თუ გავიგებ, ვინ მოათრია აქ ეს ჟურნალი, არამზადის დარბაზიდან გაძევებას მოვითხოვ.

ყველამ ისევ ერთხმად გადაიხარხარა.

- მაშ ასე, მეგობრებო, როგორც იცით, დღეს თქვენთან სიმბოლოთა ძალაუფლებაზე სასაუბროდ მოვედი...

●

ტელეფონის ზარმა ლენგდონს ფიქრი შეაწყვეტინა.

მან განწირულად ამოიოხრა და ყურმილი აიღო:

- დიახ!

როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ პორტიე რეკავდა.

- მისტერ ლენგდონ, შეწუხებისთვის კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს. გირეკავთ, რომ შეგატყობინოთ - სტუმარი უკვე თქვენი ოთახისკენ მოდის. ჰოდა, ვიფიქრე, ჯობდა, გამეფრთხილებინეთ.

ლენგდონი საბოლოოდ გამოფხიზლდა.

- როგორ, ჩემს ოთახში გამოუშვით?

- მომიტევეთ, მოსიე, მაგრამ ასეთი რანგის ადამიანი... უბრალოდ, ჩავთვალე, რომ მისი შეჩერების უფლება არ მქონდა.

- ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ასეთი?

მაგრამ პორტიემ ყურმილი უკვე დადო.

თითქმის მაშინვე კარზე ხმამაღალი კაკუნი გაისმა.

ლენგდონი უხალისოდ ადგა, შიშველი ტერფები ფუმფულა ხალიჩაში ეფლობოდა. მან ხალათი მოიცვა და კარისკენ გაემართა.

- ვინ არის?

- მისტერ ლენგდონ? აუცილებლად უნდა დაგელაპარაკოთ, - მამაკაცი ინგლისურად აქცენტით საუბრობდა, ხმა მკვეთრი და მბრძანებლური ჰქონდა, - ლეიტენანტი ჟერომ კოლე გახლავართ, სასამართლო პოლიციის ცენტრალური სამმართველოდან.

ლენგდონი გაირინდა. ***სასამართლო პოლიციის ცენტრალური სამმართველო, შემოკლებით სპცს?*** მან იცოდა, რომ საფრანგეთში ეს ორგანიზაცია დაახლოებით იგივეა, რაც ბფბ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კარი ძეწკვის მოუხსნელად, რამდენიმე დუიმით გამოაღო. ზღურბლიდან გამხდარი სახე შემოაცქერდა უმეტყველო, თითქოს წაშლილი ნაკვთებით. ლურჯ ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი თვითონაც საშინლად გამხდარი იყო.

- შეიძლება შემოვიდე? - იკითხა კოლემ.

ლენგდონი ყოყმანობდა, თან ლეიტენანტის დაჟინებულ მზერას გრძნობდა.

- რა გნებავთ?

- ჩემს კაპიტანს სასწრაფოდ სჭირდება თქვენი დახმარება. ექსპერტიზა ერთ კერძო საქმეში.

- ახლა? - გაუკვირდა ლენგდონს, - უკვე ნაშუაღამევია.

- ამ საღამოს ლუვრის კურატორს უნდა შეხვედროდით, სწორია?

ლენგდონს ავი წინათგრძნობა გაუჩნდა. ის და პატივცემული ჟაკ სონიერი მართლაც შეთანხმდნენ, ლექციის შემდეგ ერთმანეთს შეხვედროდნენ, ცოტა დაელიათ და ემუსაიფათ, მაგრამ კურატორი არ მოვიდა.

- დიახ. საიდან იცით?

- თქვენი გვარი მის მაგიდის კალენდარში აღმოვაჩინეთ.

- იმედია, ყველაფერი რიგზე აქვს?

აგენტმა ამოიოხრა და ღრიჭოში „პოლაროიდით“ გადაღებული ფოტო შეაცურა.

ფოტოგრაფიის დანახვაზე ლენგდონს ჟრუანტელმა დაუარა.

- ეს თითქმის ერთი საათის წინ არის გადაღებული. ლუვრში.

ლენგდონი შემზარავ სურათს თვალს ვერ აშორებდა, ძრწოლა და აღშფოთება ბრაზიან შეძახილში გამოხატა:

- ვის შეეძლო ამ საშინელების ჩადენა?

- სწორედ ამისი გარკვევა გვინდა. და რელიგიური სიმბოლიკის სფეროში თქვენი განსწავლულობისა და სონიერთან შეხვედრის განზრახვის გათვალისწინებით, იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით.

ლენგდონი დაჟინებით დასცქეროდა ფოტოს, აღშფოთება თანდათან შიშმა შეცვალა. ამაზრზენი სანახაობაა, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არ არის. მას déjà vu-ს *(ეს სადღაც უკვე მინახავს - ფრანგ.)* შემაშფოთებელი შეგრძნება დაეუფლა. წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ლენგდონმა გვამის ფოტო და დახმარების შესახებ ანალოგიური თხოვნა მიიღო. ხოლო ოცდაოთხ საათში კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვა, და ეს ვატიკანში მოხდა. არა, ეს სურათი სულ სხვანაირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სცენარში აშკარა მსგავსება ჩანდა.

აგენტმა საათს დახედა.

- ჩემი კაპიტანი გელოდებათ, სერ.

მაგრამ ლენგდონს ეს არ გაუგონია. თვალები უწინდებურად ფოტოსკენ ჰქონდა მიპყრობილი.

- აი, აქ, ეს სიმბოლო, და კიდევ ის, რომ სხეული ასე საშინლად...

- მოწამლულია? - ვარაუდი გამოთქვა აგენტმა.

ლენგდონმა თავი დაუქნია, შეკრთა და თანამოსაუბრეს შეხედა.

- ვერც კი წარმომიდგენია, ვის შეეძლო ამისი ჩადენა...

აგენტი მოიღუშა.

- თქვენ ვერ გამიგეთ, მისტერ ლენგდონ. ის, რასაც ფოტოზე ხედავთ... - მას ენა დაება, - მოკლედ, მოსიე სონიერმა ეს ყველაფერი საკუთარ თავს თვითონ დამართა.

## II თავი

ოტელი „რიციდან“ დაახლოებით ერთი მილის დაშორებით ალბინოსი სახელად საილასი კოჭლობით შევიდა რიუ ლაბრუიერზე მდებარე წითელი აგურის მდიდრული სახლის ჭიშკარში. ადამიანის თმისგან დაწნული ეკლიანი სარტყელი მტკივნეულად ესობოდა კანში, მაგრამ სული სიხარულით უმღეროდა. მაშ როგორ, მან ხომ უფლის სამსახური გასწია.

***ტკივილი სასარგებლოა.***

ის სახლში შევიდა, წითელი თვალები ვესტიბიულს მოავლო. მერე კი ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე, რომ მძინარე ამხანაგები არ გაეღვიძებინა. მისი საძინებლის კარი ღია იყო, აქ საკეტები იკრძალებოდა. ის შევიდა და კარი მიხურა.

ოთახი სპარტანულად იყო მოწყობილი - ფიცრული იატაკი, ფიჭვის უბრალო კომოდი, კუთხეში ტილოს ლეიბი, რომელიც საწოლის მაგივრობას სწევდა. აქ საილასი მხოლოდ სტუმარი იყო, მაგრამ შინ, ნიუ-იორკშიც დაახლოებით ასეთივე სენაკი ჰქონდა.

***უფალმა თავშესაფარი და ცხოვრების მიზანი მიწყალობა.***

ყოველ შემთხვევაში, დღეს საილასი გრძნობდა, რომ ვალების გადახდა დაიწყო. ის სწრაფად მივიდა კომოდთან, ქვედა უჯრა გამოაღო, მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიფა.

- დიახ, - გაისმა მამაკაცის ხმა.

- მასწავლებელო, დავბრუნდი.

- ილაპარაკე! - მბრძანებლურად წარმოთქვა მოსაუბრემ.

- ოთხივეს ბოლო მოვუღე. სამ sénéchaux-ს... და თავად დიდ ოსტატს.

ყურმილში სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს თანამოსაუბრე ღმერთს სამადლობელ ლოცვას სწირავდა.

- ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ინფორმაციაც მოიპოვე?

- ოთხივემ აღიარა. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

- და დაუჯერე?

- ერთი და იგივე მითხრეს. არა მგონია, დამთხვევა იყოს.

თანამოსაუბრემ აღელვებით ამოიქშინა:

- შესანიშნავია! მეშინოდა, რომ ძმობისათვის დამახასიათებელი საიდუმლოობისადმი მიდრეკილება გადასხლევდა.



- სიკვდილის პერსპექტივა ძლიერი მოტივაციაა.

- მაშ ასე, ჩემო მოწაფევ, ბოლოს და ბოლოს, მითხარი ის, რისი ცოდნაც ასე მინდოდა.

საილასს ესმოდა: მის მიერ მსხვერპლთაგან მოპოვებული ინფორმაცია ბომბის აფეთქების შთაბეჭდილებას მოახდენს.

- მასწავლებელო, ოთხივემ დაადასტურა clef de voûte-ს... ლეგენდარული ქვაკუთხედის არსებობა.

მან გარკვევით გაიგონა, როგორ შეეკრა სუნთქვა ხაზის მეორე ბოლოს მყოფ ადამიანს, იგრძნო მღელვარება, რომელიც მასწავლებელს დაეუფლა.

- ქვაკუთხედი. სწორედ ის, რასაც ვვარაუდობდით.

ლეგენდის თანახმად, ძმობამ clef de voûte-ს ანუ ქვაკუთხედის რუკა შექმნა. ეს იყო ქვის ფირფიტა ზედ ამოტვიფრული ნიშნებით, რომლებიც აღწერდნენ, სად ინახებოდა ძმობის უდიდესი საიდუმლო... ამ ინფორმაციას ისეთი დამანგრეველი ძალა ჰქონდა, რომ მისი დაცვა თავად ძმობის არსებობის აზრად იქცა.

- ახლა, როდესაც ქვა ჩვენს ხელთაა, - თქვა მასწავლებელმა, - ერთადერთი, უკანასკნელი ნაბიჯიღა დარჩა.

- უფრო ახლოს ვართ, ვიდრე გგონიათ. ქვაკუთხედი აქ არის, პარიზში.

- პარიზში? დაუჯერებელია. და რაღაც მეტისმეტად ადვილი.

საილასმა გასული საღამოს მოვლენები უამბო. მოუთხრო, როგორ ცდილობდა ოთხივე მსხვერპლი, სიკვდილამდე ერთი წამით ადრე თავისი უღირსი სიცოცხლე ძმობის ყველა საიდუმლოს გამჟღავნებით გამოესყიდა. და თითოეული საილასს ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: ქვაკუთხედი ეშმაკურად არის დამალული მოფარებულ ადგილას, პარიზის ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში - ეგლიზ დე სენ-სიულპისში.

- უფლის სახლის კედლებში! - წამოიძახა მასწავლებელმა, - როგორ გაბედეს ჩვენი დაცინვა?

- ისინი ამას უკვე რამდენიმე საუკუნეა აკეთებენ.

მასწავლებელი დადუმდა, თითქოს გამარჯვების მომენტით დატკბობა სურდა. მერე კი წარმოთქვა:

- ჩვენს შემოქმედს უზარმაზარი სამსახური გაუწიე. ამ საათს მრავალი ასწლეული ველოდით. ეს ქვა ჩემთვის უნდა მოიპოვო. დაუყოვნებლივ. დღესვე! იმედი მაქვს, ხვდები, რა მაღალია მიზანი!

საილასი ხვდებოდა, მაგრამ მასწავლებლის მოთხოვნა განუხორციელებლად მოეჩვენა.

- კი მაგრამ, ეს ეკლესია ციხესიმაგრესავით არის. განსაკუთრებით ღამღამობით. როგორ მოვხვდები შიგნით?

და მაშინ მასწავლებელმა განუზომელი ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ადამიანის თავდაჯერებული ტონით აუხსნა, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს.

საილასმა ყურმილი დადო და იგრძნო, მღელვარებისგან როგორ აეწვა კანი.

***ერთი საათი,*** შეახსენა საკუთარ თავს მასწავლებლისადმი მადლიერებით გამსჭვალულმა იმის გამო, რომ მან უფლის სამყოფელში შესვლამდე ეპიტიმიის დადების უფლება მისცა. ***დღეს ჩადენილი ცოდვებისგან სული უნდა გავითავისუფლო.*** თუმცა, მისი დღევანდელი ცოდვები კეთილ მიზანს ემსახურებოდა. უფლის მტრების წინააღმდეგ ომები საუკუნობით გრძელდებოდა. მიტევება უზრუნველყოფილი ჰქონდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საილასმა იცოდა: ცოდვების გამოსყიდვა მსხვერპლს მოითხოვს.

მან ფარდები დახურა, გაშიშვლდა და ოთახის ცენტრში მუხლი მოიყარა. მერე თვალები დახარა და თეძოზე შემოსალტულ ეკლიან სარტყელს შეხედა. „გზის“ ყველა ჭეშმარიტი მიმდევარი ატარებდა ასეთ სარტყელს - ლითონისკბილებიან თასმას, რომლებიც ყოველ მოძრაობაზე სხეულში ესობოდა და იესოს ტანჯვას შეახსენებდა. ტკივილი ხორციელი ლტოლვის დაოკებაშიც ეხმარებოდა.

მართალია, დღეს საილასს თავისი თასმა სავალდებულოზე ორი საათით მეტ ხანს ეკეთა, მაგრამ კარგად ესმოდა: ეს უჩვეულო დღეა. და აი, მან ბალთას ხელი წაავლო, სარტყელი უფრო შემოიჭირა და ტკივილისგან შეიჭმუხნა, როდესაც ეკლები კიდევ უფრო ღრმად ჩაესო ხორცში. თვალები დახუჭა და ამ განწმენდის მომტან ტკივილს მიეცა.

***ტკივილს მხოლოდ სარგებლობა მოაქვს,*** გონებაში წარმოთქვამდა საილასი სიტყვებს მასწავლებელთა მასწავლებლის, მამა ხოსე მარია ესკრივას წმინდა მანტრიდან. თავად ესკრივა 1975 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობდა, მის ბრძნულ სიტყვებს მთელ დედამიწაზე ათასობით ერთგული მსახური ჩურჩულით იმეორებდა, განსაკუთრებით, როდესაც მუხლს მოიყრიდნენ და „ხორცის მოკვდინების“ სახელით ცნობილ წმინდა რიტუალს ასრულებდნენ.

შემდეგ საილასი შებრუნდა და უხეშად დაწნულ კვანძებიან ბაგირს შეხედა, რომელიც მის ფეხებთან აკურატულად დახვეული იდო იატაკზე. კვანძებს სისხლი შეხმობოდა. კიდევ უფრო ძლიერი განმწმენდი ტკივილის მოლოდინში საილასმა მოკლე ლოცვა წარმოთქვა. მერე ბაგირის ერთ ბოლოს ხელი დაავლო, თვალები დახუჭა და მხარს უკან ზურგზე გადაიჭირა. იგრძნო, როგორ დაუკაწრა კვანძებმა კანი. კიდევ ერთხელ, უფრო ღონივრად გადაიჭირა. დიდხანს განაგრძობდა თვითგვემას.

- Castigo corpus meum *(ვსჯი ჩემს სხეულს - ლათ.)*.

და აი, როგორც იქნა, იგრძნო, როგორ დაედინა ზურგზე სისხლი.

*თარგმნა*

**მარინე კიკნაძემ**

***გაგრძელება იქნება***

# რუსთაველის საქართველოში დაბრუნება

ეს საუბარი რობერტ სტურუასთან რუსთაველის თეატრისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში შედგა. მიმდინარეობს თეატრის მასშტაბური რეკონსტრუქცია, რომლის გამოც, არსებულ შენობაში, სულ მცირე სამი სეზონის მანძილზე, სრულფასოვანი საქმიანობა შეუძლებელი იქნება. ასეთ დროს, "ფორმის შესანარჩუნებლად", ყველა ძალის მოკრებაა საჭირო. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სწორედ მაშინ, როდესაც თეატრი იძულებულია დროებით დატოვოს ჩვეული ბინა, იბადება "ვეფხისტყაოსნის" დადგმის იდეა. ამან უნდა დაადასტუროს, რომ რუსთაველის თეატრი მყარი, ერთიანი და ქმედითი ორგანიზმია.

*- რუსთაველის თეატრს, თითქოს, უკვე ტრადიციად ექცა პერიოდული "ფერისცვალება"...*

- ჩვენ თეატრს მართლაც ახასიათებს ერთგვარი ციკლურობა. ყოველი ციკლის დასრულების შემდეგ განახლება იწყება. ახლა, თუ 1990 წლიდან დავითვლით, მორიგი თხუთმეტწლიანი ციკლი უნდა დასრულდეს. განახლება, რა თქმა უნდა, ტრადიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. ეს რუსთაველის თეატრის უძვირფასესი თვისებაა, რომელიც მას დაბერებისაგან, რუტინისაგან იცავს.

*- და, ალბათ, ბევრი თეატრისაგან გამოარჩევს.*

- აკადემიურ თეატრებში მე ასეთ ფენომენს მართლაც არ შევხვედრივარ. რაც დღეს ჩეხოვის სახელობის MXAT-ში ხდება, ეს არა მხოლოდ ყოველგვარი სტილის, არამედ თეატრის ღალატია. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ტაბაკოვი ე.წ. კომერციულ სპექტაკლებს იმიტომ ამჯობინებს, რომ მაყურებელი მოიზიდოს. მაგრამ, ვფიქრობ, შექმნილ ვითარებას ეს არ ამართლებს.

*- აქვს თუ არა თეატრს ინდივიდუალური ბედისწერა?*

- ვფიქრობ, რომ კი. იმასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რა სახის ენერგია დაედო თეატრის შექმნას საფუძვლად. იმ თეატრის შესაქმნელად, რომელსაც შემდგომ რუსთაველის თეატრი ეწოდა, მთელი ერი დაირაზმა. ასე რომ, თეატრის უნიკალური თვისება - "განიახლოს" თავი, წინაპართა დამსახურებადაც უნდა ჩაითვალოს.

*- ახალი ძიებები ახსენეთ. ახალ ძიებებს, ალბათ, ახალი რეპერტუარიც დასჭირდება...*

- "ვეფხისტყაოსანი" მინდა დავდგა და თანაც სწორედ ახალ, "დროებით" დარბაზში. მოქმედებამ მთელი სივრცე უნდა მოიცვას. მაყურებელიც უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ მოქმედებაში, შეიძლება, ჩვენთან ერთად, მანაც იმოძრაოს. ტრადიციული ზღურბლი - სპექტაკლი - მაყურებელი - უნდა გადაილახოს. მსურს, ჩვეული "იქ" და "აქ" დავარღვიო

*- რატომ მაინცდამაინც "ვეფხისტყაოსანი"?*

- ალბათ, იმიტომ, რომ იმ თორმეტი წლის შემდეგ, ჩვენ რომ გამოვიარეთ, უკვე აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს თავზე, ჩვენს ქვეყანაზე დაფიქრება და ლაპარაკი. რა თქმა უნდა, არა პირდაპირი, არამედ სპეციალური თეატრალური ფორმით. რუსთაველიც ხომ საქართველოზე ლაპარაკობს, თუმცა, ღიად არც ის აკეთებს ამას. ან, შეიძლება, გვეჩვენება, რომ აქ რაღაც საიდუმლო უნდა იმალებოდეს. როდესაც დანტეს კითხულობ, თუ ფლორენციის ისტორიას არ იცნობ, ძალიან რთულია ბოლომდე გაიგო რა ხდება, თუნდაც იმავე "ჯოჯოხეთში". მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ხომ არ შევცვლილვართ. დღეს, ისტორიას რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ მუდამ იგივენი ვართ. ამიტომ, ამ ნაწარმოებში ბევრი ისეთი რამის ამოკითხვა შეიძლება, რაც საკუთარ თავს უკეთ შეგვაცნობინებს. თანაც, მეჩვენება, რომ "ვეფხისტყაოსანი" ჯერაც "წაუკითხავია". ჯერაც არ არის გარკვეული თუ რას მოგვითხრობს აქ აღწერილი ამბები. უამრავი კითხვა მიჩნდება. პირველ ყოვლისა - ავტორის საკითხი. ეს კაცი ხომ, ფაქტობრივად, გააძევეს ქვეყნიდან და იძულებული გახდა, უცხო მიწაზე დაესრულებინა სიცოცხლე. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მის თხზულებაში მეგობრობის შესახებ, არ შეიძლება არ იყოს გარკვეული ირონია. ეს უფრო მისი სურვილია, ვიდრე რეალობა, რომელიც ძალიან შორს დგას იდეალისაგან. იგი არ ჰგავს კაცს, რომელიც ამოდენა პოემას მხოლოდ იმიტომ დაწერდა, რომ ეთქვა, მეგობრობაა მთავარიო. რაღაც სხვა სათქმელი უნდა ჰქონდეს, უფრო ღრმა, უფრო დაშიფრული... თანაც იგრძნობა რომ იმედიანია, მაჟორული. მაგრამ რატომ, რა იმალება აქ?

*- როგორ აპირებთ თქვენს "ძიებაში" მაყურებლის ჩართვას?*

- მინდა, მოქმედებაში, ავტორთან ერთად, მეორე პერსონაჟი - კომენტატორი - შემოვიყვანო - ირონიული კრიტიკოსი, რომელიც თვლის, რომ ნაწარმოებმა რეალობასთან ყოველგვარი კავშირი დაკარგა, მოძველდა. ის იმდენად სკეპტიკურია, რომ უნდა შეწუხდე, გაღიზიანდე, პროტესტი გაგიჩნდეს. მაგრამ მისი სკეპსისი იქამდე მივა, ბოლოს მიხვდები, რომ ეს მხოლოდ ხერხია, ფორმაა ნაწარმოების მიმართ შენი სიყვარულის ჩამოყალიბებისა. კომენტატორმა ეს უნდა მოახერხოს კიდეც, უნდა შეგაყვაროს ნაწარმოები. მოქმედება, რაღაცით, ბავშვების თამაშსაც უნდა დაემსგავსოს... ისე ყველაზე რთული ამ კაცის შექმნა, მისთვის სამეტყველო ენის მოფიქრებაა. მან სრულიად განსხვავებულ ენაზე უნდა ილაპარაკოს. უფრო თანამედროვე, შეიძლება მეცნიერულ, მაგრამ საკმაოდ რთულ ენაზე.

*- ავტორი როგორღა შემოვა მოქმედებაში?*

- დღეს ეს ასე წარმომიდგენია: სპექტაკლის დასაწყისში ვხედავთ, რომ ავტორმა დაასრულა ნაწარმოები, "დასაწყისის" თამარისადმი მიძღვნის შესავალ სტროფებს წარმოთქვამს, მაგრამ უშუალოდ მიძღვნამდე ვეღარ აღწევს, რადგან აღსასრული უახლოვდება. სანთლით ხელში დგას და ძონძებში შეხვეული რაღაც საგანი უჭირავს (შემდეგ ირკვევა რომ ეს წიგნია), უნდა რომ საკურთხეველზე დადოს და ამ დროს კვდება. მიძღვნის სიტყვებს უკვე კომენტატორი წარმოთქვამს, რომელიც ძონძებში გამოხვეულ წიგნს ფეხით მოიწევს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის ამ ძონძებში. ამ დროს შემოდიან მონაზვნები და გარდაცვლილის განბანვას იწყებენ. ჯერ აშიშვლებენ, შემდეგ კი შემოსავენ. კომენტატორის ტექსტი სწორედ ამ აქტის ფონზე მინდა რომ გაიშალოს.

იწყებს ბუზღუნს, ლანძღავს დროს, რომელმაც ვერ დააფასა ნაწარმოები, ადამიანებს, რომლებსაც წიგნის არაფერი გაეგებათ და გულის სიღრმეში ყველა თვლის, რომ ეს ნამდვილი სისულელეა. ასე ლაპარაკლაპარაკით ადის სადღაც ზემოთ და იქიდან ისვრის დახვეულ საგანს, რომელიც წიგნი აღმოჩნდება და ფურცელ-ფურცელ დაიშლება. ეს მაყურებელში შოკს იწვევს. კომენტატორი ამშვიდებს მათ და აინშნებს, რომ ეს ბუტაფორიაა და მას კიდევ ბევრი ასეთი "წიგნი" აქვს სხვა სპექტაკლებისთვისაც. კომენტატორის აზრით, მაყურებლის აღშფოთება სულაც არ უარყოფს მის შეხედულებას. აქ, უბრალოდ, ჩვენი ინსტინქტი მუშაობს, როდესაც საქართველოს ვინმე სხვა ლანძღავს და ამცირებს, ეს ჩვენში აღშფოთებას და პროტესტს იწვევს, თითქოს, ლანძღვის უფლება მხოლოდ ჩვენ გვქონდეს.

*- ავტორისა და კომენტატორის შემოყვანით, როგორც ვხვდები, ნაწარმოებისადმი ჩვენი დამოკიდებულების ფორმირებაც გსურთ და არა მხოლოდ ინტერპრეტაცია...*

- მე მინდა, რომ თითოეული სცენა თავის აზრს ატარებდეს. შეიძლება დამოუკიდებელ, მხოლოდ თავის კუთვნილ აზრს და არა ერთიანი "აზრის" ნაწილს. ამბავი ისევ ავტორის გზით შემოვა მოქმედებაში. მიცვალებული, რომელიც განბანეს და, ფაქტობრივად, დაასაფლავეს, იწყებს: "იყო არაბეთს როსტევან"... იგი ძალიან მოხუცია, დაჩაჩანაკებული. ძლივს დადის. უკან ამალა მოჰყვება. იძულებულია ხელისუფლება ქალიშვილს გადასცეს. ამალა ჯერ შეიცხადებს - რა დროს ეგ არის, შენ კარგი მეფე ხარ, ჯერ სიბერეც შორსააო და მერე, უეცრად, ეთანხმება - კი, თინათინი ნამდვილად კარგად გაუძღვება სახელმწიფოსო. რა მოხდა, რა შეიცვალა? იქნებ თინათინი შემოვიდა და ამან განაპირობა ასეთი შემობრუნება, ან იქნებ ელოდნენ კიდეც მეფისგან ასეთ საქციელს და უნდოდათ, რომ მას თვითონ მიეღო ეს გადაწყვეტილება, რომ გადატრიალების რაღაც ჩვენთვის უცნობი საფრთხე აეცილებინათ თავიდან. როგორც ეტყობა, სახელმწიფოში ისეთი ატმოსფერო სუფევს, რომ შეიძლება როსტევანი გადააგდონ, მოკლან, "მოხსნან". თუმცა, მისი გადაწყვეტილების შემდეგ, სიტუაცია შეიძლება მართლაც ძალიან მშვიდობიანად დასრულდეს, უცებ რომ არ იმსხვრეოდეს ეს წონასწორობა. აგდია მიწაზე ვიღაც კაცი და ქვითინებს. რაღაც მისტიკური, უცნაური არსება, საოცრად მიმზიდველი და არა მარტო იმიტომ, რომ ძალიან ლამაზია. თინათინს იგი საერთოდ არ უნახავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ კაცის მოძებნის ბრძანებას გასცემს.

*- მაშასადამე, მთავარი მოვლენა ტარიელით დაინტერესების ფენომენში უნდა ვეძებოთ?*

- უეცრად ჩვენს წინაშე სრულიად სხვა, უცხო სამყარო გადაიშლება. საოცარი, დაუჯერებელი, თითქოს ულოგიკო გადატრიალება ხდება. უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში ყველაფერი არ ექვემდებარება "გამოცნობას", რაღაც საბურველშია ჩაფლული. როდესაც რუსი კრიტიკოსი ცდილობს, ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტას" მოქმედების ზუსტი დრო, მოვლენები და ფაქტები გამოიცნოს, მას ამისთვის უამრავი დამხმარე საშუალება აქვს. ეს ახალი ისტორიაა, რომელიც თითქმის ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. ჩვენ შემთხვევაში არაფერია ხელმოსაჭიდი, ისტორიის წიაღშია ჩაფლული ყველაფერი და ვერც ვერასოდეს გამოიცნობ ზუსტად.

*- თქვენი საუბრიდან ორი მომენტი იკვეთება. ერთი, რომ ისტორია, როგორც პროგრესი ან ცვლილება, პრინციპში, არ არსებობს იმ აზრით, რომ ხალხი ყოველთვის იმეორებს თავის ბუნებას. ეს პოზიცია მითოლოგიზმისკენ იხრება. მეორე მხრივ, თქვენ ეძებთ კონკრეტულ ისტორიულ დეტალებს, რომლებიც ვითარების ამოხსნის საშუალებას მოგცემთ. მაინც რომელ სფეროში იმედოვნებთ თქვენთვის საჭირო "ინფორმაციის" მოპოვებას?*

- პირველ რიგში სიუჟეტში უნდა ეძიო. მე მგონი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანს წმინდა ადამიანურ სფეროში ვიპოვნი. უყვარდა თინათინს ავთანდილი? არ უყვარდა? იქნებ ატყუებდა? ქალი რომ გეტყვის წადი და სამი წლის მანძილზე უცხო კაცი ეძებეო, საკმაოდ საეჭვოდ ჩანს. იქნებ შენი მეტოქის საძებნელად გაგზავნიან? საერთოდ, არა მგონია რომ აქ რაღაც ძალიან ღრმა და თანმიმდევრული ფილოსოფიური კონცეფცია იყოს. ვფიქრობ, აქ უფრო ქართველებისათვის დამახასიათებელ, ძალიან მახვილ ინტუიციაზეა საუბარი, რომელიც პოეზიის სახით უფრო ვლინდება, ვიდრე მეცნიერების. ლექსში სიტყვასა და მნიშვნელობას შორის კავშირი ისეთივეა, როგორც ჭადზე "გამოკვესილ" ყველსა და თვითონ ჭადს შორის (ასე უნდა ჭამოთ ყველიო - გვასწავლიდა ომის დროს ბებიაჩემი) - ყველის გემოსაც გრძნობ, თითქოს, სუნსაც, მაგრამ ყველს თითქმის ვერ ჭამ. მიუხედავად ყველა ამ სირთულისა უნდა ვეცადო, რომ სიმართლე ამ ხარისხში მაინც შევინარჩუნო, რომ ყოველთვის შემეძლოს ნაწარმოების დამოწმება. დისკუსია რომ დამჭირდეს, ჩემი ინტერპრეტაციის საფუძვლიანობა უნდა დავადასტურო.

*- ეს ყველაფერი აქტიორული გამოსახვის სტილსაც უკავშირდება...*

- ეს სტილი მინდა "ლამარასკენ" იყოს "გადაქაჩული". მასალა წმინდა ეზოთერული ხასიათის მიხვედრებზე უნდა აიგოს. ჩვენ ხომ ვერაფრის ასპროცენტიან მტკიცებას ვერ დავიწყებთ! ამიტომ, უნდა ვაჩვენოთ, რომ ჭეშმარიტება "ზეშთაგონებით" მიიღწევა და არა ლოგიკური ანალიზის გზით. ჩვენ ხომ ამდენი გამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგალითად, რატომ ირჩევს რუსთაველი ისლამურ გარემოს, როგორ შეუძლია ავთანდილს იყოს ასეთი დაუნდობელი ასმათის მიმართ, როდესაც მისგან ტარიელის ვინაობის შეტყობა უნდა. ამ ეპიზოდში ის თმებით ითრევს ქალს. არის ამაში რაღაც შემზარავი, საშიში. არ ვიცით, შემოვიყვანოთ თუ არა მოქმედებაში ნესტანი, თუ ის, თითქმის დასასრულამდე, უჩინრად დავტოვოთ. ვინ არიან ქაჯები, უცხონი თუ ჩვენივე ნაწილი? ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორია მახსენდება. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ე.წ. "ოტტეპელის" პერიოდში, ჩემი სიმამრი, მიხეილ კვესელავა, კინოსტუდიის დირექტორი იყო. სწორედ "ფილმკოლოსების" პერიოდი იწყებოდა, ისეთი დიდი კინოპროექტებისა, როგორიც იყო, მაგალითად, "კლეოპატრა". მიხეილ კვესელავას "ვეფხისტყაოსნის" გადაღების იდეა გაუჩნდა. დაუკავშირდნენ დინო დე ლაურენტისს, გაუგზავნეს პოემის თარგმანი. ის დაინტერესდა და თბილისში სცენარისტთა ჯგუფი გამოგზავნა, რომლებსაც მასალაზე უნდა ემუშავათ. გაირკვა, რომ, საერთაშორისო პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ფილმში მსოფლიო კინოს ვარსკვლავებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, თინათინს ითამაშებდა სოფი ლორენი, ნესტანს - ჯინა ლოლობრიჯიდა, ტარიელს - კერკ დუგლასი და ა.შ. ეს ფილმის წარმატების გარანტიად მიაჩნდათ. ნოდარ დუმბაძემ, რომელიც მაშინ კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, იხუმრა - გამოდის, ჩვენ მარტო ქაჯების როლები დაგვრჩებაო. პროექტი აღარ განხორციელებულა.

ეს ხუმრობით. მაგრამ ქაჯების თემაში მართლაც ბევრია დასაფიქრებელი, იმავე ნესტანის მამიდის, დავარის საქციელშიც, რომელიც ქაჯეთის რძალია და თვითონ ღებულობს მონაწილეობას ძმისწულის მოტაცებაში.



*- თქვენი "თეატრი", ტრადიციულად, აღიქმებოდა როგორც რაციონალური, მეტაფორული, ინტელექტუალური. ახლა კი მასში ირაციონალური და პოეტური დოზა მკვეთრად გაიზარდა. რამ გამოიწვია ეს ცვლილება?*

- ალბათ, "ცელიანი ადამიანის" გამოჩენამ, წეღან რომ ახსენეთ. ერთ ფრანგ ფილოსოფოსს ვკითხულობ, რომელიც ამტკიცებს, რომ ბერძნული ფილოსოფია ლიტერატურასა და პოეზიაზე "გავლით" შეიქმნა და თუ ცნებებს ჩაუკვირდები, დარწმუნდები, რომ ისინი რეალობას სულაც არ ასახავს, სიტყვა მნიშვნელობას არ გამოხატავს.

ვენესუელელთა სპექტაკლი ვნახე, "იობის წიგნის" მიხედვით. ეს ჩემი უსაყვარლესი წიგნია. ლათინურ ამერიკაში ახლა განსაკუთრებული თეატრალური ექსპერიმენტები ტარდება. სპექტაკლს ძველი კინოთეატრის შენობაში თამაშობდნენ, ეპიზოდები ერთდროულად, პარალელურად სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დეკორაციაში მიდიოდა, მაყურებელი ხან ერთ ეპიზოდს უყურებდა, ხან მეორეს. ბუნებრივია, ფაბულის ერთიანობა ირღვეოდა, მისი მთლიანობის აღქმა შეუძლებელი იყო, მაგრამ იქმნებოდა რაღაც განსაკუთრებული, ძლიერი ემოციური ველი, შეიძლება ფაბულა დაიკარგა, მაგრამ ლოგიკური კავშირების შესუსტება ამ ადამიანის სასტიკ განსაცდელში ემოციური თანამონაწილეობის ხარისხით კომპენსირდებოდა.

*- მიუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ექსპერიმენტებისა, პესიმისტები თეატრის კრიზისზე საუბრობენ. დღეს თეატრს საქართველოშიც განსაკუთრებულად უჭირს...*

- მსოფლიო თეატრი ობიექტურად კრიზისშია, მაგრამ ჩემთვის ეს კრიზისი თეატრის მუდმივი მდგომარეობაა. თეატრს სულ ეჩვენება, რომ ის აღარავის სჭირდება, რომ მან თავის თავი ამოწურა, რომ დრამატურგიაშიც ვერაფერს მოძებნის ახალს. ეს მდგომარეობა ნებისმიერი შემოქმედის ნორმალური მდგომარეობაა, შედევრსა და შედევრს შორის გალაკტიონიც კრიზისში იყო, უბრალოდ, ერთი რამე მინდა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორებისაგან, რომ მათ მეტი სითამამე გამოიჩინონ, უფრო გაბედულები გახდნენ. მეჩვენება, რომ ახალგაზრდების ადგილას მე უფრო რადიკალური ვიქნებოდი და მეტი ენერგიით "გავგლეჯდი" ტრადიციებს. მერე შეიძლება გვიან იყოს.

*- თქვენ ტრადიციულად თანამშრომლობთ ახალგაზრდა მსახიობებთან, რეჟისორებთან, რა იწვევს თქვენდამი მათ ნდობას?*

- მოსკოვში, კალიაგინის გადაცემაში მკითხეს, შური თუა თქვენთვის ცნობილი, მაგალითად, პიტერ ბრუკის თუ გშურთო? ბრუკის, რა თქმა უნდა, არ მშურს, ის შორსაა და რაც მეტ საინტერესო სპექტაკლს დადგამს, მით უკეთესი. მთავარია, მეგობრის მიერ დადგმული სპექტაკლის არ შეგშურდეს. შური ძალიან გიშლის, გამუხრუჭებს, საშუალებას არ გაძლევს თავისუფლად, ალალად იმუშავო. ახალგაზრდობისას განვიცადე, ერთხელ, ეს გრძნობა და მივხვდი, რომ თუ მას არ შეებრძოლე, ძალიან გაგიჭირდება. ჯერ ერთი, ადამიანურად იგრძნობ თავს ცუდად, ის ყოველგვარ შემოქმედებას უსვამს წერტილს. მე "უშურველობის ტექნოლოგია" გამოვიმუშავე. რა თქმა უნდა, ყოფილა წყენის, თეატრიდან წასვლის შემთხვევებიც, ხანდახან ეს ადამიანები ჩემი მეგობრებიც ყოფილან. მაგრამ ბევრს უანგაროდ დავხმარებივარ. ალბათ, ახალგაზრდები ამას გრძნობენ და იმიტომაც მენდობიან.




## ქეთევან ხამიცაშვილის საავტორო ჩანართი



# რატომ გადაახია სპარტაკ ბაღაშვილმა კანდიდ ჩარკვიანს პარტბილეთი თავზე?

## რომელი საბჭოთა ლიდერი მფარველობდა და რომელი მტრობდა დიდ მსახიობს

***ცნობილ მწერალს რევაზ ინანიშვილს ულამაზესი ქართველი მსახიობები სპარტაკ ბაღაშვილი და თამარ ციციშვილი პლეხანოვის გამზირზე არსებულ ერთ-ერთ კაფეში შეუნიშნავს. ამ ორი ლეგენდარული პიროვნების სილამაზით მონუსხული მწერალი კაფეს ვიტრინასთან დიდხანს მდგარა გაუნძრევლად, შემდეგ კი თავის მოგონებებში დაუწერია: ვიდექი კაფეს წინ და ვტკბებოდი სპარტაკ ბაღაშვილისა და თამარ ციციშვილის ცქერით — ასეთი სპეტაკი სილამაზე არსად მინახავს...***
***ჩვენი სტუმარია ცნობილი მსახიობის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა ბაღაშვილი:***

- მამა იყო საოცრად სუფთა, სპეტაკი ადამიანი, ბავშვივით გულუბრყვილო, მიამიტი. ადვილად ენდობოდა ადამიანებს, სჯეროდა მათი, ტყუილს არასდროს იტყოდა. ბებიაჩემი - ბარბარე ბაღაშვილი ამბობდა ხოლმე - ჩემს სპარტაკზე კარგი შვილი ქვეყნად არავინ არისო... საოცარი დედაშვილობა ჰქონდათ. მამა ბებიას გამხდარ სახეზე მოეფერებოდა და ეტყოდა -„ვარინკ-ძვალინკა“... სხვისი ტკივილის გაზიარება და გაჭირვებულის დახმარება ოჯახში ასწავლეს. ჯერ კიდევ ბავშვი, რომელსაც მაღაზიიდან სახლში პურის მოტანა ევალებოდა, გაჭირვებულ მეზობლებს ეხმარებოდა. ერთხელ მამამისს უსაყვედურია (ფულს ის იხდიდა) - ბიჭო, ამდენი პური სად მიგაქვსო. - ავადმყოფი, გაჭირვებული მეზობლისთვისო, - უპასუხია. მახსოვს, უკვე გარდაცვლილ მამას უცნობი ქალი დასტიროდა - რა ვქნა, რომ აღარასდროს შემხვდებიო... ომის დროს, თურმე, იმ ქალბატონს პურის წიგნაკი დაჰკარგვია, ტირილისგან დაოსებული ქალი მამაჩემს ვერის ხიდზე შეუნიშნავს, დაუმშვიდებია: - ქალბატონო ჩემი წიგნაკით თქვენ პურს არ მოგცემენ, ამიტომ ყოველდღე 11 საათზე თერთმეტსართულიანი შენობის მაღაზიასთან მოდით, პურს მე მოგცემთო. ერთი თვის განმავლობაში, სანამ იმ ქალბატონს ახალ წიგნაკს მისცემდნენ, პურს მამა აძლევდა. ომის დროს ასეთი საქციელი მართლაცდა გმირობის ტოლფასი იყო.

**- რომელი იყო სპარტაკ ბაღაშვილის პირველი როლი?**

- მიხეილ ჭიაურელის „არსენა“. მანამ მამაჩემი სატყეო ინსტიტუტში სწავლობდა (გზებისა და ხიდების ინჟინერი უნდა გამოსულიყო), ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევით ქუჩაში შეხვდა ცნობილი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელმაც კინოსტუდიაში მიიწვია. მამას უარი განუცხადებია, რეჟისორ შაქრო ბერიშვილს (რომელმაც ნატო ვაჩნაძე აღმოაჩინა) ჭიაურელისთვის უთქვამს, - სპარტაკი ლევან ბაღაშვილის შვილი იქნებაო და მამას სახლში მიაკითხეს. პაპაჩემი - ლევან ბაღაშვილიც მსახიობი გახლდათ - „ხარფუხის თეატრში“ თამაშობდა. შვილისთვის უთქვამს - სპარტაკ, რაკიღა შენ შეგარჩიეს, წადი და ითამაშეო. ასე გადაიღეს პირველი ფილმი „არსენა“. ამას მოჰყვა „დიადი განთიადი“, „გიორგი სააკაძე“, „ხევისბერი გოჩა“... თავდაპირველად მიხეილ ჭიაურელმა გიორგი სააკაძის როლის შესასრულებლად მამა მიიწვია, კოსტიუმები მისთვის შეიკერა, მაგრამ სააკაძის როლის თამაში აკაკი ხორავას მოუსურვებია, ბერიას რეჟისორისთვის დაურეკავს... ბატონი მიშა, თურმე, საშინლად განიცდიდა ამ ამბავს. მას აკაკი ვასაძესთვის შეუთავაზებია, - გიორგი სააკაძეს ხომ არ ითამაშებო. ვასაძეს შორს დაუჭერია - აბა, მე სააკაძის როლს როგორ შევასრულებო... ჭიაურელს უფიქრია, - ხორავა და ვასაძე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ამასობაში კი სპარტაკს გადავიღებო, მაგრამ არ გამოვიდა. თუმცა, ფილმმა ძალიან ბევრი მოიგო იმით, რომ მამამ ლუარსაბ მეფე ითამაშა. ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია სტუდენტებს ლექციაზე ეუბნებოდა, თურმე, თუ გსურთ, ბაგრატიონის გვარის წარმომადგენლებზე წარმოდგენა შეგექმნათ, სპარტაკ ბაღაშვილის


არსენას როლში

ლუარსაბ მეფე ნახეთო.

**- რომელმა ფილმებმა დაიმსახურა სტალინური პრემია?**

- დიდი წარმატება ხვდა წილად „არსენასა“ და „დიად განთიადს“. როდესაც სტალინმა ნახა ეს ფილმები, კანდიდ ჩარკვიანს დაურეკა და უთხოვია: მსახიობები - აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა და სპარტაკ ბაღაშვილი ჩამოვიდნენო. იმ დროს ომი ახალი დაწყებული იყო, რეპრესიებმა არაერთი ქართული ოჯახი შეიწირა, საზოგადოება დაითრგუნა... მამა კანდიდ ჩარკვიანთან მისულა და პარტბილეთი გადაუხევია. არავინ იცის, რა საუბარი შედგა, რამ გამოიწვია ასეთი საქციელი. ამ შემთხვევის გამო კანდიდს სტალინისთვის უთქვამს, - სპარტაკ ბაღაშვილს ნერვები წესრიგში არა აქვსო. სტალინს მამა დაუცავს, - ამას ნუ მეუბნებით, სპარტაკი ქიზიყელი კაცია, მამასისსაც ქალაქიდან კარგად ვიცნობდი, არ შეიძლება, ლევანის შვილს ნერვები წესრიგში არ ჰქონდესო... მამა ორჯერ შეხვდა სტალინს, პირველად - მოსკოვში, შემდეგ - გაგრაში. მამამ კარგად იცოდა ლიტერატურა, უამრავი ლექსი - სტალინთან შეხვედრაზე წაუკითხავს მონოლოგები „ჰამლეტიდან“, „ოტელოდან“. სტალინს ხორავასთვის უკითხავს - სპარტაკს თქვენთან თეატრში რატომ არ ამუშავებთო?! შემდეგ კი მამაჩემისთვის უთქვამს, - შვილო, შენში ქართველი ერის ღირსებააო... სტალინის მხარდაჭერის მიუხედავად, მამა თეატრამდე არ მიუშვეს, არავინ მიიწვია. ერთსაც გავიხსენებ - მამაჩემს სტალინისთვის „ბატონოთი“ მიუმართავს. - ბატონები დიდი ხანია, აღარ არიან, „ამხანაგო“ დამიძახეო, - უთქვამს ბელადს, - მე რა თქვენი ამხანაგი ვარო, - მამას უკან არ დაუხევია. მიუხედავად ამისა, მამა იგონებდა - ის პერიოდი, რაც სტალინთან სტუმრად ვიყავით, ყოველ ღამით ჩემს ოთახში შემოვიდოდა და საბანს ამომიგებდაო. სტალინმა იცოდა, მამაჩემი როგორი სპეტაკი, პატიოსანი ადამიანი იყო, ამიტომ მის მიმართ მკაცრი არ ყოფილა...

მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მამას რაღაც დოკუმენტური ფილმი უნდა გაეხმოვანებინა, მაგრამ უარი უთხრეს - დიქცია არ გივარგათ, სხვამ უნდა გაახმოვანოსო. ამ ამბავმა მასზე საშინლად იმოქმედა. აღელვებულმა თქვა, - რას მერჩოდა ეს ჭიაურელი, ინჟინერი ვიქნებოდი და ერთ ორ ხიდს მაინც ავაშენებდიო.

**- როგორც ცნობილია, სპარტაკ ბაღაშვილმა არაჩვეულებრივად ითამაშა სერგო ფარაჯანოვის ფილმში „წინაპართა აჩრდილები“...**

- დიახ, სერგო ფარაჯანოვმა ამ ფილმში მიიწვია, რომელიც უკრაინული ლიტერატურის კლასიკის მიხედვით უნდა გადაღებულიყო. იქ, თურმე, წინააღმდეგნი იყვნენ - ქართველმა როლი რატომ უნდა შეასრულოსო, სერგომ რუსულად დაწერილი თავაზიანი თხოვნის წერილი გამოუგზავნა (ეტყობა, სხვამაც წაიკითხა, რას წერდა), კონვერტზე კი ქართულად დააწერა - სპარტაკჯან, თუ ხათრი გაქ, ჩამოდი!

**- სპარტაკ ბაღაშვილზე ამბობდნენ, ის არა მარტო ნიჭით, არამედ გარეგნობით, დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა, იყო დიდი ესთეტი...**

- დიახ, მამაჩემზე მიხეილ კვესელავა ამბობდა, - ისეთი განათლებული იყო და, სამწუხაროდ, პროფესია სწორად ვერ შეარჩია, ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ ნამდვილად კარგი სპეციალისტი დაკარგაო. კულტურული კაცი იყო, ოჯახში ხმას არასოდეს აუწევდა... 1914 წელს დაიბადა, რევოლუციამდე ოჯახი ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად. მამა და მამიდა იქ გერმანულ ბაღში დადიოდნენ (მამიდაჩემი ამბობდა ხოლმე, რძის ნაწარმი იმიტომ მიყვარს, გერმანულ ბაღში მიმაჩვიესო). მამაჩემმა კარგად იცოდა ლიტერატურა, ფილოსოფია, რუსული და ფრანგული ენები. როცა „ხევისბერ გოჩას“ იღებდნენ, უამრავი წიგნი წაიკითხა - კლასიკური თუ ხალხური, გაეცნო მთის კაცის ბუნებას, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველა როლს... თუ შეგინიშნავთ, ახლანდელ მსახიობებს როგორი ცარიელი სახეები აქვთ... ეს იმიტომ, რომ უწიგნურები არიან! მამა ბრწყინვალედ უკრავდა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, კარგად იცნობდა ხელოვნებას, გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით... იყო მაღალი, ათლეტური (196 სანტიმეტრი სიმაღლის), მისდევდა სპორტს. რეჟისორმა თენგიზ გოშაძემ თავის ერთ-ერთ ფილმში, რომელიც არჩილ სულაკაურის მოთხრობების მიხედვით იღებდა, ყარაჩოხელის როლი მისცა. მამამ თავისი გმირის დიალოგები თავად დაწერა, რეჟისორი აღფრთოვანებული იყო...

**- დედათქვენიც მსახიობი იყო?**

- არა, დედაჩემი მარიამ დოლიძე ფილოლოგი იყო (რუსული ენის), ძალზე განათლებული ქალი. ჩემს მშობლებს საუცხოო ოჯახი ჰქონდათ, არასოდეს კამათობდნენ. მამას საოცრად უყვარდა ბავშვები, ცხოველები, სანამ სახლში მოვიდოდა, ჩვენი ქუჩის ბავშვებს ნაყინს, ტკბილეულს უყიდდა... ამასწინათ ერთი ქალბატონი შემხვდა - თქვენ მანანა არ ბრძანდებით, სპარტაკ ბაღაშვილის ქალიშვილი? - მკითხა, - რომ იცოდეთ, ბავშვობაში მამათქვენს რამდენჯერ უყიდია ჩემთვის ნაყინიო *(იღიმება)*...

ჩემი სკოლის მეგობრებს თეატრში ეპატიჟებოდა, კვირა არ გავიდოდა, ოპერაში არ წავეყვანე.

**- მეგობრების ფართო წრე ჰყავდა?**

- არა. მამა გამორჩეული იყო ინდივიდუალიზმით, იოლად ვერაფერს შეჰკადრებდი, მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ მიშა კვესელავა, რეჟისორი კოლია პიპინაშვილი.

### ერის ღირსება


მამა-შვილი – მანანა და სპარტაკ ბაღაშვილები

**- ვინ დაარქვა იშვიათი სახელი - სპარტაკი?**

- მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელსაც გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული, მამაჩემის და მამიდაჩემის ნათლია იყო, სახელებიც სწორედ იმან შეურჩია - სპარტაკი და სიუზანა. მამიდაჩემი ხუმრობდა - ჩემს ბებიებს სალომე და თინათინი ერქვათ, რაღა სიუზანა დამარქვესო. აქვე ვიტყვი, რომ მამიდაჩემი ცნობილი ექიმი გახლდათ, კარდიოლოგი, მამაჩემზე უფროსი გახლდათ 5 წლით.

**- როგორ გარდაიცვალა სპარტაკ ბაღაშვილი?**

- 2007 წელს 30 წელი შესრულდება, რაც მამა გარდაიცვალა... იანვარი იყო, გაცივდა, ექიმმა ვერ გაიგო... თურმე, ფილტვების ანთება ჰქონია. ამის გამო დაუსუსტდა გულიც. 2 კვირა იავადმყოფა, 1977 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა, 7 თებერვალს დავკრძალეთ. მთელი ორი კვირის მანძილზე ჩემი მეუღლე უვლიდა, ქალებს ოთახში არ გვიშვებდა. გარდაცვალებამდე უკითხავს, - ნუგზარ, დღეს რა დღეა? - კვირა, - უთქვამს ჩემს მეუღლეს. - კვირას წასვლა კარგიაო... შემდეგ ჩაუღიღინია, - „სანამ ცოცხალ ვარ, ვახარებ ჩემსა ჭიასა, მოვკვდები, გაუხარდება სამარის კარსა, ჭიასა...“ სახლში დაბრუნებულს გარდაცვლილი დამხვდა (ჩემს შვილებთან ვიყავი რამდენიმე საათით გამოსული)...

**ცნობილი კინორეჟისორის მიხეილ კობახიძის ფილმები XX საუკუნის საუკეთესო მსოფლიო კინოშედევრებს შორის მოიხსენიება. მისი ნამუშევრები ყოველმხრივ განსხვავებულია — „ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“ — შავ-თეთრი კადრები, გმირების მიმიკა, მოქმედება, არცერთ ეპიზოდში დიალოგი არ ვითარდება, ეს არის ე. წ. მუნჯი კინო, სადაც სიტყვები ზედმეტია. ჩვენი სტუმარია „ქორწილის“ მეოცნებე“ გმირი, ყველასათვის საყვარელი რეჟისორი და მსახიობი გოგი ქავთარაძე, რომელიც მიხეილ კობახიძის პიროვნებასა და შემოქმედებაზე გვესაუბრება.**

# გოგი ქავთარაძე:

# ბევრი რეჟისორი ეცადა, კინოში გამოვეყენებინე როგორც „ქორწილის“ გმირი, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი!





- მიხეილ კობახიძე განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ კინოხელოვნებაში, მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი, თავისუფალი, თვითმყოფადი, საინტერესო იმით, რომ თავისი ფილმებისთვის დეტალებს კინემატოგრაფიის სათავეებიდან - ჩაპლინიდან, ბესტელ კიტონიდან, მუნჯი კინოს საწყისებიდან იღებს და ცდილობს, ამ ხაზს იქით არ გადავიდეს. შავ-თეთრი ფილმების ოსტატია. ამ ტრადიციას დღესაც არ ღალატობს. მისი ბოლო ნამუშევარიც, რომელიც საფრანგეთში გადაიღო და ქართველი მაყურებელი შარშან გაეცნო, სწორედ ამ ელემენტებით ხასიათდება.

**- რატომ გახდა „მუნჯი კინო“ მიხეილ კობახიძის შემოქმედების ამოსავალი წერტილი?**

- ეს მისი სტილია, მიმართულება. „ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“, მისი ახალი ნამუშევრებიც შედევრებია და ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

**- კინოკრიტიკოსები იმასაც ამბობდნენ, კობახიძის ფილმები არასოციალისტურიაო...**

- ჩემთვის გაუგებარი იყო მიშა კობახიძის შემოქმედებითი პაუზა. არ ყოფილა შემთხვევა, მისთვის ვინმეს აეკრძალოს გადაღება ან რაიმე დაეშალოს. რეჟისორმა ფილმები უნდა გადაიღოს, თუ ვინმეს არ მოეწონება, გამოთქვას თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, ამაში საგანგაშო არაფერია. როდესაც გადაღება დროებით შეაჩერა, ყველა კინოსტუდია ეპატიჟებოდა - მოსკოვის, ლენინგრადის, მას გზა გახსნილი ჰქონდა ნებისმიერი მიმართულებით. მაგრამ, რატომღაც, არცერთი წინადადება არ მიიღო, დღესაც არ ვიცი, რატომ.

**- მსგავსი მიმდინარეობა ქართულ კინოში თუ ჩამოყალიბდა?**

- არა, ეს მარტო კობახიძისეულია, ჩაპლინისეული. მის ფილმებს ტექსტი არ სჭირდება, ეპიზოდები ისეა აწყობილი, მეტყველება ზედმეტია, იქ ყველაფერი გასაგებია. მიშა კობახიძის პირველი ფილმიც („კარუსელი“) სწორედ ამ ნიუანსებით ხასიათდება. ფილმის ნახვის შემდეგ მიხვდებით, რომ რეჟისორი არაორდინალური პიროვნებაა, კინოში სიახლე უნდა შემოიტანოს. მიშა სერგეი გერასიმოვის ნიჭიერი მოწაფე იყო. „ქორწილს“ მიღებული აქვს პრიზები „კანის“, „ობერჰაუზენის“, „დონ კარლოს“ ფესტივალებზე.

**- თქვენც დაგაჯილდოვეს, როგორც საუკეთესო შემსრულებელი?**

- არა, არც პრიზი მიმიღია, არც ფული მოუციათ *(იცინის)*...

**- ამ ფილმზე სინჯების შემდეგ დაგამტკიცეს?**

- თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისოროზე ვსწავლობდი, მაგრამ მოღვაწეობა მსახიობობით დავიწყე. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვითამაშე სოსოიას როლი (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“). ეს იყო 1962 წელი. ერთი წლის შემდეგ რობერტ სტურუამ მიმიწვია რუსთაველის თეატრში სპექტაკლზე „ვახშმობის წინ“. დილის ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ თეატრთან დამხვდა მიშიკო კობახიძე, მითხრა (ცოტა უცნაური იყო, პირდაპირ მომხალა) - კინოში გადაღება გინდა? - მინდა-მეთქი. ჰოდა, გადაგიღებ! - მიპასუხა. ასე დამამტკიცა როლზე, არავითარი სინჯები. თავიდანვე გამაფრთხილა, - ფული არა მაქვსო. - არაფერია - დავთანხმდი, - სცენარი მომეცი, წავიკითხავ-მეთქი. წაკითხვა არ გინდა, მოგიყვებიო. დაიწყო მოყოლა: ახალგაზრდა ბიჭი გოგონას ხვდება ჯერ ტროლეიბუსში, შემდეგ კონსერვატორიასთან, ქუჩაში... შემდეგ იწყებს ფიქრს ქორწინების შესახებ, ბოლოს იმედგაცრუება - ხელის სათხოვნელად მიდის, გოგონას კი ქორწილი აქვს. სხვათაშორის, თავიდან, სცენარის მიხედვით, ჩემი გმირი ელექტრომავალებს აკეთებდა (ფილმში ეს არ ჩანს, მაგრამ ეპიზოდები გადავიღეთ).

**- რატომ შეუცვალეთ გმირს პროფესია?**

- არ ვიცი, ეგ მიშიკოს უნდა ჰკითხოთ. მასთან შეკითხვებს ვერ ვსვამდი. მაგრამ თავიდან ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რა არის ამ სცენარში საინტერესო - ფარმაცევტი ბიჭი ტროლეიბუსში ვიღაცას შეხვდა და ა. შ. მაინც დავთანხმდი - რაც იქნება, იქნება, თავისი საქმე თვითონ იცისმეთქი. ის შლაპა დამახურეს, ყვავილები ისე დაიჭირეო, - მითხრა, მეც დავიჭირე...

**- რამდენი წლის ხართ ამ ფილმში? რატომ არ შეიძლებოდა რეჟისორისთვის შეკითხვების დასმა?**

- 23 წლის. რაც შეეხება შეკითხვებს, აზრი არ ჰქონდა, მაინც არ გიპასუხებდა, გააკეთებდა იმას, რასაც ფიქრობდა. მეც ახლა სპექტაკლს როცა ვდგამ, ყურს არავის ვუგდებ. ისიც ასეთი იყო. კინორეჟისურა მიშიკოს საქმე იყო, რომელსაც არაჩვეულებრივად ფლობდა. თუმცა, გადაღების დროს ჩემს აზრს გამოვთქვამდი, - ასე რატომ უნდა ვიარო, ისე რატომ უნდა გავიხედო?! სხვათაშორის, რამდენიმე ეპიზოდი გადავიღეთ ჩემი შეხედულებისამებრ. შემდეგ მაჩვენა დამონტაჟებული სცენები, სადაც ჩემი ვარიანტიც ჰქონდა წარმოდგენილი და თავისიც. ჩემი ვარიანტები არ მომეწონა, მისი - საუკეთესო იყო - ექსცენტრული, მეტყველი მოძრაობები, მიმიკები, რიტმში ჩამჯდარი. მივხვდი, რომ მიშიკო თავისი საქმის პროფესიონალი იყო. ყველაფერში დავეთანხმე - მითხარი, თავი საით მივატრიალო და მივატრიალებ, როგორ გავიცინო და გავიცინებ-მეთქი და ა. შ. ასე ვიღებდით, ხან ფული არ გვქონდა, გავჩერდებოდით, ხან რაღაც გვიშლიდა კიდევ ხელს. დაახლოებით 5 თვის მანძილზე მოგვიწია მუშაობა.

**- მიშა კობახიძე თქვენზე გაცილებით უფროსია?**

- ჩემზე ერთი წლით უფროსია.

**- ოთახი, სადაც თქვენი გმირი ცხოვრობს, კინოსტუდიის პავილიონია?**

- არა, ეს გადავიღეთ უშანგი ჩხეიძის ქუჩასთან ახლოს, საქწიგნის შენობის გვერდით, კინომოღვაწეთა სახლში, მხატვარ გოგი ინაურის ბინაში.

**- თქვენი გმირი ბავშვივით გულუბრყვილოა, კეთილი...**

- ზედმეტად გულუბრყვილოა, ცოტა „კრამიტები“ წესრიგში არა აქვს *(იცინის)*, ქუჩაში გოგონა დაინახა და ქორწილზე ოცნება დაიწყო, ბოლოს სახლში მიაკითხა. მთლად დალაგებული არ არის, როგორც ჩემი ყველა სხვა გმირი, რომელიც შემდეგ კინოში ვითამაშე - ან სულელია ან ხეპრე. ბევრი რეჟისორი ეცადა, მერე კინოში გამოვეყენებინე როგორც „ქორწილის“ გმირი, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი - არცერთი ჩემი გმირი არ გამიმეორებია ეკრანზე. კინო ისეთი ხელოვნებაა, სადაც, ძირითადად, ადამიანი იმ როლს თამაშობს, რასაც წარმოადგენს პიროვნულად რეალურ ცხოვრებაში, როგორსაც ხალხი იცნობს. მაგრამ მე ყოველთვის განვსხვავდებოდი ჩემი გმირებისგან, ვცდილობდი, ჩემი პიროვნებისგან სრულიად განსხვავებული გმირები წარმომეჩინა. მაგალითად, კოჭოია („მაცი ხვიტია“) და ქორწილის გმირი ერთმანეთს ნამდვილად არ ჰგავს, ბევრი კარგი მსახიობი კინოშიც კი საკუთარ თავს თამაშობს. ერთადერთი როლი, რომლის კატეგორიული წინააღმდეგიც ვიყავი, იყო „ჩარირამა“, იმიტომ, რომ ჩემს წარმოდგენაში გურამი (ფილმის გმირი) ლამაზი ბიჭი უნდა ყოფილიყო, კარგად ჩაცმული, ემღერა, ეცეკვა. ჩემზე გაცილებით უკეთესი ბიჭები იყვნენ (მერჩივნა, ჩაფართხუნებული გლეხის როლი შემესრულებინა)... კობახიძის ფილმები სულ სხვაა - აქ არის ესთეტიკა, დახვეწილი ფორმები, სუფთა და საინტერესო. სწორედ ასეთია „ქორწილი“, თუმცა, შემდეგი ფილმები - „ქოლგა“, „მუსიკოსები“ არარეალისტურია, პირობითი. „ქოლგა“ - ოცნებაა, „მუსიკოსები“ - ომი და მშვიდობა. მიუხედავად იმისა, რომ „ქორწილი“ მუნჯი ფილმია, ადამიანის ბიოგრაფიას მოგვითხრობს, ხასიათს წარმოაჩენს. მახსოვს, ბოლო ეპიზოდის გადაღების დროს, როცა ჩემი გმირი საპატარძლოს სახლის კარის გვერდით ნიშაში იმალება, მიშამ მითხრა, ჩარლი ჩაპლინივით უნდა გაიღიმოო. მეც ყველანაირად ვეცადე *(იღიმება)*.

ამ ფილმების შემდეგ, როგორც გითხარით, მიშიკომ შემოქმედებითი პაუზა გააკეთა. ახლა საფრანგეთში ცხოვრობს.

**- სცენარიც მიშა კობახიძისაა?**

- დიახ, ყველაფერი. რასაც აკეთებს კობახიძე, აბსოლუტურად ორიგინალურია, მისია, ის არავის ბაძავს, არავის რჩევას ყურს არ უგდებს. ის ასეთია. სხვა თუ დაეხმარებოდა, მაშინ სხვა გადაიღებდა.

**- მუსიკოსი გოგონას სახლი სად გადაიღეთ?**

- პარლამენტის შენობის წინ მდებარეობს ეს სახლი, მოპირკეთებული სადარბაზო გადაღებულია ინგოროყვას ქუჩაზე. ძირითადი ეპიზოდები გადაღებულია მთავრობის სახლის წინ და ყოფილი „კომუნისტის“ რედაქციასთან, ალბათ, ის მიწისქვეშა გადასასვლელიც თქვენთვის ნაცნობია. ბაადურ წულაძის გმირიც გაზეთით ხელში იმ მიწისქვეშა გადასასვლელთან ზის. გოგონას დედის როლს ქალბატონი ეკატერინე ვერულაშვილი თამაშობს.

**- თქვენი და ნანა ქავთარაძის პარტნიორობა თუ გაგრძელდა სხვა ფილმებში?**

- არა. რამდენადაც ვიცი, ნანა, საზღვარგარეთ ცხოვრობს. სხვათაშორის, მიშიკოს ჩაფიქრებული ჰქონდა, სერიების წყება გადაეღო - მე უნდა მეთამაშა „ქოლგაშიც“, „მუსიკოსებშიც“. ეს იქნებოდა ჩაპლინისეული სერიალის მსგავსი, მაგრამ ვერ განახორციელა; არ ვიცი, რატომ.

**- ბოლოს როდის ნახეთ მიხეილ კობახიძე?**

- შარშან, როდესაც საფრანგეთში გადაღებული ფილმი კინოთეატრ „რუსთაველში“ წარმოადგინა. მითხრა, - ფილმის გადაღებას ვაპირებ და მიგიწვევო, მაგრამ მას სიტყვას ვერ ჩამოართმევ - შეიძლება გადაიღოს, შეიძლება - არა. იდეების ადამიანია, არ არის გახსნილი, მის ჩანაფიქრს იოლად ვერ ჩაწვდები. ის ჩვეულებრივი ადამიანების სიაში არ წერია.

**- „თვითმფრინავის ბიჭებიდან“ ერთ-ერთი - გეგა კობახიძე მიხეილ კობახიძის ვაჟი იყო. იმ მძიმე წუთებში თქვენს რეჟისორს გვერდით ედექით?**

- დიახ, შეწყალების წერილზე მეც მოვაწერე ხელი, მომხრე ვიყავი, რომ ახალგაზრდებისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. სამწუხაროდ, ზოგიერთმა, ხელმოწერა უკან წაიღო, მე, რა თქმა უნდა, ის კაცი არა ვარ, დახმარებაზე უარი მეთქვა, უკან არ დამიხევია. ყველას თავისი სიმართლე აქვს. ამ ტრაგედიამ, რა თქმა უნდა, მიშას შემოქმედებაზეც იმოქმედა. მიშიკო იუმორით სავსე კაცია, მაგრამ მის ფილმებში სევდაც ჩანს... „ქორწილი“ უკვდავი სურათია- აქ არის იუმორიც, სევდაც. გენიალური ფილმია, 42 წლისაა და მაყურებული ჰყავს, მოსწონთ, უცხოელებს ხშირად აჩვენებენ, XX საუკუნის გენიალურ კინოსურათებში მოიხსენიებენ. მიშა კობახიძეს თქვენი გაზეთის საშუალებით ვეტყვი, გადაიღოს ბევრი ფილმი, სანამ პირში სული მიდგას. მიშიკო მოვლენაა მსოფლიო კინოში, მინდა, მისი ახალი შედევრები ვნახო, მივიღო მონაწილეობა. სხვათაშორის, ჩვენ გადავიღეთ „თეთრი ქვები“, „სათადარიგო ბორბალი“ - ეს იყო „ქორწილის“ მსგავსი სურათები, მაგრამ არ გამოვიდა ისეთი ღრმა და შინაარსიანი, როგორიც მიშა კობახიძის სხვა ფილმებია...







კადრები ფილმიდან „ქორწილი“



მიხეილ კობახიძე ცოლ-შვილთან - ნათელა მაჭავარიანთან და პატარა გეგასთან ერთად

# გიორგი შენგელაია:
# „რაც გინახავს, ველარ ნახავ“
# უკვდავი ფილმია სიყვარულსა და სამართლიანობაზე!



**_ცნობილმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა მხატვრული ფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გადაიღო. მთავარი როლები შეასრულეს ლეგენდარულმა მსახიობებმა: აკაკი ხორავამ, ვასო გოძიაშვილმა, ვახტანგ ნინუამ, არაჩვეულებრივმა ახალგაზრდა წყვილმა გიორგი შენგელაიამ და სოფიკო ჭიაურელმა. ფილმის გადაღებიდან 45 წელი გავიდა..._**



_მორიდებული კაცი ვარ, ასეთივე რიდითა და მოკრძალებით ვაჩუქებდი ქორწინების ბეჭედს წესიერ, პატიოსან ქალს, როგორიც ფილმშია. თუ დააკვირდით, ჩემი გმირი უხერხულად ისვამს ხოლმე ქოჩორზე ხელს. მეც ასეთივე ჩვევა მქონდა, ამ ჟესტით მორიდებას გამოვხატავდი..._



**_გიორგი შენგელაია,_** _რეჟისორი, გოგი ფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ“:_

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხრუშჩოვმა მიხეილ ჭიაურელი სვერდლოვსკში გადაასახლა. კარგა ხანს უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა. მაგრამ ქართველმა ინტელიგენციამ, ხელოვნების მოყვარულებმა და დამფასებლებმა შეაგროვეს ხელმოწერები, მივიდნენ მაშინდელ ცეკაში და ჭიაურელის განთავისუფლება ითხოვეს. მოხდა სასწაული და რეჟისორი მართლაც დააბრუნეს თბილისში.

მიხეილ ჭიაურელი თბილისელი კაცი გახლდათ, მისი წინაპრებიც აქაურები იყვნენ. მამამისი — ედიშერ ჭიაურელი მემწვანილე იყო, კოლორიტული პიროვნება. ის ყოფა, რომელიც ჭიაურელმა თავის ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ ასახა, აბსოლუტურად გათავისებული ჰქონდა, ისეთ ატმოსფეროში გაიზარდა.

**— ვინ არის ამ ფილმის სცენარის ავტორი?**

— ავქსენტი ცაგარელი, დიღმელი კაცი („ხანუმაც“ მან შექმნა). მას ისიც ახსოვდა, დიღმიდან თბილისში ფაეტონებით რომ ჩამოდიოდნენ, გლეხობა — ურმებითა და სახედრებით. დღეს დიღმის ველებზე ქალაქია გაშენებული (მასივი). მთელი თბილისის ბაზრებს დიღომი ამარაგებდა ბოსტნეულითა და ხილით. დიღომში ერთი პატარა მდინარე ჩამოდის — დიღმურა, სწორედ მისი წყლით ირწყვებოდა ბაღები. ერთმა ცნობილმა მებაღემ — ერვანდამ მითხრა, — შვილო, დიღმის ბაღები ისეთი ნაყოფიერი იყო, ისეთი მოსავალი მოდიოდა, მანდ სახლების აშენება როგორ შეიძლებოდა... ბაღებს ღამით ვრწყავდით, დილით კი ნარწყავებში თევზს ვაგროვებდით. როგორც ჩანს, დიღმურას თევზიც მოჰყვებოდა. დღეს ეს მდინარე ნაგვითაა სავსე.



გიორგი შენგელაია: ყველაფერი წარსულია, როცა მის შესახებ მეკითხებიან, ჩემში ტკივილს იწვევს...



გიორგი შენგელაია: ვასო ბრაზობდა აკაკიზე, ვინ არის ეს კაცი, ცარიელი გაბერილი ფორმაა... მაგრამ შემოვიდოდა თუ არა, გაიცინებდა — ვაა, აკაკი-ჯან, შენ გენაცვალე...

**— ფილმში განვითარებული სიუჟეტი ცხოვრებისეული ეპიზოდებია?**

— ცაგარელი მოგონილ ამბებს არ წერდა. მაგალითად, „ხანუმა“ მისი ორიგინალური პიესა არ არის (თუმცა, მოერგო ქართულ სინამდვილეს). მაშინ თეატრში მიღებული იყო ევროპული პიესების გადაკეთება. „ხანუმა“ ცნობილი ავსტრიული ვოდევილია. „სამშობლო“ (სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა) ფრანგული პიესიდანაა გადაკეთებული.

**— სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

— ძირითადად, დიღომში. მაშინ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ბანიანი სახლები. თავადის სახლი გურჯაანში დედაჩემის სახლ-მუზეუმის შენობაა. მაშინ სწორედ ისეთი იყო — დანგრევის პირას მისული, აივანს რიკულებიც სძვრებოდა. მოგვიანებით სახელმწიფომ გამოყო თანხა და მე და ჩემმა ძმებმა აღვადგინეთ, პირვანდელი სახე დავუბრუნეთ ნაგებობას. კახეთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი სათავადო სახლია — 1830-იან წლებშია აშენებული. საერთოდ, ჩემი წინაპრები — ანდრონიკაშვილები ბარიდან შორს ცხოვრობდნენ, ქედზე. ზემო სოფლებს — მელაანს, ფხოველს, ზეგანს — საანდრონიკოს ეძახიან.

**— თავადის დარბაზებიც მუზეუმშია გადაღებული?**

— კინოსტუდიაში მოწყობილი პავილიონია. მოახლეთა საცხოვრებელიც პავილიონშია გადაღებული.

**— მეწაღეთა სახელოსნო?**

— დეკორაციაა. სპეციალურად დადგეს იმ ადგილას, სადაც დღეს ვახტანგ გორგასლის ძეგლია. იქიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება. ის კედელიც იქ არის გადაღებული, ვიჩზე შემდგარი გოგია ტასიას რომ ელაპარაკება... _(იცინის)_

**— იმ ტერიტორიაზე დიდი საწნახელი მოაწყვეს და თბილისობაზე ღვინოც დაწურეს. როგორ გგონიათ, კარგი ღვინო დადგება?**

— არ ვიცი. ღვინო ერთი ჯიშის ყურძნიდან უნდა დაიწუროს, იქ რა მოიტანეს, რა ვიცი. თანაც, ვის გაუგია ღვინის დაწურვა რეზინის ჩექმებით...

**— აკაკი ხორავა ისეთივე პიროვნება იყო, როგორც ფილმშია?**

— დიდი პიროვნება იყო, ნამდვილი ვაჟკაცი, მოკრძალებული, უბრალო და უშუალო ადამიანი. მამაჩემთან — ნიკოლოზ შენგელაიასთან მეგობრობდა. ასეთივე გახლდათ უნიჭიერესი არტისტი ვასო გოძიაშვილი. ერთხანს დაბნეულიც კი ვიყავი, მერიდებოდა, ამათთან როგორ უნდა ვითამაშო-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ მამხნევებდნენ.

**— თქვენთვის თუ არის ცნობილი, დიღომი რომელ თავადებს ეკუთვნოდათ?**

— თუ დაკვირვებიხართ, იქ, სადაც სოფლის მეურნეობის ინსტიტუტია, ახლოს ძველებური დიდი ღობეა შემორჩენილი. ღობის იქით სწორედ თავადის სახლი მდებარეობდა — მუხრან-ბატონების ერთ-ერთი შტო ცხოვრობდა. ფილმში სწორედ ეს თავადები იგულისხმებიან.

**— რას იტყვით დიდ კნეინაზე, თქვენს დედაზე — იგივე ვერიკო ანჯაფარიძეზე?**

— ვერიკო კომიკური მსახიობი არ გახლდათ, მაგრამ არაჩვეულებრივად ითამაშა ეს როლი. უდიდესი იყო, საოცარი გარდასახვა შეეძლო.

**— ახლა ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში“ სპექტაკლს დგამენ, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ცხოვრებას ეხება...**

— არაფერი ვიცი. მაგათ შვილს რომ გავეყარე, იმის შემდეგ მაგათი არაფერი ვიცი. ჩემთვის ეს წარსული ამბავი ტკივილს იწვევს. ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მკითხავთ...

**— ახლახან ვასო გოძიაშვილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. გეამაყებათ, რომ ასეთი ახალგაზრდა უკვე მისი პარტნიორი იყავით?**

— რა თქმა უნდა. არაჩვეულებრივი კაცი იყო. აკაკი ხორავა გადაღებებზე აგვიანებდა ხოლმე, ვასო გერმანული სიზუსტით თავის დროზე ცხადდებოდა. ვასო აკაკიზე ვითომ ბრაზდებოდა: ვინ არის ეს, კაცო, ცარიელი გაბერილი ფორმაა, აბა, უყურე, მე და შენ აქა ვზივართ, ის სად არის?! მაგრამ შემოვიდოდა თუ არა ხორავა, გაიცინებდა, — ვაა, აკაკი-ჯან, შენ გენაცვალე! _(იცინის)_ გადაეხვეოდა, იცინოდა.

მიხეილ ჭიაურელთან ადვილი იყო მუშაობა, არ გზღუდავდა, საქმეს არ გირთულებდა. პროფესიონალი გახლდათ.

**— მეტად შთამბეჭდავია არჩილ გომიაშვილის გმირი — კოსტია, როგორ შეაფასებთ მას?**

— შესანიშნავი მსახიობი იყო. დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა. ბოლო დროს, როცა მოსკოვში ჩავდიოდი, ვხვდებოდით ერთმანეთს. ოსტაპ ბენდერის როლიც შეასრულა, სხვა ცნობილი როლებიც, მაგრამ ამ ფილმში განუმეორებელია. თვითონაც ძალიან უყვარდა ეს გმირი.

**— ფაეტონები სად გააკეთებინეს?**

— ფაეტონები კინოსტუდიას ჰქონდა. იქ თავლაც იყო, სადაც ცხენებს უვლიდნენ. სხვათაშორის, ის თავლა მე გავაკეთე. „მაცი ხვიტიას“ გადაღებებისთვის ყარაბაღიდან ჩამოვიყვანე საუკეთესო ცხენები. ბოლო სცენა, როცა მეფე-პატარძალი ფაეტონით მიდიან, დიღომშია გადაღებული (დიღმელები დიდგორის ველს უწოდებენ, რა თქმა უნდა, ეს ისტორიულად ცნობილი დიდგორი არ არის).

**— ვახტანგ ნინუასა და მარტინსონის გმირებზე რას იტყვით?**

— შესანიშნავი მსახიობები იყვნენ. ბატონ ვახტანგს არაჩვეულებრივი იუმორი ჰქონდა, ტალანტი იყო. მარტინსონი ჭიაურელმა სპეციალურად ჩამოიყვანა რუსეთიდან.

**— ფილმში ყარაჩოხელია გაიდეალებული?**

— ყარაჩოხელი წესიერების, ვაჟკაცობის სიმბოლოა. ამქრები ჰქონდათ შექმნილი, მშრომელი ხალხი იყო. დღესასწაულებზე ამქრის სახელით გამოდიოდნენ, თითოეულ ამხანაგობას თავისი დროშა ჰქონდა. ვასო გოძიაშვილის გმირიც ხომ უსტაბაშია — ხელოსნების ხელმძღვანელი. კვირაში ერთხელ — შაბათობით ქეიფობდნენ. ღამით აბანოში მიდიოდნენ, დილით ფხიზლები ბრუნდებოდნენ სახლში. კვირას დაისვენებდნენ, ორშაბათს სამუშაოს მიაშურებდნენ. სამართლიანობა იყო, თუ ვინმეს რაიმე შეეშლებოდა, მუშტი წყვეტდა ყველაფერს. გახსოვთ, გიჟუა რას ამბობს (ბატონს მუშტს აჩვენებს) — ამ ცხვრის თავს ხომ ხედავ, ახლა იმისთანას დაგადებ, ასტამითაც ვერ აგკრეფენო... (იცინის)

**— ბატონო გიორგი, ფეხსაცმლის კერვა გეხერხებათ? ფილმში პროფესიონალ მეწაღესავით იქცევით...**

— არა, გოგო, რას ამბობ. სხვათაშორის, ტოლსტოის ეხერხებოდა ჩექმების კერვა. კარლ ჩაპეკმა თქვა, — ტოლსტოიმ წეროს, რა მაგის საქმეა ჩექმის კერვაო _(იცინის)._

**— თუ არის დღეს თქვენ გვერდით ქალბატონი, რომელსაც ისევე მოკრძალებით უძღვნიდით საქორწინო ბეჭედს, როგორც თქვენი გმირი სთავაზობს შეყვარებულ გოგოს?**

— არა, მაგრამ გამორიცხული არაფერია. მორიდებული კაცი ვარ, ასეთივე რიდითა და მოკრძალებით ვაჩუქებდი ქორწინების ბეჭედს წესიერ, პატიოსან ქალს, როგორიც ფილმშია. თუ დააკვირდით, ჩემი გმირი უხერხულად ისვამს ხოლმე ქოჩორზე ხელს. მეც ასეთივე ჩვევა მქონდა, ამ ჟესტით მორიდებას გამოვხატავდი... მაგრამ ყველაფერი წინაა, ახალი წელიც მოდის, მინდა, ყველას ბედნიერება ვუსურვო. გენიოსი შტაინერი ამბობდა, ბედნიერებისთვის სამი პირობა უნდა შეასრულო: უნდა იყო პიროვნება, შეძლო მინიმალური სახსრების მოპოვება, კარგი სახელი გქონდეს (თქვენზე კარგს უნდა ფიქრობდნენ სხვები). მეც ამასვე გისურვებთ, მიყვარხართ ყველა.

***ცნობილი მსახიობის იაკობ ტრიპოლსკის წინაპარი ჯერ კიდევ ერეკლე II-ის დროს გენერალ ტოტლებენს ჩამოჰყოლია საქართველოში, ქართველ ქალზე დაქორწინებულა და დაბა ფასანაურში დასახლებულა. პოლონური წარმოშობის გამო ახალგაზრდა იაკობი დიდ სამამულო ომში არ გაუწვევიათ, დედამისი, თურმე, სიხარულით ცას სწევია — ამ გვარს ვენაცვალე, შვილი გადამირჩინაო...***

# ნაზი ტრიპოლსკი: ტრიპოლსკების წინაპარი გენერალ ტოტლებენს ჩამოჰყვა საქართველოში



**ნაზი ტრიპოლსკი,** ***იაკობ ტრიპოლსკის მეუღლე:*** - ჩემს მეუღლესთან - იაკობ ტრიპოლსკისთან ერთად 43 ბედნიერი წელი გავატარე. 1988 წლის 4 მარტს გარდაიცვალა, ახლა 86 წლის იქნებოდა (ჩემზე უფროსი გახლდათ ექვსი წლით). ტრიპოლსკი პოლონური წარმოშობის გვარია, მისი წინაპარი გენერალ ტოტლებენის დროს ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ უკან აღარ გაბრუნებულა, ქართველი ქალი შეურთავს და ფასანაურში დასახლებულა. იაკობიც სწორედ ფასანაურში დაიბადა. 14-15 წლის ვიყავი, როდესაც იაკობი გავიცანი. დეიდაჩემს, მარგარიტა მეცხრიკაძეს, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა იაკობის პაპასთან, რომელიც ასევე გზის ოსტატი გახლდათ, ამავე დროს, აშენებდა წყლისგან დამცავ ჯებირებს. ფასანაურში დასასვენებლად სწორედ დეიდამ წამიყვანა, იაკობი იქ გავიცანი. ოჯახი როდესაც შევქმენით, იაკობი 26 წლის იყო, მე - 19 წლის.

**- 26 წლის ასაკში იაკობ ტრიპოლსკი უკვე ცნობილი მსახიობი იყო?**

- დიახ, ფართო საზოგადოება მას უკვე იცნობდა. ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის სტუდენტი მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტში დადგმულ სპექტაკლებში. მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა მიიწვია. მანამდე ბატონმა ვასომ უნივერსიტეტში დადგა გოლზუორთის „პატარა კაცი" ინგლისურ ენაზე. მთავარი როლი იაკობმა შეასრულა. იმ დროს ის მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდათ, პარალელურად მუშაობდა პირველ სკოლაში, ასწავლიდა ინგლისურ ენას. სკოლის მიტოვება ეძნელებოდა, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრში მაინც მივიდა. სწორედ იმ დროს იქ იდგმებოდა „მეფე ერეკლე". ერთ-ერთი სპექტაკლის დროს რომელიღაც მსახიობი ავად გამხდარა, იაკობისთვის მისი როლი შეუთავაზებიათ, წარმატებით გამოსულა სცენაზე და ტაშიც დაუმსახურებია. ამ სპექტაკლის შემდეგ დირექტორს შალვა ღამბაშიძეს თეატრის დასში ჩაურიცხავს. 1958 წელს მოსკოვში დეკადის დღეებში „მეფე ერეკლე" წარმატებით უთამაშიათ მარჯანიშვილელებს, მათ შორის იყო იაკობიც - ბესიკის როლს ასრულებდა. წარდგენილი გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტის წოდებაზე, მაგრამ არ მიანიჭეს, მოგვიანებით, 1968 წელს მიიღო სახალხო არტისტის წოდება. შემდეგ იყო „მოკვეთილი", „შთამომავალობა", სხვა სპექტაკლები.

**- თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა?**

- უნდოდა თეატრალურ ინსტიტუტში ესწავლა, შეიტანა საბუთები, მაგრამ ერთ-ერთი გამოცდის დროს რაღაც საკითხი შეეშალა, გამომცდელმა უთხრა, წადი, შენგან არტისტი არ გამოვაო. *(იღიმება).*

**- თეატრის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ბახას როლი „მოკვეთილიდან" იაკობ ტრიპოლსკის შესრულებით...**

- დიახ, ეს იყო არაჩვეულებრივი სპექტაკლი იაკობისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის მონაწილეობით. ახალგაზრდები იყვნენ, იაკობი ბახას როლს ასრულებდა, ოთარი - ჩონთას. ძალიან უხდებოდათ მთიულური ქუდები, კოსტიუმები. იაკობს უყვარდა ლიტერატურა, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველა.

**- ვინ იყო მისი საყვარელი გმირი, რომლის თამაშიც არ დასცალდა?**

- უყვარდა სპექტაკლი „ურიელ აკოსტა" - ურიელის როლი ერთხელ ითამაშა კიდეც. პიერ კობახიძე ავად გახდა და შეცვალა, საკმაოდ წარმატებითაც გაართვა თავი, მაგრამ სხვა დროს ურიელის თამაშის საშუალება არ მისცეს. უნდოდა ეთამაშა ჰამლეტიც, მაგრამ „ჰამლეტი" მაშინ არ დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში.

**- გმირის ხასიათის შესწავლაზე სახლში მუშაობდა?**

- როლს როგორ ითვისებდა, არ ვიცი, სახლში ტექსტი არასოდეს უსწავლია, რასაც რეპეტიციაზე ისწავლიდა, ეს იყო და ეს.

**- თეატრში ვისთან მეგობრობდა?**

- ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, განსაკუთრებით, სერგო ზაქარიაძესთან, სერგო იყო ჩვენი უფროსი შვილის სოსოს ნათლია. იაკობი სერგოს ვაჟს გუგას ინგლისურში ამეცადინებდა. (გუგა კარგა ხანია, რაც მოსკოვში ცხოვრობს). მარჯანიშვილის თეატრში ცნობილი დაპირისპირების დროს - როდესაც ახალგაზრდები გიგა ლორთქიფანიძის მეთაურობით რუსთაველში გაემგზავრნენ, იაკობი საწინააღმდეგო მხარეს იყო. ის აფასებდა ნიჭიერებას, ტალანტს. ვერიკოზე ამბობდა: საქართველოს ასეთი ნიჭიერი მსახიობი ქალი არ ჰყოლიაო. მეგობრობდა რეზო თაბუკაშვილთან.



შვილიშვილებთან და გივი ბერიკაშვილთან ერთად

**- იაკობ ტრიპოლსკის თეატრში რეპრესიები არ შეხებია?**

- არა, გაუგებრობა არავისთან მოსვლია. 5 წლის წინ ჩემმა შვილმა ერთი პიროვნება გაიცნო, რომელიც ავბედით წლებში ირანში რეზიდენტად მუშაობდა. იმან უთხრა, - იცი, სოსო, რამდენი ჯაშუში გვყავდა მარჯანიშვილის თეატრში და რამდენს ჰქონდა დავალება მიცემული? კონკრეტულ პიროვნებებს ვერ დავასახელებ.

**- იაკობ ტრიპოლსკიმ რამდენიმე ფილმში ითამაშა სტალინის როლი, როგორ აფასებდა სტალინის ფენომენს?**

- ისე ადვილად არა, როგორც დღეს აფასებენ. მას არ უყვარდა კომუნისტები, მაგრამ სტალინის გენიალურობას აღიარებდა, წაკითხული ჰქონდა უამრავი ლიტერატურა მის შესახებ, ნანახი ჰქონდა დოკუმენტური მასალა. გადაღებების დროს რამდენიმეჯერ იყო მოსკოვში, კიევში, იალტაში. ეს იყო ფილმები "Выбор цели" და "Битва за Москву" ერთხელ, თურმე, შესვენების დროს ფორმაში ჩაცმული იაკობი ვიღაც ჯარისკაცს შეუმჩნევია, კედელთან აკრულა "Товарищ Сталин", - მიუმართავს. მოსკოვში, ერთ-ერთი მეტროს ჩასასვლელში ხალხი ძირს დაწოლილა: "Помоги, Сталин!" - უყვირიათ...



მედეა ჯაფარიძე და იაკობ ტრიპოლსკი

**- იაკობ ტრიპოლსკი უძღვებოდა სატელევიზიო გადაცემებს, რადიოდადგმებში იღებდა მონაწილეობას...**

- დიახ, იყო ასეთი გადაცემა ბავშვებისთვის „გაბედული ფოტომონადირე", უამრავ რადიოდადგმაში იღებდა მონაწილეობას, თარგმნიდა. ინგლისურიდან მან თარგმნა „პიგმალიონი", რომელიც შემდეგ დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მოსე ქარჩავასთან ერთად თარგმნა „ანტონიუსი და კლეოპატრა". იაკობი ასევე იყო უმაღლეს სასამართლოში მსაჯულთა თავმჯდომარე.

**- პოლონეთში დაბრუნება არასდროს უცდია?**

- არა, მთელი არსებით ქართველი იყო, ქართულ საქმეს აკეთებდა, ქართულ კულტურას ემსახურებოდა. პოლონეთიდან წერილი მოუვიდა კიდეც. თავისი გვარის ადამიანები მოკითხვას უთვლიდნენ. ბაქოდან ჩამოვიდა ვინმე იგორ ტრიპოლსკი, რომელიც საკუთარი გვარის წარმომადგენლებს ეძებდა კავკასიაში. თუ რომელიღაც ქართველი რაღაც საშინელებას ჩაიდენდა, სინანულით იტყოდა, - რა ხალხი ხართ ეს ქართველებიო, მაგრამ წარმატება ყოველთვის უხაროდა.

შეხმატკბილებული ოჯახი გვქონდა, იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, თბილი და ყურადღებიანი იყო შვილიშვილების მიმართ. ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არასდროს უთქვამს. სამსახურის შემდეგ სახლში მოიჩქაროდა. უყვარდა ბავშვებთან ერთად სეირნობა. კიდევ კარგი, ჩვენი შვილიშვილის ირაკლის ტრაგედიას ვერ მოესწრო - 21 წლის ასაკში 1994 წელს ქუჩაში გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. იაკობს განსაკუთრებით უყვარდა, დაჰყავდა სპექტაკლებზე. „მგზავრის წერილების" არცერთი წარმოდგენა არ გამოუტოვებია. ყოველი სპექტაკლის ბოლოს სიმბოლურად ბავშვს კოვზს ჩუქნიდნენ (ეს კოვზი წარმოდგენის დროს სჭირდებოდათ). იაკობი მოხევეს თამაშობდა. ირაკლის როდესაც შეეკითხებოდნენ - პაპის მსგავსად, შენც მსახიობი უნდა გამოხვიდეო? უპასუხებდა - ინჟინერი გამოვალ (მამა ინჟინერი ჰყავს), მაგრამ „არდადეგობაში" მსახიობი ვიქნებიო.



კადრი ფილმიდან "Выбор цели"

**- როდის იხილა მაყურებელმა უკანასკნელად იაკობ ტრიპოლსკი სცენაზე?**

- 1987 წლის 7 იანვარს, ითამაშა მედეა კუჭუხიძის სპექტაკლში „პრემიერა". ერთი წლის შემდეგ, 1988 წლის 4 მარტს გარდაიცვალა. ბოლო წლებში გახმოვანებაზე ბევრს მუშაობდა. სისხლძარღვების გაუვალობით დაიღუპა. ძალიან მაკლია იაკობი, მისი სახით დავკარგე არა მარტო მეუღლე, არამედ საუკეთესო მეგობარი, რომელიც ჩემ ცხოვრებას ალამაზებდა, მიიოლებდა სირთულეს. არავის ეგონოს, რომ ის უცხო იყო საქართველოსთვის, პირიქით, მთელი არსებით შესისხლხორცებული ჰქონდა საქართველო და ქართული ენა, რომლის სიწმინდესაც ასე უფრთხილდებოდა, თარგმანების შესრულებისას თითოეულ სიტყვას სწონიდა, -ქონდა უამრავი ლექსიკონი, უყვარდა თეატრი, მარჯანიშვილის თეატრიდან არსად წასულა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე დასში ირიცხებოდა, კოლეგები გულშემატკივრობდნენ. იაკობი აღარ არის, მაგრამ ჩემი შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ მის ცხოვრებას, შეუძლოდ ვარ, მაგრამ მაინც ვახერხებ ჩემს ოჯახთან ერთად იაკობის მშობლიურ ფასანაურში ჩასვლას. იქ პაპისეული სახლი გვაქვს, ყველა ტრიპოლსკი იქ დაფრთიანდა...



დონ ფერნანდო
სპექტაკლიდან
„ცოცხალი პორტრეტი"



ბახა
სპექტაკლიდან
„მოკვეთილი"



კაც ზვამბაია
სპექტაკლიდან
„მთვარის მოტაცება"

***1993 წლის 28 ოქტომბერს ნატო შენგელიამ, რომლის ჩვენების საფუძველზეც უზენაესმა სასამართლომ გვარდიის სარდალს ვახტანგ (ლოთი) ქობალიას დახვრეტა მიუსაჯა, ხობის ხიდიდან მდინარეში სამი უცნაური საგანი შენიშნა. შენგელია — ორი შვილის დედა — იარაღით დამხობილი კანონიერი ხელისუფლების გვარდიაში მედდად მუშაობდა და აფხაზეთის ომში დაჭრილი და დასახიჩრებული ქართველი ბიჭების სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა... ის დრო იყო, როცა ზვიად გამსახურდიას ერთგული ჯარისკაცები, რომლებსაც ხობიდან შევარდნაძის გვარდია-„მხედრიონი" გამოერეკათ, მოწინააღმდეგეებისაგან ტერიტორიას წმენდდნენ!.. მდინარესთან მოახლოებულმა ნატო შენგელიამ სასწრაფოდ თანამებრძოლებს უხმო და საეჭვო საგნებზე მიუთითა... ჯერ იფიქრეს, მდინარეში იხვები დაცურავენო, მაგრამ როცა სანაპიროს ჩაუყვნენ, ხელში შერჩათ წყალში ჩაყურყუმელავებული სამი ავტომატიანი და სამხედროფორმიანი ახალგაზრდა, რომლებიც, შენგელიას განცხადებით, აშკარად ვიღაცას ან რაღაცას ემალებოდნენ... ერთ-ერთი, „ოფიცერსკი" ავტომატი რომ გადაეკიდებინა მხარზე, ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე აღმოჩნდა!.. ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესზე, რომელსაც 1995 წელს სამშობლოს ღალატისა და ხუთი ტყვე ქართველის მკვლელობისათვის*** *(მათ შორის იყო ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე. — დ. ჩ.)* ***დახვრეტა მიუსაჯეს, ნატო შენგელია მთავარი მოწმე იყო. სწორედ შენგელიამ დაუქნია თავი სასამართლოს და დაადასტურა, რომ მან დაინახა ქობალია, რომელმაც ახალგაზრდები სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ მოგვიანებით ნატო შენგელიამ, ეკლესიური ცხოვრების გზას რომ დაადგა, ქობალიას ავჭალის კოლონიაში ცრემლით სავსე წერილი გაუგზავნა და ცრუ ჩვენებისათვის გვარდიის სარდალს პატიება სთხოვა!.. ნატო შენგელია ქობალიას ციხეშიც შეხვდა!.. 2004 წლის 17 მაისს ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში გარდაცვლილი დათო ბოლქვაძის დედამ — ქალბატონმა ლია ისიანმა განაცხადა, რომ ლოთი ქობალიას დამ, რომელსაც „შუმას" ეძახიან, ავაზაკები დაიქირავა და შურისძიების მიზნით ნატო შენგელია შეურაცხყო. ჩვენ შეგნებულად არ ვახსენებთ იმ სიტყვას, რომელიც ქალბატონმა ლიამ ჟურნალისტთან საუბრისას ბრძანა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ დაუფიქრებელ განცხადებას შედეგად ახალი ტრაგედია მოჰყვა — ნატო შენგელიას 17 წლის ვაჟი — ბაჩუკი ლატარია, რომელიც მეტეხის ტაძრის სტიქაროსანი იყო, ეკლესიიდან გაიქცა, აღელვებულმა რაღაც დანაშაული ჩაიდინა და საპატიმროში მოხვდა. ბაჩუკი ლატარია დღესაც ციხეშია... ქალბატონმა ლია ისიანმა ნატო შენგელიას მისამართით მსგავსი განცხადებები პრესაში ბოლო დროსაც გაიმეორა; გამწარებული შენგელია ჩვენს რედაქციას დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა!..***

# ნატო შენგელია:

# უფლის წინაშე ვინანიებ:

# ლოთი ქობალიას დათო ბოლქვაძის მკვლელობა დავაბრალე!



ნატო შენგელია ქობალიასთან ერთად კოლონიაში

**- ქალბატონო ნატო, რა მოხდა ხობის ხიდზე, ვინ ან რა დაინახეთ მდინარეში, ყველაფერი დეტალურად გაიხსენეთ!**

- მე ამოვიყვანე წყლიდან!..

**- ვინ?**

- ვინ და დათო ბოლქვაძე!.. 1993 წლის 28 ოქტომბერს ხობიდან „მხედრიონი" გამოვრეკეთ და ტერიტორიას ვწმენდდით. ხობიდან სენაკისკენ რომ წამოხვალთ, ხიდი შეგხვდებათ და ამ ხიდის თავთან მოახლოებულმა მდინარეში სამი თავი შევნიშნე... ბიჭებს ვუთხარი, წყალში რაღაცას ვხედავ-მეთქი!.. წავედით და მდინარეში სამი შეიარაღებული კაცი ვნახეთ!..

**- კი მაგრამ, ოქტომბრის ბოლოს წყალში ამ ხალხს რა უნდოდა?..**

- ნამდვილად წყალში იყვნენ, ბიბლიაზე დავიფიცებ, ასე იყო!.. პირველად წყლიდან ბოლქვაძე ამოვიდა „ოფიცერსკი" ავტომატით, დანარჩენებს გრძელი „AKM"-ები ჰქონდათ... დათო ბოლქვაძემ ჟურნალისტის საბუთი გვაჩვენა; სამივენი სამხედრო ფორმაში იყვნენ, ბოლქვაძეს ვიდეოკამერაც ჰქონდა!..

**- რას აკეთებდნენ, წყალში რა უნდოდათ ოქტომბრის მიწურულს?**

- იმალებოდნენ!.. ირგვლივ სულ ტრიალი მინდორია და წყალში იმალებოდნენ!.. ბიჭებს ვუთხარი, სამივენი სარდალს *(ლოთი ქობალიას. - დ.ჩ.)* მივუყვანოთ-მეთქი!

**- ლოთი სად იყო ამ დროს?**

- წამოვედით, წამოვიყვანეთ ესენი, ამოვედით ხიდის თავამდე, სადაც ხობის ბატალიონის ჯარისკაცები დაგვხვდნენ. ერთ-ერთს ვუთხარი: აი, ეს ამბობს, რომ ჟურნალისტია და სად არის ბატონი ლოთი, უნდა მივუყვანო-მეთქი. ბიჭებმა მითხრეს, ქობალია სენაკისკენ არის წასული, ჩვენ საჯიჯაოსკენ უნდა წავიდეთ, ტერიტორია გვაქვს გასაწმენდიო. ბოლქვაძეს და მის თანმხლებთ ჩვენმა ბიჭებმა ურჩიეს, სენაკისკენ არ წასულიყვნენ, რადგან სროლები იყო, ხობში სიმშვიდეა და ხობში შედითო!.. მე რა უფლება მქონდა, კაცების სიტყვას არ დავმორჩილებოდი და სამივენი გავუშვით! ჩვენ საჯიჯაოსკენ წავედით, ხოლო ბოლქვაძე და მისი მეგობრები დავტოვეთ ხიდის თავთან; ხიდს რომ გადავიდოდნენ, ხობში შევიდოდნენ.

**- ე. ი. დათო ბოლქვაძე და ის ორი ბიჭი გაუშვით?**

- დიახ!..

**- იარაღი არ ჩამოართვით?**

- არა, ავტომატები თან ჰქონდათ, არ ჩამოგვირთმევია!..

**- მერე რაღა მოხდა?**

- საჯიჯაომდე ისე მივედით, ერთი გასროლაც არ ყოფილა, ტერიტორია გაწმენდილი იყო და ისევ ხობისკენ დავბრუნდით. ხობის ცენტრში ერთი ამბავი დაგვხვდა. ხალხი ამბობდა, ბიჭები არიან დახოცილებიო... ბიჭები, რომლებიც წყლიდან ამოვიყვანეთ, დახვრიტესო!..

**- ვინ დახოცა დათო ბოლქვაძე და მისი ამხანაგები?**

- არაფერი ვიცი!..

**- თუ არაფერი იცით, სასამართლოზე ლოთი ქობალიას რატომ დაადეთ ხელი - შენ დახვრიტე ახალგაზრდებიო?**

- ხელი არ დამიდია!.. ხმას ვერ ვიღებდი სასამართლოზე, ნერვიულობისაგან თვალებში მიბნელდებოდა, ქობალიაც, ბოკუჩავაც და დანარჩენი პატიმრები მეხვეწებოდნენ, რაღაც მაინც თქვი, თუნდაც ტყუილიო!.. მერე ადგნენ და ჩემი ნალაპარაკევი აჩვენეს, რომელიც ვიდეოზე ჰქონდათ ჩაწერილი!..

**- თქვენი საუბარი სად ჩაწერეს?**

- გენერალურ პროკურატურაში მალაპარაკეს!..

**- ე. ი. თქვენ გენერალურ პროკურატურაში განაცხადეთ, რომ ქობალიამ დახვრიტა დათო ბოლქვაძე და მისი მეგობრები და ეს ვიდეოკამერით გადაიღეს?**

- დიახ!..

**- მერე, სიმართლე იყო, რაც თქვით?**

- სიმართლე არ იყო, მაგრამ კაცი იარაღს რომ დაგიდებს წინ, სასაფლაოზე რომ აგიყვანენ ზუგდიდში, მოკვლით დაგემუქრებიან, რა უნდა მექნა?..

**- ზუგდიდში ვინ გაიძულებდათ, დათო ბოლქვაძის მკვლელობაში ქობალია დაგედანაშაულებინათ?**

- დათო შენგელია!.. ზვიადი რომ ჩამოვიდა გროზნოდან, ზუგდიდში მიტინგის დროს პრეზიდენტის წინ ვიდექი ავტომატით ხელში!.. მოგვიანებით ამის გამო დამიჭირეს და 28 დღით ზუგდიდის ციხეში გამომკეტეს. მაგრამ როცა გამათავისუფლეს, ალიბაბამ დამიწყო დევნა!..

**- ეს ალიბაბა ვინღა არის?**

- ალიბაბა ჩადუნელი ჯაბა იოსელიანის მრჩეველი იყო, რომელმაც ზუგდიდში მნახა და მიბრძანა, გავყოლოდი... მიმიყვანა თავის ბინაში, მოიხსნა იარაღი და ჩამიძახა: - ამ ბიჭებიდან ვინმეს იცნობო? - არა-მეთქი! - ვუპასუხე. - ეს ბიჭები ყველანი ქობალიამ დახვრიტა, ახლა შენ უნდა დაწერო, რომ ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე ლოთი ქობალიამ მოკლაო! - მიბრძანა. ალიბაბას შევეპასუხე, ლოთის არავინ მოუკლავს-მეთქი! - არა, თუ გინდა, აქედან ცოცხალი გახვიდე, რასაც გეტყვი, ის უნდა თქვაო!.. ამოიღო ფურცელი, საწერი კალამი და ჩამომიწერა, სასამართლოზე რა უნდა მელაპარაკა. ერთი ფურცელი ალიბაბა ჩადუნელმა თან გამატანა, რათა ტექსტი კარგად შემესწავლა და ჩვენება ამის მიხედვით მიმეცა; ალიბაბამ მკაცრად გამაფრთხილა, არსად დამეკარგო, შენი ადგილსამყოფელი უნდა ვიცოდეო და თვითონ თბილისში წამოვიდა. მარტოხელა ქალი სად უნდა გავქცეულიყავი, როცა ზვიადის მომხრეებზე მთელ საქართველოში ნადირობდნენ. ერთ დღესაც მივიდა ალიბაბა ჩადუნელი, ჩამომიყვანა თბილისში და ანზორ ბალუაშვილთან მიმიყვანა; ავთო იოსელიანთანაც ვიყავი, ვიღაც შენგელიასაც შემახვედრეს. ჩემი მოგვარე რომ იყო, იმედი მომეცა, ვიფიქრე, იქნებ მკითხოს, ვინმე რამეს ხომ არ გაძალებს, იქნებ ცრუ ჩვენებას აძლევ, იქნებ ქობალიას არავინ მოუკლავს და ა. შ., მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ არაფერი მკითხა.

**ნატო შენგელიას წერილი ქობალიასადმი, რომელიც ციხეში გაუგზავნა:**



**ბატ. ლოთი (კამანდირ) მიმძიმს ეგეთი ცხოვრება და ისე ნუ მომკლავ სანამ არ აგიხსნი ამ ყველაფერს. ეკლესიაში დავდივარ მოსანანიებლად, მაგრამ რომ გამოვდივარ მიმძიმს ცხოვრება. მინდა აგიხსნა რა ტანჯვა-წამება გადავიტანე. მსურს იცოდე ყველაფერი. თუ მიმიღებ მზად ვარ შესახვედრად. იმედი მაქვს შეხვედრაზე უარს არ მეტყვი და მომიტევებ ყველა ცოდვას რაც შენს წინაშე ჩამადენინეს. როგორ გავხდი ცრუ მოწმე.**

***ტანჯული ნატო შენგელია***

*იმედი მაქვს უარზე არ იქნები და მიმიღებ.*

**- ერთი სიტყვით, თქვენ ძალით მიგაცემინეს ჩვენება და რაც არ მომხდარა და რაც არ გინახავთ, ის გათქმევინეს?**

- დიახ!.. როცა გენერალურ პროკურატურაში ვთქვი: კი, რაც დამიწერეთ, რაც სასამართლოზე უნდა ვთქვა, ის დავიზეპირე, მაგრამ ტყუილი როგორ ვიკადრო, უდანაშაულო კაცი როგორ გავწირო-მეთქი, მაშინ შემიყვანეს ვინმე თოფჩიევის კაბინეტში და ბალუაშვილის თანდასწრებით ვიდეოკამერით გადაიღეს ჩემი „ჩვენება"... ბალუაშვილი, როცა ჩემს ლაპარაკს იწერდნენ, ოთახში ბოლთას სცემდა და თუ რაიმე შემეშლებოდა, მანიშნებდა - რა და როგორ უნდა მეთქვა.

**- მაინც, რას გეუბნებოდნენ გენერალურ პროკურატურაში?**

- რასაც ჩვენ გეუბნებით, იმას თუ არ იტყვი, მოგკლავთ, გაგანადგურებთ, ხოლო თუ დაგვიჯერებთ, ბინას გიყიდით, „მარშრუტკის" ხაზს და ფულს მოგცემთო!.. სასამართლოზე ალიბაბამ წამომიყვანა თოფჩიევის მანქანით; სასამართლოზე ცუდად გავხდი... წნევა 180-ზე მაღალი მქონდა, პროცესიდან გვერდით ოთახში რამდენჯერმე გამიყვანეს მოსასულიერებლად, ვკვდებოდი, სიცრუის თქმას სიკვდილი მერჩივნა... მემუქრებოდნენ, რაც დაგიწერეთ, თქვი, თორემ უზენაესი სასამართლოს შენობის ქვემოთ, 25 მეტრის სიღრმეზე პატარა საწამებელი ოთახია და იქ ამოგხდით სულსო!..

**- ვინ გეუბნებოდათ ამას?**

- თოფჩიევი, ალიბაბა და ბალუაშვილი!.. სასამართლოზე დავწერე, დასავლეთში მემუქრებიან-მეთქი!.. ვიფიქრე, მოსამართლე მკითხავს, ვინ გემუქრებათ, რას გეუბნებიან და ა. შ., და მეც სიმართლეს ვიტყვი-მეთქი, მაგრამ ყველაფერი შეატრიალეს და „დაასკვნეს", - ხომ ხედავთ, ქობალიას ხალხი სასიკვდილოდ ემუქრება ნატო შენგელიასო. პროცესზე თავჩაღუნული ვიყავი, დამუნჯებული... გვერდით ოთახში მოსასულიერებლად რომ გამიყვანეს, მითხრეს, - მოსამართლე როცა რაღაცას გკითხავს, თუ ვერაფერს ამბობს, თავი მაინც დაუქნიე, თორემ უკვე ნერვებს გვიშლი და არ გაცოცხლებთო!.. გეფიცებით, ისე ცუდად ვიყავი, ისე ვნერვიულობდი, თავი დავუქნიე თუ არა მოსამართლეს, არაფერი მახსოვს!.. *(ტირის)*

**- კარგი, ნუ ნერვიულობთ!.. ამის შემდეგ რა მოხდა?**

- მეორე დღეს ალიბაბამ მომაკითხა!.. მეგონა, ისევ სასამართლოზე მივყავდი და ვუთხარი, არსად წამოვალ, მირჩევნია, მომკლათ-მეთქი... ალიბაბამ მითხრა: არა, მადლობელი ვართ შენი, თავი რომ დააქნიე სასამართლოზე, ამით ყველაფერი დამთავრდა, მთავარი მოწმე ხარ და ბალუაშვილი გიბარებს, ფული უნდა მოგცეს, „მარშრუტკის" ერთ ხაზსაც „გაგიკეთებსო"!.. - თქვენი არაფერი მინდა, ჩამომშორდით, თავი გამანებეთ-მეთქი!.. ალიბაბა წავიდა!.. ამის შემდეგ მეტეხის ტაძარში მივედი, ვლოცულობდი, ცოდვა არ მასვენებდა, ჩემს მოძღვარს ყველაფერი მოვუყევი!.. გავიდა წლები... ლოთი ქობალიას დახვრეტა 20-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს!.. გადავწყვიტე, კოლონიაში მისთვის წერილი მიმეწერა და პატიება მეთხოვა!.. უფლის ხატი დამქონდა თან, რომელიც ერთხელ ვალტერ შურღაიას ვაჩუქე ზუგდიდის „მარშრუტკაში"... სინდისის საშინელ ქენჯნას განვიცდიდი, ვტიროდი, რომ უდანაშაულო კაცი გამაწირვინეს და ჩემმა გამაუბედურებლებმა სასამართლოზე სიცრუე მათქმევინეს!..

**- დათო ბოლქვაძის დედამ არაერთხელ განაცხადა, რომ თითქოს თქვენ ლოთი ქობალიას დამ, რომელსაც „შუმას" ეძახიან, ხალხი მოგიგზავნათ და შეურაცხგყოთ!..**

- სიცრუეა, ტყუილია ყველაფერი!.. ჩემმა ვაჟმა, რომელსაც საგანგებოდ ვუმალავდი ამ ჟურნალს, შემთხვევით წაიკითხა ინტერვიუ ლია ისიანთან (დათო ბოლქვაძის დედა), ეკლესიიდან გაიქცა, დანაშაული ჩაიდინა და ახლა ციხეში ზის!.. ბავშვი გამიუბედურა ამ ხალხმა!..

**- თქვენი აზრით, რატომ მოკლეს დათო ბოლქვაძე?**

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით!.. არ მინდა მიცვალებულზე ლაპარაკი!..

**- არსებობს ვერსია, რომ დათო ბოლქვაძე მხედრიონელი იყო!..**

- კი!.. აბა, პრეზიდენტის და კანონიერი გვარდიის მხარეს რომ ყოფილიყო, ავტომატით წყალში არ დაიმალებოდა!..

**- კიდევ ერთხელ ადასტურებთ, რომ დათო ბოლქვაძეს იარაღი თან ჰქონდა?**

- დიახ, „ოფიცერსკი", მოკლე ავტომატი ჰქონდა!..

**- შესაძლებელი იყო, რომ ქობალია სენაკიდან ასე უცებ ჩამოსულიყო ხობში და ბიჭები დაეხვრიტა?**

- არა, გამორიცხულია!.. ჩვენ რომ ხობის ცენტრთან მივედით, ლოთი გვიან მოვიდა და აყვირდა: - ვინ ესროლა, ვინ მოკლა ეს ბიჭები, რა მოხდა, მითხარით ვინმემ რამეო!.. ერთ-ერთი ბიჭი, მგონი დავითაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ლოთიმ თვითონ გააგზავნა საავადმყოფოში!..

**- სად გააგზავნეს?**

- მგონი, ზუგდიდში, ასე მახსოვს!.. მერე ბიჭი საავადმყოფოში მოკლეს!..

**- ვინ?**

- თავისიანები მოკლავდნენ, სიმართლე რომ არ ეთქვა!..

**- თქვით, მაინც რატომ დახვრიტეს ეს ბიჭები, ნუ იკავებთ თავს!.. რომელიმე იმათგანი მოსახლეობას ხომ არ აყაჩაღებდა, ხომ არ მაროდიორობდა?**

- ნუ მათქმევინებთ!.. ისე, იყო ლაპარაკი, ქალები კი არა, კაცებიც ამბობდნენ, ვიცნობთ, ჩემს სახლში იყვნენო და ა. შ.

**- ქობალია როგორ შეგხვდათ ავჭალის კოლონიაში?**

- როცა ლოთის სანახავად მივდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ქობალია უკან ცოცხალს არ გამომიშვებდა და მომკლავდა!.. კი არ მეშინოდა, უფრო განწირული და სასოწარკვეთილი ვიყავი!.. კოლონიის ტერიტორიაზე მკითხეს, ვისთან მიდიხარ, ვინ ხარო. - ლოთი უნდა ვნახო, ჩემი ჩვენების საფუძველზე ზის ციხეში-მეთქი! - ვუპასუხე. - მერე, არ გეშინია, რომ მოგკლას, კაცი დაგიღუპავსო? - ჩამეძიენ. ერთი ქალი იდგა იქ და დანარჩენებს უთხრა: იცის მაგან, ქობალია მკვლელი რომ არ არის და იმიტომ მიდის ასე ვაჟკაცურადო!.. როგორც იქნა, შევხვდი ლოთის; კიბეები იყო ასავლელი და მითხრა, წინ შენ წადიო!.. ვიფიქრე, ახლა ნამდვილად დანას ჩამცემს ზურგში და არ მაცოცხლებს-მეთქი. შიშით ავიარე კიბე!.. ხმას ვერ ვიღებდი... ოთახში შევედით!.. - საჭმელი არ გინდა, ყავას არ დალევო? - მკითხა ლოთიმ. - არა-მეთქი!.. - კაცო, იქაც მუნჯი იყავი, აქაც მუნჯი ხარ, ნუ გეშინია, ამოიღე ხმაო! - სიცილით მითხრა ქობალიამ. ხმას ვერ ვიღებდი, მხოლოდ წერილი გადავეცი... მეორეჯერ რომ შევხვდი, მხოლოდ მაშინ ვუამბე ყველაფერი!.. ლოთიმ მაპატია, დღე და ღამ ვლოცულობ და იმედია, ღმერთიც მაპატიებს!..

***P. S. ჩვენი გაზეთი საგანგებოდ დაუკავშირდა დათო ბოლქვაძის დედას, ქალბატონ ლია ისიანს, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ნატო შენგელია, რომელიც ლოთი ქობალიასაგან ფსიქოლოგიურ წნეხს და ტერორს განიცდის, მას ეცოდება. სამომავლოდ ქალბატონი ლია ნატო შენგელიასთან რაიმე სახის შეხვედრას გამორიცხავს... გარდაცვლილი ჟურნალისტის დედის თქმით, იგი მასწავლებელ ეთერ ბიწაძეს, რომელსაც, თურმე, დაუნახავს, როგორ ესროლა ქობალიამ დათო ბოლქვაძეს და სასამართლოზე ჩვენება მისცა, პროცესის მიმდინარეობის დროს ბესიკის ქუჩაზე, მეგობრის ოჯახში მალავდა, რათა ლოთი ქობალიას ხალხს მასზე შური არ ეძია!.. ვერაფერს ვიტყვი, თქვენ წინაშეა ორი სიმართლე, ორი პოზიცია და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ, გინდ მთვარე არ დაემხობა დედამიწას, ხოლო მტკვარი აღმა არ დაიწყებს დინებას, ამ „წყეულა-კრულვიან" საქმეში ორი სიმართლე არც არასოდეს მოიშლება!.. ისე კი, მომავალი ყველაფერზე გასცემს პასუხს!..***

ესაუბრა დიტო ჩუბინიძე

იზია რაბინოვიჩმა - ჩია, კაფანდარა კბილის ტექნიკოსმა - ჩათვალა, რომ შეცდომით დააპატიმრეს. გაერკვევიან და გამიშვებენო, - ფიქრობდა, როცა აგვისტოს ჩახუთულ ღამეს შავი „მ-1“-ით, ორ მებადრაგეს შორის ჩაჭეჭყილს, ბათუმის ციხისკენ მიაქანებდნენ. მაგრამ შეაგდეს თუ არა საერთო საკანში, რომელიც მისებრ „შეცდომით“ დაჭერილი ხალხით იყო გაჭედილი, უკვე ეჭვი შეეპარა, რომ ოდესმე აქედან გააღწევდა. საკანს დღისით ეძინა, უფრო ზუსტად - ცდილობდა, ძილისთვის მიეცა თავი. ტუსაღები მორიგეობით იძინებდნენ ცემენტის იატაკზე, ზოგი - მჯდომარე, ზოგიც - ზეზეულად თვლემდა. შუაღამისას დასაკითხავად გაყვანილი პატიმრები დილით ცოცხალ-მკვდრები შემოჰყავდათ. თავზარდაცემულ რაბინოვიჩს ესმოდა, როგორ ლუღლუღებდნენ საცოდავები - გამომძიებელი აღიარებას მოითხოვსო. რის აღიარებას? რას და, აქაოდა, ანტისაბჭოურ, ტერორისტულ, ჯაშუშურ საქმიანობას ვეწეოდიო.

აი, უკვე მთელი კვირა მიიწურა, იზია რაბინოვიჩი კი არავის გახსენებია. თუმცა, მშვენივრად იცოდა, მისი ჯერიც რომ დადგებოდა და ავი ფიქრით უსკდებოდა თავი.

ის ღამეც დადგა... ზედამხედველმა ღრჭიალით გააღო საკნის რკინის კარი და მისი გვარი დაიძახა.

გამომძიებელმა თავი ასწია, უძილობით დაწითლებული თვალებით შეხედა იზიას და საქაღალდე გადაშალა.

- რაბინოვიჩი იზრაილი არონის ძე?

- დიახ, ბატონო...

- დაბადებული 1905 წელს, ქალაქ ბათუმის მცხოვრები...

- დიახ, ბატონო...

გამომძიებელმა საქაღალდე დახურა.

- აბა, იზრაილ არონოვიჩ, გულახდილად მიამბეთ თქვენი ანტისაბჭოური, მოღალატური საქმიანობის შესახებ!..

- რით დავიწყო? - მზადყოფნით იკითხა იზიამ.

- სულ თავიდან დაიწყეთ! - ჩაიბურტყუნა გამომძიებელმა.

- თავიდან?.. კარგი... მაშინ, ჩაიწერეთ: 1918 წლის გაზაფხულზე გადამიბირა ბრიტანეთის დაზვერვის რეზიდენტმა, პოლკოვნიკმა ჯონსონმა, რომელიც იმ დროს ბათუმის საკონსულოს კულტურის დარგის ატაშეს მითითებით მუშაობდა...

გამომძიებელი მოულოდნელობისაგან შეხტა, განცვიფრებულმა შეხედა რაბინოვიჩს და საწერკალამს დასწვდა.

●

ორივე შემთხვევა ლენინგრადში, ნევისპირას, ივლისის ერთსა და იმავე საღამოს მოხდა. ორთავე ქალიშვილს, რომლებიც ახლახან დაადგნენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზას. ერთი და იგივე სახელი - ქეთევანი ერქვა. მომეცი შენი ხელი, ლამაზო, მოდი, გიმარჩიელო, - წინ გადაუდგა ქეთო ჯავახიშვილს ბოშა ქალი.

ქეთევანმა იუარა, მაგრამ ბოშა არ მოეშვა და ბოლოს ნებას დაჰყვა. მარჩიელმა ჯერ ხელისგულზე დახედა ქეთოს, მერე ბანქოს დასტა გაუწოდა.

- გაჭერი და ერთი კარტი ამოიღე!

აგურის ტუზი გამოვიდა.

- ლამაზო, ობოლი ხარ? - ჰკითხა ბოშამ და დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში შემკრთალ ქალიშვილს.

- ა-რა, - გაღიმება სცადა ქეთომ. - დედაც მყავს და მამაც...

მარჩიელი კარგა ხანს დუმდა.

- ღმერთი ჰფარავდეს დედაშენს... - თქვა ბოლოს. - მაგრამ დაიხსომე ჩემი სიტყვები, ლამაზო - მალე, სულ მალე სამუდამოდ დაკარგავ მამას...

... მეორე ქეთო - ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტი ქეთევან ნადარეიშვილი საღამოს ნევის სანაპიროზე სეირნობდა. უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მის წინ მაღალი, გრძელთმიანი, გამჭმირავთვალებიანი კაცი აისვეტა.

- მე შენს სახეში შენს მომავალს ვხედავ! - თქვა მან მოულოდნელად.

- მე მგონი, გაცნობის უცნაური მეთოდია... - ჩაეცინა ნორჩ ბალერინას.

- მწარედ სცდებით, ქალიშვილო, ქუჩის დონჟუანი თუ გგონივართ, - თხელი ბაგეებით გაიღიმა უცნობმა. - მე ერთი იმათგანი ვარ, ვისაც უფალმა მომავლის განჭვრეტის უნარი მოჰმადლა. მომისმინე: შენ ახალგაზრდა და მშვენიერი გოგონა ხარ, განგებამ ტალანტით და მოსიყვარულე გულით დაგაჯილდოვა. მაგრამ... ვერ დაგიმალავ - საზარელი მომავალი გელით. მაპატიე, მაგრამ ჯობს - მზად იყო ყველაზე მძიმე, ყველაზე სასტიკი გამოცდისათვის...

ქეთო უნაპირო შიშმა შეიპყრო, შემობრუნდა, ადგილს მოსწყდა და სირბილით გაჰყვა სანაპიროს. წამით შეჩერდა და უკან მოიხედა. უცნობი იმავე ადგილას იდგა და თავდახრილი ასფალტს ჩაჰყურებდა.

1937 წლის ივლისი იდგა. უსაშველოდ ცხელოდა ლენინგრადში...

●

ანტრაქტის დროს ოპერის თეატრის ფოიეში მდგომმა მიხეილ ჯავახიშვილმა ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო, მოიხედა და ნინა თეიმურაზოვნა ბერიას - თვით „მეფისნაცვლის“ მეუღლის - მზერას წააწყდა. ნინა „დიდებულთა“ მეუღლეების ჯგუფში იდგა და დროდადრო იხედებოდა მიხეილის მხარეს. ჯავახიშვილის გამოხედვა რომ დაიჭირა, თანამოსაუბრეებს გამოეყო და მარაოს ქნევითა და აბრეშუმის კაბის შარიშურით მწერლისკენ წამოვიდა.




# ბახჩოს ხიზნები

- ბატონო მიხეილ, - ღიმილით თქვა, - რა ხდება? რატომ გვერიდებით ასე ჯიუტად? ერთხელაც არ გინებებიათ ჩვენთან სტუმრად მობრძანება! ჩვენ ხომ მხოლოდ მეზობლები არა ვართ...

ბერიასა და ჯავახიშვილის ოჯახები, მართლაც, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ყორღანოვის ქუჩაზე. ქუჩაში გამომავალი მათი ღია აივნები ერთმანეთს გადაჰყურებდნენ. მაგრამ - უცნაურია - როგორც კი ლავრენტი პავლოვიჩი აივანზე გამოვიდოდა, ჯავახიშვილი, რომელსაც გარეთ, სუფთა ჰაერზე მუშაობა უყვარდა, თავის ქაღალდებს ხელს მოხვევდა და ოთახში შედიოდა.

-... ჩვენ თქვენი მარტო მეზობლები კი არა, - განაგრძო ნინა თეიმურაზოვნამ, - თქვენი ტალანტის ერთგული თაყვანისმცემლებიც ვართ. ლავრენტი აღფრთოვანებულია თქვენი წიგნებით. როცა სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდება, მე დილის სამ-ოთხ საათამდე თქვენს „არსენას“ ვუკითხავ ხოლმე. დიდებული რომანია!

ჯავახიშვილმა მდაბლად დაუხარა თავი.

- შემპირდით, რომ გვეწვევით ხოლმე, - თავისას არ იშლიდა ნინა ბერია. - ერთხელ მაინც შემოგვიარეთ - მეზობლურად. მპირდებით? იცით, ჩვენთან ხშირად მოდიან ხოლმე თქვენი კოლეგები - მწერლები, პოეტები, კულტურის მუშაკები...

მიხეილმა მადლობის სიტყვები წაიბუტბუტა და საკმაოდ გაურკვევლად შეჰპირდა - შევეცდებიო...

მიხეილ ჯავახიშვილს ერთხელაც არ უსარგებლია ნინა ბერიას თავაზიანი მიპატიჟებით. ალბათ, თავს ვერ სძლია... ან, იქნებ, წინასწარ გრძნობდა, რომ სულ მალე სხვა „მიპატიჟება“ ელოდა?..

●

- საოცარი ოპერატიულობაა, ამხანაგო სტალინ, - თქვა ჟურნალისტმა მიხეილ კოლცოვმა და მოწიწებით გაუწოდა ბელადს ახალგამოცემული წიგნი, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა ტიპოგრაფიული საღებავების სუნი. ფოიხტვანგერი თებერვლის დასაწყისში გაემგზავრა მოსკოვიდან, ახლა ივლისი დგას და, აი - წიგნი არამარტო დაიწერა, აიწყო და მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა, არამედ გამოგვიგზავნეს კიდეც. მე განკარგულება გავეცი და უკვე თარგმნიან მას. თარგმანზე მუშაობა რამდენიმე დღეში დამთავრდება, ამხანაგო სტალინ!

ბელადმა წიგნი შეატრიალშემოატრიალა, ნიკოტინით შეყვითლებული თითებით გადაფურცლა და ერთი აბზაცი ჩაიკითხა. ლიონ ფოიხტვანგერის „მოსკოვი. 1937“ გერმანულ ენაზე იყო გამოცემული ამსტერდამში. სტალინმა იმდენი გერმანული კი იცოდა, რომ ტექსტი გაეგო, თუმცა ლაპარაკი ვერ გადაეწყვიტა.

- როგორი გამოვიდა წიგნი? თქვენ ხომ წაიკითხეთ, ამხანაგო კოლცოვ?

- დიახ, ამხანაგო სტალინ, თავიდან - ბოლომდე, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. ბრწყინვალედ არის დაწერილი - ლაკონიურად და გასაგებად. რაც მთავარია, მართალი წიგნია, სწორედ ისეთი, როგორიც გვჭირდება.

სტალინი წამოდგა და, ჩიბუხით ხელში, ოთახში გაიარ-გამოიარა.

- შესანიშნავია! - თქვა ბოლოს. - მაშასადამე, მე და თქვენ ფოიხტვანგერში არ მოვტყუებულვართ - როგორც ამასწინათ ანდრე ჟიდში მოვტყუვდით, არა?

- დიახ, ამხანაგო სტალინ!..

- კარგია! როგორ ფიქრობთ, რა მოეწონა ჩვენში ყველაზე მეტად ჩვენს მეგობარ ფოიხტვანგერს?

- აბსოლუტურად ყველაფერი, ამხანაგო სტალინ! მოეწონა ჩვენი წარმატებები და მიღწევები. პირადად თქვენ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეთ მასზე. განსაკუთრებით მოეწონა ის, რომ ჩვენში, პრაქტიკულად, არ არსებობს ებრაელთა საკითხი. ბიროზიჯანში ებრაელთა ავტონომიის არსებობის ფაქტმა ხომ, საერთოდ, აღაფრთოვანა!

სტალინს ჩაეცინა.

- სამწუხაროდ, ფოიხტვანგერს სასურველი სინამდვილედ მოსჩვენებია. არც ისე კარგადაა საქმე ბიროზიჯანში! დიახ, ჩვენ ებრაელებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ... ისრაელის შვილთ არ სურთ ბიროზიჯანში ცხოვრება და ლენინგრადი, მოსკოვი, ოდესა, ბერდიჩევი, ჟიტომირი და ყირიმის კურორტები ურჩევნიათ, ადგილზე მხოლოდ ის ებრაელები დარჩნენ, რომლებიც პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე მუშაობენ, - სტალინმა თვალებში ჩახედა ჟურნალისტს, - აი, თქვენ, ამხანაგო კოლცოვ, წახვიდოდით საცხოვრებლად და სამუშაოდ ბიროზიჯანში?

შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მიხეილ კოლცოვი შეკრთა.

- მე რუსი ჟურნალისტი ვარ, ამხანაგო სტალინ! - წაიბურტყუნა ცალყბა ღიმილით.

- დიახ, თქვენ რუსი ჟურნალისტი ბრძანდებით, ამხანაგო კოლცოვ! ილია ერენბურგი რუსი მწერალია. ოსიპ მანდელშტამი რუსი პოეტია. თქვენ, ყველანი, რუსულ კულტურას ამდიდრებთ. მაგრამ ვინ უნდა გაამდიდროს ებრაული კულტურა? რუსებმა?

კოლცოვი დაიბნა. ბიროზიჯანში საცხოვრებლად გადასვლის წინადადებამ ძარღვებში სისხლი გაუყინა.

- სხვათა შორის, - თქვა სტალინმა, - თქვენ არამარტო რუსი, არამედ, როგორც ვიცი, ესპანელი ჟურნალისტიც ხართ. თქვენი სტატიები ხშირად იბეჭდება ნაირგვარი მიმართულების ესპანურ გაზეთებში. მადრიდში, მგონი, მიგუელს გიწოდებენ, არა?

- მიგელს, ამხანაგო სტალინ!..

სტალინი წინ დაუდგა კოლცოვს, მკერდზე ხელი მიიდო და მდაბალი სალამი მისცა ჟურნალისტს:

- ჩვენ, კეთილშობილი ესპანელები, დიდად გმადლობთ თქვენ, დონ მიგელ, თქვენი ღრმაშინაარსიანი მოხსენებისა და შესანიშნავი წიგნისათვის. ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, დონ მიგელ!

- ვემსახურები მშრომელ ხალხს, ამხანაგო სტალინ!

კოლცოვი მხედრულად, ქუსლებზე შემობრუნდა და კარისკენ წავიდა.

- დონ მიგელ! - მიადევნა ბელადმა. კოლცოვი შეჩერდა.

- დიახ, ამხანაგო სტალინ...

- რევოლვერი თუ გაქვთ?

- მაქვს... - მიუგო გაკვირვებულმა ჟურნალისტმა.

- ვიმედოვნებ, არასოდეს გიფიქრიათ, რომ იმ რევოლვერით თავი მოგეკლათ!..

- რა თქმა უნდა - არა!.. წამითაც არ გამივლია გულში, ამხანაგო სტალინ!

- ჰოდა, ძალიანაც კარგი... მშვიდობით, ამხანაგო კოლცოვ!..

●

**დეკემბერი, 1944 წელი. ბათუმი.**

ლავრენტი ბერიას მარჯვენა ხელმა ბოგდან (ბახჩო) ზაქარიას ძე ქობულოვმა, გენერლების, პოლკოვნიკებისა და ოლქისა და ქალაქის ხელმძღვანელთა თანხლებით, თავისი წვრილ-წვრილი თვალების მზერა ბათუმის „ინტურისტის“ შენობაზე შეაჩერა.

- აი, ეს გამოდგება! - თქვა და თავისი კოტიტა თითი შენობისკენ გაიშვირა.

პირადად ბერიამ დაავალა - შეერჩია და მოემზადებინა შენობა დიდი სამეულის - სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის - შეხვედრისათვის. შეირჩა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრის ადგილის სამი ვარიანტი - იალტა, სოხუმი და ბათუმი. 1945 წლის იანვრისათვის სამივე ქალაქი მზად უნდა ყოფილიყო სამეულის მისაღებად. მხოლოდ შემკვეთმა იცოდა, რომელ მათგანზე შეაჩერებდა არჩევანს უკანასკნელ წამს.

- ამ შენობაში ახლა სამხედრო ჰოსპიტალია, ამხანაგო გენერალ-პოლკოვნიკო, - შეაპარა ქობულოვს ერთმა მხლებელთაგანმა.

- ვიცი! - მკვახედ შეაწყვეტინა ბახჩომ. - მერე რა?! დაჭრილები დაუყოვნებლივ სხვა შენობაში გადაიყვანეთ!

ხვნეშით (ტანმძიმე კაცი გახლდათ გენერალი) აიარა მარმარილოს ფართო კიბე ქობულოვმა და შენობის დათვალიერებას შეუდგა. ერთ-ერთ დერეფანში თეთრხალათიანი კაფანდარა კაცი შემოხვდა. ჩიამ უახლოეს ოთახში შეძრომა დააპირა, მაგრამ ქობულოვმა შეაჩერა.

- ვინა ხარ? აქ რას აკეთებ?!

- მე... მე... კბილის ექიმი გახლავართ... აქ... ვმუშაობ...

- თითქოს მეცნობი... სადღაც მინახავს შენი სიფათი... მგონი, აბრამოვიჩი, ხომ?..

- რ-რრაბინოვიჩი... - ჩაილუღლუღა ფერდაკარგულმა ჩიამ.

- სულერთია - ძველი ნაცნობი ხარ! ის თუ გახსოვს, უმოწყალოდ რომ გვიხიმანკლე და ყინულზე გაგვაცურე, ა?

თავჩაქინდრული, ერთიანად გათეთრებული ჩიაკაცი ცოცხალ-მკვდარი იდგა მრისხანე გენერლის წინაშე.

... რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ... იმ დროს, ამ შვიდიოდე წლის წინ, ქობულოვი უშიშროების მაიორი იყო, იზრაელ რაბინოვიჩი კი კერძო პრაქტიკით შოულობდა ფულს. ახლა ყოფილი მაიორი გენერალ-პოლკოვნიკი და თავად ყოვლისშემძლე ბერიას ნდობით აღჭურვილი პირია.

- ჰო, კარგი, წადი, - მოწყალება მოიღო გენერალმა. - იყავი შენთვის, არავის არაფერს უშლი.

და თავის ამალას მიუბრუნდა:

შენობა სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს! იატაკი, კედლები, ფანჯრები გაწმინდეთ! რაიმე საწარმო თუ არის ახლოს, სადაც ქალები მუშაობენ?

- სამკერვალო ფაბრიკაა! - მიაშველა ვიღაცამ.

- ახლავე შემაერთეთ დირექტორთან!

მყისვე შეაერთეს.

- მისმინე! - ჩასძახა ყურმილში გენერალმა. - ქობულოვი ვარ! სასწრაფოდ გამოგზავნე ორასი ქალი „ინტურისტის“ შენობასთან! გასაგებია?!

ხაზის მეორე ბოლოში დირექტორმა შეიგინა, მერე მიახალა - ყელამდე სამხედრო დაკვეთებში ვარ ჩაფლულიო - და ყურმილი დაახეთქა.

- გაითიშა, ბოგდან ზახარიჩ? - მოწიწებით ჰკითხა ქალაქკომის მდივანმა.

- არა, ყურმილი დამიგდო ამ ბაღლინჯომ! ახლავე შემაერთეთ! ასე... შენ, ეი, ვინა ხარ, შენი დედაც... დირექტორი?! მომისმინე, დირექტორო, და კარგად დაიხსომე! მე - ქობულოვი - გელაპარაკები! გაიგე, ნაგავო? შენი ორასი კახპა ნახევარ საათში „ინტურისტთან“ მოიყვანე, თორემ - ქობულოვი გპირდება! - მე შენ, ძაღლის გაგდებულო, კონცლაგერის მტვრად გაქცევ, იცოდე!..

●

ხოლო რაც შეეხება იზია რაბინოვიჩის „ხიმანკლობასა“ და უშიშროების მუშაკთა „ყინულზე გაცურებას“ - აი, როგორ იყო ეს:

ყოველ დაკითხვაზე „რეზიდენტ ჯონსონის გადაბირებული ჯაშუში“ იზრაელ რაბინოვიჩი „ალალად აღიარებდა“ თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის ახალ-ახალ „ფაქტებს“, რომელთაც ჯაშუშური რომანებიდან ხაპავდა. გამომძიებლები ვეღარ ძღებოდნენ „ნამდვილი ჯაშუშის“ ცქერითა და სმენით. რაბინოვიჩი ცალკე საკანში გადაიყვანეს, სანატორიუმის კვების რაციონი დაუნიშნეს. საბოლოოდ, შეპყრობილი „ნამდვილი ჯაშუშის“ ამბავი თბილისის ყურსაც მისწვდა და საბრალო იზია დედაქალაქის ციხეში გადაიყვანეს.

კაბინეტში, სადაც რაბინოვიჩი შეიყვანეს, ორი კაცი იჯდა. ერთს მაიორის ნიშნები ეკეთა, მეორეს - უშიშროების მეორე რანგის კომისრისა.

- მაშ, შენი თქმით, პოლკოვნიკმა ჯონსონმა და ბრიტანეთის საკონსულოს ატაშემ გადაგიბირეს, არა? - ჰკითხა მაიორმა.

- სწორედ ასე გახლავთ, მოქალაქე გამომძიებელო.

- შენ, რა, დაგვცინი, ურიავ?! აფეთქდა მაიორი.

- მოიცა, ბახჩო, დაწყნარდი! - შეაჩერა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გოგლიძემ. - რაბინოვიჩო, გამოდის, რომ 13 წლის ასაკში გადაგიბირა კაცმა, რომელსაც ბათუმის საკონსულოში არასოდეს უმუშავნია! გარდა ამისა, სხვა, ასე ვთქვათ, „ფაქტებით“... თქვი, რისთვის დაგჭირდა ამოდენა და ამდენი ტყუილი?!

რაბინოვიჩი მოიბუზა.

- მოქალაქე კომისარო, გულახდილად გეტყვით... ბავშვობიდან ვერ ვიტან ტკივილს... ნემსის გაკეთებისას ცუდად ვხდები... ჰოდა... მაპატიეთ, მოქალაქე კომისარო, თუ შეიძლება... მოხუცი დედა მყავს, დაგენაცვლე, კიდევ - და, მესამე ჯგუფის ინვალიდი.

გოგლიძემ ქაღალდის ფურცელი მიიწია, რამდენიმე სიტყვა დაწერა და რაბინოვიჩს გაუწოდა:

- აჰა! გამომართვი! და ახლავე ბათუმში მოუსვი! ახლავე, გესმის?! დაუყოვნებლივ! და აღარ დამენახო!

- მოქალაქე კომისარო, - გამოცოცხლდა იზია რაბინოვიჩი. - აბა, რანაირად წავიდე, დაგენაცვლე? კაპიკი ფული არ გამაჩნია...

გოგლიძემ და ქობულოვმა ერთხმად გადაიხარხარეს.

- უჰ, შენი ებრაელი დედაც! - სიცილით თქვა გოგლიძემ. - ბახჩო, განკარგულება გაეცი, გზის ფული მისცენ ამ გაიძვერას...

**გაგრძელება 23-ე გვერდზე**

აზმა მეოთხე

# მოსვლა „მგლის შვილთა“

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ №14-17, 22-23*

## ტრიუმფი რომში

პომპეუსი არაბეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის ქალაქ პეტრასთან ბანაკად იდგა. მთავარსარდალს ჯარისკაცთა წინაშე ამპარტავნული კოპწიაობა უყვარდა. იმ დღესაც ცხენს დააჯირითებდა მეომართა შესახედავად. შესანიშნავი მოჯირითე და მოვარჯიშე იყო. უცებ შიკრიკები გამოჩნდნენ, დაქანცულნი, გაოფლიანებულ ცხენებზე ამხედრებულნი. თურმე პონტოდან მოისწრაფოდნენ. სახეზე რაღაც უსაზღვრო სიხარული აღბეჭდოდათ. შუბებიც დაფნის რტოებით შეემკოთ.

სარდალი თითქოს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯარისკაცთა წინაშე ზვიადი სიდინჯის დარღვევა არ სურდა და კვლავ განაგრძობდა ჯირითს.

როცა მთელი ბანაკი წამოიშალა და ჩვეულებრივი ღრიალით ახალი ამბის გამოქვეყნება მოითხოვა, პომპეუსი ცხენიდან გადმოხტა, შიკრიკებს ბარათი ჩამოართვა, ტრიბუნაზე ავიდა და გამოაცხადა: ამ ქვეყნად აღარ არსებობს რომაელთა ყველაზე დაუძინებელი მტერი მითრიდატე პონტოელი; იგი დაამხო აჯანყებამ, რომელსაც მისი შვილი ფარნაკე მეთაურობდა; ხოლო თვით ფარნაკე, ბოსფორის ახალი მეფე, მორჩილებას უცხადებს რომს და პირადად იმპერატორ გნეუს პომპეუსს.

აუწერელი იყო აღტაცება, რაც ამ ამბავმა გამოიწვია რომაელთ შორის. მთელი კვირა, დღე-ღამეების მანძილზე, არ წყდებოდა ნადიმ-ღრეობანი, ზორვანი და ვაკხანალიები. ყველამ ირწმუნა, რომ მითრიდატეს სიკვდილი ათასობით მტრის სიკვდილს უდრიდა.

პომპეუსმა ბანაკი აჰყარა და პონტოსაკენ გაეშურა. ის ჩავიდა ამისოსში, სადაც მას დახვდა ფარნაკესგან გამოგზავნილი უმდიდრესი ძღვენი, უძვირფასესი ნივთები და მათთან — დახოცილთა გვამები.

აქ იყო მითრიდატეს ცხედარი. სახეზე აღარ იცნობოდა სახიერებით განთქმული მეფე, — ბალზამირებისას თავის ტვინის ამოღება დავიწყნოდათ და ხრწნა მოჰრეოდა თავ-პირზე. მეფე მისი საარაკო ტანსრულობითა და ჭრილობების სიმრავლით იცნეს. პომპეუსი განაცვიფრა მითრიდატეს გოლიათურმე ანაგებამ და საომარმა აღკაზმულობამ.

პომპეუსის ბრძანებით მითრიდატე სინოპში წაასვენეს და იქ დაკრძალეს, პონტოელ მეფეთა საძვალეში. მეფის პირადი საგნები რომაელებმა დაიტაცეს...

ამიერკავკასიის დამორჩილების შემდგომ პომპეუსმა წარმატებით დალაშქრა და დაიპყრო სირია, ფინიკია და პალესტინა.

61 წელს ძლევამოსილი გნეუს პომპეუსი აზიიდან იტალიისკენ გაეშურა. აპენინს უახლოვდებოდა იმპერატორი, რომლის საგანგებო, უმაღლესმა იმპერიულმა ძალაუფლებამ რომს დაუმორჩილა ყველა ქვეყანა, „რომელთაც კი მზე თავის სხივებს მიმოასხივებს“. არაჩვეულებრივად დიდი იყო რომში ის აღტაცება, რაც მოჰყვა უთავჟამო „მითრიდატული ომების“ ჟამგანსრულებას, და საერთოდ მუდამ მოუსვენარ „აღმოსავლურ საქმეთაგან მოსვენებას“. არაჩვეულებრივი მიღება, ტრიუმფალური შეხვედრა ელოდა იმპერატორს, რომელმაც შეძლო მრისხანე აღმოსავლეთის, მანამდე დაუძლეველ ქართველთა, „შმაგად მეომრულ კოლხთა“, სომეხთა და ალბანთა დამორჩილება.

როგორც ტრიუმფატორს ეკადრებოდა, პომპეუსი დააყენეს მოოქროვილ ეტლში, რომელსაც მორთულ-მოკაზმული ოთხი თეთრი მერანი მოარონინებდა. თვით ტრიუმფატორს ტანთ ეცვა უძვირფასესი სამოსი, მითრიდატეს გარდერობიდან მოტაცებული. თავზე ეხურა დაფნის გვირგვინი; თავს ზემოთ მონას ხელთ ეპყრა ოქროს გვირგვინი — „კორონა ტრიუმფალის“. ტრიუმფატორის ეტლს გარს ეხვივნენ თეთრ ტოგებში გამოწყობილი თანამებრძოლნი და ახლობელნი. ტრიუმფატორის წინ მოჰქონდათ დაფები, პომპეუსისგან დაპყრობილი ქვეყნების აღნუსხვით; იქ ეწერა: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, იუდეა, არაბეთი და მეკობრეთა თავშესაფარნი. იქვე აღნიშნული იყო, რომ პომპეუსმა აღმოსავლურ ლაშქრობათა წყალობით რომის სახელმწიფო ხაზინაში შეიტანა 20 000 ტალანტი (48 000 000 მან. ოქრ.), ხოლო ვერცხლის ფული 75 100 000 დრაქმის რაოდენობით. ოქროს მოხარბე რომაელნი თვალებით სჭამდნენ იბერიის ხელმწიფისეულ ოქროს ტახტს, ოქროს სარეცელსა და ოქროს მაგიდას; ასევე მითრიდატესეულ სამეფო კვერთხსა და თვით მითრიდატეს ცხრა წყრთის სიმაღლე ბაჯაღლო ოქროს ქანდაკებას. მოაქანებდნენ მოოქროვილ ეტლებსა და ტახტრევანებს; მოდიოდნენ აურაცხელი აღმოსავლური ნაძარცვით, ჭურჭლეულით, აღჭურვილობითა და სხვა მრავალსახოვანი ნივთებით დატვირთული საზიდარები.

ტრიუმფს „ამშვენებდნენ“ აღმოსავლეთის დამარცხებულ მბრძანებელთა უმაღლესი მოხელენი, სარდლები და უფლისწულები, ზოგი ტყვენი, ზოგი მძევალნი, სულ 324 ადამიანი. აქ იყვნენ: მითრიდატეს ხუთი ვაჟი (არტაფერნი, კიროსი, ოქსათრი, დარიოსი და ქსერქსე) და ორი ასული (ორსაბარისი და ევპატრა), კოლხთა ბატონი ოლთაკე, სომეხი უფლისწული ტიგრან მრწემი თავის ცოლშვილით, სამი იბერიელი სარდალი, ორი ალბანელი სარდალი, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს კავალერიის უფროსი მენანდრე, კილიკიის მმართველნი და სკვითთა სეფექალნი. მოჰქონდათ ტიგრანისა და მითრიდატეს გამოსახულებანი: როგორ იბრძოდნენ ისინი, როგორ დამარცხდნენ და გაიქცნენ. გამოხატული იყო, როგორ ჰქონდა მითრიდატეს ალყა შემორტყმული და როგორ მოკვდა იგი. აქვე ჩანდნენ მისი ასულნი, რომელთაც მამასთან ერთად სიკვდილი ირჩიეს. იქვე გამოხატულნი იყვნენ აღმოსავლელი ღმერთები ადგილობრივ სამოსელში. მოჰქონდათ დაფა, რომელზეც ეწერა:

„ხომალდები სპილენძის საბრძოლო ნიღრით წამოყვანილია რვაასი; ქალაქები დაარსებულია: კაპადოკიაში რვა, კილიკიასა და კელესირიაში ოცი; დამარცხებული არიან სომხეთის მეფე ტიგრანი, არტაგ იბერიელი, ორიოსე ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეიის მეფე არეთა, ანტიოქე კომაგენელი“.

ტრიუმფი ორ დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს პომპეუსის ბრძანებით ტყვეთაგან მხოლოდ ორი დასაჯეს სიკვდილით — სომეხი უფლისწული ტიგრანი და იუდეიის მეფე არისტობულე. დანარჩენი ტყვეები, მცირეოდენი დროის შემდგომ, გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

არავინ იცის, დაბრუნდნენ თუ არა სამშობლოში იბერიელი უფლისწულები.

## კეისრულ-პონტოური

პომპეუსი თავისი ძლევამოსილებისა და აღზევების მწვერვალზე იდგა, მაგრამ არც მას შერჩა ბოლომდე უთვალავ ადამიანთა სისხლი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის გაიუს იულიუს კეისარი. უდიდესი გენია ძველი სამყაროისა. კეისარმა დაიპყრო მთელი ცენტრალური ევროპა, გალია (საფრანგეთი), გერმანია და ბრიტანია. მერე რომს დაბრუნდა და ერთის დაკვრით დალეწა პომპეუსის „პრინციპატი“ — პირველკაცობა; რომიდან გააქცია, საბერძნეთში გაანადგურა და ეგვიპტეში სავსებით დაასამარა. აქვე კეისარმა ლეგენდადქცეულ ცხელსხეულიან კლეოპატრასთან ტრფიალებაში გადაწყვიტა უძველესი და უბრწყინვალესი ეგვიპტის ბედი. ეგვიპტის ტახტგვირგვინი პტოლემაიოს XII-ს წაართვა და კლეოპატრას აჩუქა უტკბილესი ალერსისათვის.

და უცებ კეისარსაც დასჭირდა მახვილის წარმართვა აღმოსავლეთისკენ.

თხუთმეტი წელი გასულიყო მითრიდატე დიდის დაღუპვიდან, და აღმოსავლეთში ისევ წამოშლილიყვნენ პონტოელ გმირთა აჩრდილები.

ბოსფორის მმართველი ფარნაკე, რომელმაც პირადი პატივმოყვარეობისათვის მშობელი მამა საფლავის კარამდე მიიყვანა, უკმაყოფილო დარჩენილა, რადგან პომპეუსმა მას სამმართველოდ მხოლოდ ბოსფორი მისცა, ხოლო პონტო რომის პროვინციად გამოაცხადა. ფარნაკე უცდიდა დროს, სამაგიერო მიეზღო რომაელთა უმადურობისათვის. ასეთ ხელსაყრელ დროდ მან მიიჩნია პომპეუსსა და კეისარს შორის ატეხილი ომები.

ფარნაკე ჯერ თავს დაესხა და აიღო ფანაგორია, რომელსაც რომაელებისაგან ავტონომია ჰქონდა მინიჭებული. მალე ამის შემდეგ იგი ძლიერი არმიითა და ფლოტით მიადგა პონტოს და თავისი მამის სამემკვიდრეო სამეფოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მაშინ მესხეთის მიწაზე უბრწყინვალესი საღვთო ქალაქი იყო ლევკოთეა, უმდიდრესი და უმშვენიერესი ტაძრით. ფარნაკე მესხეთში შეიჭრა, ლევკოთეა გაძარცვა და დიდძალი სიმდიდრით დატვირთული დაბრუნდა პონტოში.

იბერიის მაშინდელმა ხელმწიფემ, მეშვიდე ფარნავაზიანმა, ბარტომმა (ანუ ფარნავაზ მეორემ) ხელი ვერ შეუშალა მესხეთის აოხრებას.

სანამ კეისარი პომპეუსს ეგვიპტისაკენ მიერეკებოდა, მერე ეგვიპტის საქმეებსაც „აწესრიგებდა“, ფარნაკემ ხელთ იგდო მცირე სომხეთიც და კაპადოკიაც. ამან გამოიწვია ომი აზიაში მდგარ რომაულ ლეგიონებთან, რომელთაც სათავეში ედგა გამოცდილი სარდალი დომიციუს კალვინუსი.

ბრძოლა რომაელებსა და პონტოელებს შორის მოჯდა ნიკოპოლისთან, სადაც თვრამეტი წლის წინ მითრიდატე ევპატორმა რომაელებთან უკანასკნელი საბედისწერო ბრძოლა გადაიხადა. ამჯერად პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. დომიციუსის ოთხი ლეგიონიდან სამი სავსებით გაიჟლიტა, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ფარნაკემ თითქოს განიმტკიცა პონტოს ტახტი. მას მამისეული სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ჭკუითა და შორსმხედველობით სრულებითაც არ ჰგავდა მითრიდატეს. იგი ასეთი გამარჯვების შემდგომ სრულ უდარდელობას მიეცა. არ ფიქრობდა, რომ რომაელები არაფერს დაზოგავდნენ, თავბედი ეწყევლინებინათ გუშინდელი მარცხისა და შერცხვენისათვის. არ ფიქრობდა, რომ საჭირო იყო მზადება რომაელთა სარევანშო გამოსვლის უვნებელსაყოფად. ამის ნაცვლად ის ყოყოჩობდა და იკვეხნიდა, მამის მემკვიდრეობა დავიბრუნე და მამაჩემზე უფრო ძლიერი და სახელმოხვეჭილი ხელმწიფე შევიქენიო. გასაოცარ სისასტიკესა და მესისხლეობას იჩენდა. სისასტიკის ამ საუკუნეში ყველა გაოცებული იყო მისი განუზომელი გულქვაობით. ფარნაკე განსაკუთრებით ვერ იტანდა ლამაზ მამაკაცებს და მათი წამება-დამცირებით უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა.

კეისარმა ის იყო ეგვიპტის გართულებული საქმენი განასრულა, რომ შეიტყო ფარნაკეს გამოსვლა აზიაში. იგი ჩვეული სისწრაფით, მხოლოდ ერთი ლეგიონის თანხლებით, პონტოში გაჩნდა. აქ მან მიიღო კიდევ სამი ლეგიონი აზიელ მმართველთაგან.

ფარნაკემ კეისართან დაზავება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაინც მხნედ შეხვდა მტერს მითრიდატეს ძე. ოცდაორი ბრძოლა მომიგია და ეს ერთი კეისარი რა იქნება, რომ ისიც არ გავაცამტვეროო, იკვეხნიდა იგი.

ბრძოლა მოხდა 47 წლის 2 აგვისტოს. შეტევა პონტოელებმა დაიწყეს.

კეისარი ცხენს მოახტა და შესძახა:

„ნუთუ ეს ბოროტი მკვლელი მამისა დაუყოვნებლივ არ უნდა დაისაჯოს?“

ეს სთქვა, ნიშანი მისცა და რომაული ლეგიონები ზვავივით ეძგერნენ მოწინააღმდეგეს. ორივე მხარე დიდის თავგანწირვითა და მხნეობით იბრძოდა. ბოლოს, ხუთი საათის სისხლისღვრის შემდგომ, კეისარმა გასტეხა მტერი, ფარნაკეს არმია განადგურდა. თვითონ მეფემ ძლივს გაასწრო ბრძოლის ველიდან.

პონტო მიატოვა და ბოსფორს დაბრუნდა, მაგრამ იქ მისგანვე დატოვებულმა ასანდრემ უარი უთხრა ტახტის დაბრუნებაზე.

ბრძოლაც შედგა.

ფარნაკე ბრძოლაში დაეცა.

უთვალავ ბრძოლებში ნაწრთობი კეისარი კი ფარნაკეს განადგურებითა და პონტოს ხელახალი დამორჩილებით აღტაცებული იყო; განსაკუთრებით იმის გამო, რომ მან ასე ერთბაშად და „ერთი შებერვით“ დაიმორჩილა რომაელთათვის მუდამ შიშისმომგვრელი პონტო. სწორედ ასეთი მოულოდნელობის, სისწრაფისა და აღტაცების გამომხატველი იყო ის სამი სიტყვა, რომელიც კეისარმა სწორედ ფარნაკეს დამარცხებასთან დაკავშირებით მისწერა რომს:

„ვენი, ვიდი, ვიცი“ (მიველ, ვნახე, დავამარცხე).

კეისარმა პონტო ისევ რომის პროვინციად გამოაცხადა და იტალიაში დაბრუნდა.

პონტოს ცის თაღზე სამუდამოდ ჩამობნელდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# უქარქაშო ხმლები

ლევან სანიკიძე



გაიუს იულიუს კეისარი

ქართულ ხმალს, მისი პატრონის მარად დაუსვენარი ცხოვრებით აღძრულსა და გაშიშვლებულს, საუკუნეების მანძილზე დავიწყებული ჰქონდა ქარქაში. სწორედ ქარქაშდავიწყებული ხმლის საარაკო სიქველემ დაიხსნა, დაიფარა და ააღზევა სიუხვე ქართული გუთნისა, სიწმინდე ოჯახური კერისა, სიბრძნე კალმისა, სიმშვენიერე ჟალმისა, სიმტკიცე საჭრეთელისა, სიმკვრივე მკლავისა, სინათლე გონებისა. ერთი სიტყვით, ათასეულობით წელთა სარბიელზე ქართული ხმალი იდგა შეურცხვენლად ქართველი ხალხის მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის სადარაჯოზე.

უქარქაშო ქართულმა ხმალმა იხსნა და მოიტანა დღემდე ,,ორივე ბუნება“ ქართველი კაცისა: ,,ბუნებით კაცობრივი“ და ,,ბუნება საღმრთოი“ (იოანე დამასკელი).

ლევან სანიკიძე.

«უქარქაშო ხმლების» წინაბჭიდან. *26 მაისი 1974*

---

*22-ე გვერდიდან*

●

ქეთო ნადარეიშვილი თბილისს მძიმედ დაავადებული ფეხით ჩამოვიდა. „აუცილებელია ოპერაცია, - უთხრეს ექიმებმა. - სიარულს შეძლებ, ცეკვას კი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვო“... მაგრამ... როგორ?.. რანაირად უნდა იცოცხლოს უბალეტოდ?.. მადლობა ღმერთს, შემთხვევა დაეხმარა: ბოტანიკურ ბაღში სეირნობისას კოჭლი, ხელჯოხიანი თათარი - ექიმბაში ალიბეგა გაიცნო, რომელმაც დააიმედა, მაგ ფეხს უოპერაციოდ მოგირჩენო. ერთი თვის განმავლობაში მკურნალობდა ათასგვარი ბალახითა თუ მალამოთი და... მოხდა სასწაული - ქეთო განიკურნა და ბალეტს დაუბრუნდა!..

საბალეტო დასში ჩარიცხეს სოლისტად. სპექტაკლის შემდეგ მაღაზიაში შევარდა, კონიაკი, მოკოლადი და სხვა ხორაგი იყიდა და თავის მხსნელს მიაშურა.

- ვინ გინდა, ქალიშვილო? - ჰკითხა ეზოში შესულს მოხუცმა ქალმა.

- ექიმბაშ ალიბეგის ნახვა მინდა, - ღიმილით აუხსნა ქეთომ.

- ალიბეგა არ არი, - სახე მოექუფრა ქალს.

- არა? - გაუკვირდა ბალერინას. - როდის მოვა?

- აღარ მოვა, - თქვა მოხუცმა. - ორი დღის წინ, შუაღამისას წაიყვანეს. - და ჩურჩულით ურჩია: - წადი და აღარასოდეს მოხვიდე აქ... სამუდამოდ დაივიწყე ეს ეზო...

●

- ეს რა არის? - ქაღალდის ფურცელს დახედა გოგლიძემ.

- ვერა ხედავ, რაც არის? - უთხრა ქობულოვმა. - დაპატიმრების ორდერია.

წოდებასა და თანამდებობაში განსხვავების მიუხედავად, ბახჩოს სახალხო კომისართან ძმაკაცური დამოკიდებულება ჰქონდა.

- ორდერი რომაა - ვხედავ... - თავი დააქნია გოგლიძემ. - მაგრამ... რა ვქნა, მიჭირს, მესიკვდილება ამის ხელმოწერა...

- როგორც გინდა... - ჩაიბურტყუნა ბახჩომ.

ორდერი №1304, რომელსაც ხელს აწერდა მე-4 განყოფილების გამგე, უშიშროების მაიორი ბოგდან ქობულოვი, უშიშროების ლეიტენანტ ნაცვლიშვილს მწერალ მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის დაპატიმრებასა და მისი ბინის გაჩხრეკას ავალებდა. ახლა სახალხო კომისარს უნდა მოეწერა ხელი.

- სად არის ამჟამად ჯავახიშვილი? - იკითხა გოგლიძემ.

- თავის აგარაკზეა - ქვიშხეთში.

გოგლიძემ ამოიოხრა და გაკვრით მოაწერა ხელი ორდერს.

1937 წლის 13 აგვისტოს დილა იდგა...

●

საოცარი, განუმეორებელი, რაღაცნაირად გამჭვირვალე იყო ის უკანასკნელი ღამე. მამა-შვილი - მიხეილი და ქეთო - მხარდამხარ ისხდნენ გრძელ სკამზე ბაღში, სახლის წინ, და უყურებდნენ, როგორ სწყდებოდნენ ცას ვარსკვლავები. იშვიათად თუ ეტყოდნენ ერთმანეთს ორიოდ სიტყვას, უმეტესად კი დუმდნენ. ან კი რაზე ესაუბრათ?.. იმაზე ხომ არა, რომ ყოველდღიურად - სწორედ ისე, აგერ ის მეტეორი რომ დაიწვა და უკვალოდ გაქრა ატმოსფეროში - ზედიზედ ქრებიან თვალსაწიერიდან ადამიანები - მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები... ქრებიან უკვალოდ, თითქოსდა, არც არასოდეს არსებულან ამ ცოდვილ დედამიწაზე...

უკანასკნელი ღამე... ნეტავ, ის ხომ არ იყო მათი ბედის ვარსკვლავი, წამის წინ რომ გაიელვა და ჩაქრა?..

ღმერთო, ნუ გაათენებ იმ ღამეს, ღმერთო...

ნაშუაღამევს ქეთევანს ძილი მოერია, მამას აკოცა და თავის ოთახში შევიდა. მაგრამ ვერა და ვერ მოხუჭა თვალი, საბოლოოდ გაუტყდა ძილი. მერე მოესმა, როგორ შემოვიდა სახლში მამა, დაინახა, როგორ აანთო შუქი გვერდით ოთახში. ღამით უყვარდა მიხეილ ჯავახიშვილს მუშაობა.

ალიონზე წასთვლიმა ქეთოს... მძიმე, ნალით დაჭედილი ჩექმების ბრაგუნმა გამოაფხიზლა: ვიღაცები ამოდიოდნენ აივნის კიბეზე...

ქვიშხეთში 1937 წლის 14 აგვისტოს დილა დგებოდა...

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ № 14-17, 22-23*

საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურამ ბევრი დაკარგა, როდესაც ბ-მა შოთა გორგოძემ თავისი ნიჭის გამოყენების ასპარეზად საპოლიციო საქმე აირჩია, ხოლო ბ-მა ჯუმბერ პატიაშვილმა — პოლიტიკა. ვერც ერთ, ვერც მეორე ხელობაში მათ დიდება ვერ მოიხვეჭეს, არადა, ხელში კალამი რომ აეღოთ, სიტყვაკაზმული მწერლობა, უეჭველია, ფრიად თვითმყოფად მეზღაპრეებსა და არასამეცნიერო ფანტასტებს შეიძენდა. ჟიულ ვერნი შურით დაიხრჩობოდა. ჰანს ქრისტიან ანდერსენი პროფესიას შეიცვლიდა და მეწაღეობას დაიწყებდა. „ათას ერთი ღამის“ შემთხვევები კი თავიდან ჩალმებს მოიგლეჯდნენ და სიმწრისაგან ფეხებით გათელავდნენ.

საყვედურად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ორივე ავტორის მიდრეკილება თემატიკის ერთგვარი შეზღუდულობისაკენ აშკარაა. ეს, რა თქმა უნდა, ლიტერატურული გემოვნების საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ისინი თავდავიწყებით და ჯიუტად ამუშავებენ ერთსა და იმავე სიუჟეტს — პატიმარი სოლიკო ხაბეიშვილის (და არა მხოლოდ მისი) დაუჯდომელ გადაფრენას ციხის საკნიდან „ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ“ მოსკოვში. ოღონდ, დეტალებში ჩაუღრმავებლად. როგორ? რანაირად? მფრინავი ხალიჩით? საჰაერო ბურთით? მიუნჰაუზენივით ზარბაზნიდან გასროლით? ან, იქნებ, ელემენტარულად, ციხის კანცელარიიდან შეკვეთილი ბილეთით: „ერთი ადგილი, გეთაყვა. სასურველია მეორე სალონში, იქ ნაკლები რყევაა. არა, არა, დილის ექვსი საათი ძალიან ადრეა. არ მინდა, ციხის „ბალანდა“ გამოვტოვო.“

ისიც საინტერესოა, ციხის კაცთმოყვარე ადმინისტრაციის დახმარებით ხომ არ ხდებოდა ეს ვოიაჟები? თუ საქმეში ჟანრის უკვდავი გმირები — სინდბად მეზღვაური, კალის მამაცი ჯარისკაცი და კაპიტანი გრანტის შვილები ჩაერივნენ?

მაგრამ ამ ისტორიებში ყველაზე გულისამაჩუყებელი და პიკანტური ის არის, რომ გორკის ქუჩაზე სეირნობით გულის მოჯერების, რესტორან „არაგვში“ მსუყე სადილისა და ლენინის მავზოლეუმის მონახულების შემდეგ პატიმრები ნიადაგ თავიანთ „ალმა მატერში“ ბრუნდებოდნენ. ტუკ-ტუკ. ვინ არის? ეს მე ვარ, პატიმარი ესა და ეს, ნომერი, მუხლი, ვადა. აა, შემობრძანდი, გენაცვალე, ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. ყოჩაღ, რომ საღამოს შემოწმებაზე არ დაიგვიანე.

არა. სოლიკო ხაბეიშვილი საღამოს შემოწმებაზე არ აგვიანებდა. არც დილისაზე. ის პუნქტუალური ადამიანი იყო და ციხის პურის ულუფასაც, მიუხედავად მოსკოვური უხვი სუფრებისა, უფრთხილდებოდა. სხვა პატიმარი-მოგზაურებიც (მათზე შემდგომში ვისაუბრებთ) შესაბამისად იქცეოდნენ. მოკლედ, ყველაფერი ო'ქეი იყო. გულის გადაყოლება გინდა? ბატონი ბრძანდები. გაემგზავრე, გაისეირნე, თვალს წყალი დაალევინე. და დაბრუნდი. სტუმრად კარგია, მაგრამ სახლში უკეთესია.

რა თქმა უნდა, ჩვენს ორივე ტიტულოვან მეზღაპრეს არც კი შეუმჩნევია, რომ საყვარელი ჟანრის ლაბირინთებში თვითონვე გაიხლართნენ — მინისტრიც, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილები გამვლელ მგზავრთა სასტუმროებად ჰქონდა გადაქცეული; და პირველი მდივანიც, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რესპუბლიკა ორგასასვლელიან ეზოს ჰგავდა. მაგრამ ბელეტრისტიკას თავისი კანონები აქვს. და ფანტაზიის გაქანება დაუოკებელია.

ასეა თუ ისე, პატიაშვილიც და გორგოძეც ერთხმად ამტკიცებენ, რომ ხაბეიშვილი პატიმრობის პერიოდში ორჯერ ჩავიდა მოსკოვში. ჯუმბერ ილიჩი კი, ამასთან, აზუსტებს, რომ ამ ვოიაჟების დროს პატიმარი-მოგზაური სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა და „რაზე საუბრობდნენ ისინი, ცხადია“, ანუ — ჯუმბერ ილიჩის წინააღმდეგ ხრიკებს აწყობდნენ და „მექრთამის“ განსაცდელიდან დახსნას ცდილობდნენ. ოღონდ საკავშირო მინისტრმა ოდნავაც ვერ შეძლო თავისი პროტეჟეს ხვედრის შემსუბუქება.

კიდევ კარგი, რეალობის გრძნობას ჩვენი ავტორებისთვის ბოლომდე არ უღალატია. ხაბეიშვილმა მართლაც ჩააღწია მოსკოვში ჩვენ მიერ უკვე აღწერილ გუდაურის ღამეს. მაგრამ ეს, ბუნებრივია, მის დაპატიმრებამდე მოხდა. და აქ თავს უფლებას მივცემ და საკავშირო მინისტრის მიმართ ყოველგვარ ეჭვს გავაქარწყლებ. მასთან შეხვედრის სურვილი მომავალ პატიმარს, რაღა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ შესაძლებლობა არ მიეცა. მან ორჯერ დარეკა სმოლნის მოედანზე „მაღალ“ კაბინეტში. პირველად თანაშემწეს — თეიმურაზ სტეპანოვს ესაუბრა. შეფი საშინლად იყო დაკავებული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თანამშრომლობის, ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, სახალხო დიპლომატიის და ახალი აზროვნების გლობალური პრობლემებით. მეორედ ყოვლისშემძლე მინისტრმა მაინც ინება ყურმილის აღება. მან მოისმინა ეგერების მიერ საბოლოოდ მიმწყვდეული „ბიზონის“ გოდება და აღუთქვა, გაერკვია, „როდის ჩაერთვებიან საქმეში იურისტები.“

ამის შემდეგ ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა.

შესაძლოა, მინისტრს ინფორმაცია არ მიაწოდეს, ან იქნებ, უბრალოდ, დაავიწყდა, რომ იურისტები დიდი ხანია ჩაერთვნენ „საქმეში“. ჯერ კიდევ მისი პროკონსულობის დროს. და, ღვაწლს ნუ დავუკარგავთ, ამ „საქმეზე“ გვარიანად იჯადოქრეს.

დაპატიმრებამდე საათებიღა რჩებოდა.

კიდევ ერთი შეტევა. და სოლიკო ხაბეიშვილი პროფესორ ბურაკოვსკის კლინიკაში ხვდება.

სწორედ იქ მიაკითხავენ თბილისიდან საგანგებოდ მივლინებული ახალგაზრდები. თავაზიანად მოიბოდიშებენ. მხრებზე თეთრ ხალათებს მოისხამენ და ავადმყოფის პალატაში შევლენ. განსაკუთრებული არაფერი. რაღაც დეტალებია დასაზუსტებელი...

1985 წლის 5 დეკემბრის სუსხიანი, მაგრამ მოწმენდილი დილა იდგა. ამინდი საფრენი იყო.

## გიორგი ბეჟირგანი




**არც გასაკვირია, არც სასოწარმკვეთი, დროა ამ უცნაურ ამბების დამკვეთი.**

*სოლიკო ხაბეიშვილი, „ციხის დღიურიდან“, 1988 წელი*

●

გუდაურისღამინდელი ჩემი შიში, საბედნიეროდ, არ გამართლდა. მაგრამ მას უსაფუძვლოს ვერ უწოდებ. მომავალი პროცესისათვის მზადება სრული სვლით მიმდინარეობდა. და ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ბიზონი“ მაღალი ტრიბუნებიდან სიტყვით გამოდიოდა და თავის ვრცელ კაბინეტში სხდომებს ატარებდა, საგულდაგულოდ, სკრუპულოზურად ხდებოდა მომავალი „თანამზრახველების“ და „ბრალდების მოწმეთა“ კანდიდატურების შერჩევა. ეს „ეჟოვშჩინის“ საუკეთესო ტრადიციების დაცვით კეთდებოდა. ჯერ „ექვსიანებს“ მოიგდებდნენ ხელთ, „ტუზის“ მახეში გაბმა კი ამის შემდეგ უბრალო ჩეკისტური ტექნიკის საქმე იყო. ვშიშობ, წინასწარ სიაში ჩემი მოკრძალებული გვარიც ირიცხებოდა. ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა ხნის განმავლობაში ჩემს ბინაზე ორი უცნაური და სრულიად აუხსნელი „თავდასხმა“ მოხდა. პირველად უცნობი მომხდურები რაღაცას გულდასმით ეძებდნენ, მაგრამ არაფერი წაუღიათ. მეორედ კი მაინც გაექცათ ხელი „მწვავედეფიციტურ საქონელზე“, რომელიც დახურულ გამანაწილებელში ტალონებით შევიძინე, წაიღეს ლითონის მონეტების კოლექცია, რომელსაც ჩემი გოგონა აგროვებდა და... უცხოური სანთებელა.

ჩემი გამოძახების პასუხად გამოცხადებულმა სისხლის სამართლის სამძებროს მამაცმა ოპერრწმუნებულმა პირმოთნედ მომისმინა, იქვე გამოაცხო შესაბამისი ოქმი, თქვა, რომ ხვდება, რომელი „ბანდა“ მოქმედებდა და შემომფიცა, დღეს თუ არა, ხვალ „ბოროტმოქმედებს“ დავიჭერო. ამის შემდეგ მან თავისი კოორდინატები დამიტოვა, მთხოვა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს დამერეკა და დამემშვიდობა.

მაგრამ არც ხვალ, არც ზეგ, არც ერთი კვირის და არც ერთი თვის შემდეგ მამაცი ოპერი აღარ შემხმიანებია. თითქოს მიწამ ჩაყლაპა. მისი ბინის ტელეფონი ჯიუტად დუმდა. მილიციის რაიგანყოფილებაში კი მიხსნიდნენ, რომ მავანი მათთან დიდი ხანია აღარ მუშაობს. და რომ არავითარი ძარცვის შესახებ არაფერი სმენიათ. მოკლედ, სრულიად გასაგები გახდა, რა „ბანდა“ მუშაობდა ჩემს ბინაში. მითუმეტეს, რომ ანალოგიური „ვიზიტით“ ჩემს კიდევ ერთ კოლეგას ეახლნენ.

დიდი მადლობა „ბანდიტებს“, რომ არაფერი შემომიგდეს.

●

მომავალ სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლი „ხაბეიშვილის მოლარისთვის“ იყო განკუთვნილი. შერჩევა, ვიმეორებ, საგულდაგულოდ ხდებოდა. როგორც „მოსფილმის“ გადასაღებ მოედნებზე, ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის აწონ-დაწონის შემდეგ, დამდგმელებმა ამ როლზე ზურაბ მაისურაძე დაამტკიცეს. იდეალური კანდიდატურა იყო, ვერაფერს იტყვი, ჩეკისტები ალალად და დაუყვედრებლად მიირთმევდნენ თეთრ პურს შავი ხიზილალით. მაისურაძე ხაბეიშვილთან ჯერ კიდევ ქუთაისში მუშაობდა, ანუ უკვე მაშინ იყო მისი „მოლარე“ და ფულის ჩემოდნებში ჩატკეპნაში ეხმარებოდა. თბილისში ხომ — თავისთავად. ჯაჭვში ობოდოვსკი — დარსალია — უბირია — ? — ხაბეიშვილი, ბოლოს და ბოლოს, ნაკლული რგოლიც ჩაჯდა.

ზურაბი თბილისთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში აიყვანეს, სადაც ის პანაშვიდზე ჩავიდა. მგლოვიარე სახლს მილიციელთა მჭიდრო რკალი შემოერტყა. „დამნაშავეს“, საბედნიეროდ, ცეცხლი არ გაუხსნია. თანაც, როგორც შემდეგ გაირკვა, შეიარაღებულიც არ ყოფილა. და ნახევარიოდე საათის შემდეგ იგი თვით პოლკოვნიკი ჯაფარიძის მაღალი მზერის წინაშე წარდგა.

პოლკოვნიკი ორიგინალური არ აღმოჩნდა და თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა იაფფასიანი დეტექტივიდან ამოკითხული მორიგი ფრაზა:

— თამაში დამთავრებულია. როგორც იტყვიან, ჩამოვედით. ჩვენ დიდი ხანია, აქ გელოდებით.

„ჩვენ“-ში შეჯგუფულ ზორბა ვაჟბატონებს გულისხმობდა, რომლებსაც დაკავებულთან „პირდაპირ კონტაქტში“ შესასვლელად აშკარად ხელები ექავებოდათ.

გარბოდა წუთები, მიიზლაზნებოდა საათები. კაბინეტის გისოსიანი ფანჯრების მიღმა ზაფხულის მოკლე ღამე ინავლებოდა. მაისურაძე ჩოგბურთის ბურთივით აწყდებოდა აქეთ-იქით ღამეულ „თანამოსაუბრეებს“ შორის.

— უარს აზრი არ აქვს, — შთააგონებდნენ მას, — თქვენმა ცოლმა დიდი ხანია ყველაფერი აღიარა.

მეზობელ კაბინეტში ამავე ტექნოლოგიის გამოყენებით ქალს „ამუშავებდნენ“.

— ყველაფერი ვიცით. მაგრამ გვინდა, შანსი მოგცეთ. გულწრფელი აღიარება...

და ასე შემდეგ.

ჯიუტი პატიმარი პირქუშად დუმდა.

მაშინ კაბინეტის პატრონმა მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა:

— ჩვენთვის ცნობილია, — თქვა მან, — რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში სისხლის სამართლებრივ-პოლიტიკური ბანდა მოქმედებს. თქვენთან ერთად ჩვენ მისი კიდევ რამდენიმე წევრი ავიყვანეთ. მათმა უმრავლესობამ საქებარი კეთილგონიერება გამოიჩინა და ისინი უკვე თავიანთ სახლებში არიან. თქვენი ცოლი დაბეჯითებით გთხოვთ, იგივე გააკეთოთ. მან ყველაფერი აღიარა და თქვენ მალე იხილავთ მისი ხელით დაწერილ ჩვენებებს. ნუ დაღუპავთ ოჯახს, საკუთარ თავს და შვილებს. თქვენ ხომ სამი პატარა შვილი გყავთ. ყველაფერი გულწრფელად გვიამბეთ. ჩვენ თქვენი მტრები არა ვართ. აბა, გაბედეთ, დაასახელეთ ბანდის მეთაური. მისი გვარი ასო „ხ“-თი იწყება, ხომ ასეა?

ცნობილია, რომ ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. ობიექტურები ვიყოთ — ჟანდარმებიც, ადამიანებს ვერ ვიტყვი, მაგრამ ცოცხალი არსებები არიან. მათ ჩვენსავით მხურვალე გულები, ჩვენგან განსხვავებით, ცივი გონება აქვთ და თავიანთ სუფთა ხელებს ხანდახან საქმეშიც იყენებენ. მოკლედ, გამომძიებლებმა ეჭვმიტანილის დახმარება გადაწყვიტეს. ოფიციალური და ცივი „თქვენ“ ინტიმურმა „შენ“ შეცვალა, შეგონებები კი — სახეში შეფურთხებამ, ალიყურმა და ქიმუნჯებმა.

„პირდაპირი კონტაქტი“ საღამოს 9 საათამდე გაგრძელდა. მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ამაოდ. შეპყრობის ჯგუფმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესაშური ოპერატიულობა და განსაკუთრებული სიმამაცე გამოამჟღავნა. მოკვლევის ჯგუფმა მთელი დღე-ღამე შეუსვენებლად და უშედეგოდ იმუშავა.

და უცებ... სასწაული ხდება. დაკავებულს ბოდიშს უხდიან, ტანსაცმელს ფურთხისაგან უწმენდენ, მხარზე ხელს უტყაპუნებენ, გაუგებრობა მოხდა, ვის არ დამართიაო.

და შინ მიჰყავთ.

ეს ერთ-ერთმა ეგზეკუტორმა ითავა, მილიციის უფროსმა ოფიცერმა — ორი ზოლი, ორი ვარსკვლავი. თანაც საკუთარი ავტომანქანით.

სახლში ზურაბს ერთი საათის წინ სხვა ოფიცრის მიერ მიყვანილი ცოლი ელოდებოდა, რომელსაც, ცხადია, არავითარი „გულწრფელი“ აღიარებისთვის ხელი არ მოუწერია.

აი ასე. კიდევ იტყვიან, ამქვეყნად სამართალი არ არსებობსო.

და მაინც, როგორ ფიქრობთ, რით აიხსნებოდა ეს სასწაული?

ყველაფერი ძალზე მარტივია. რესპუბლიკის პროკურორმა ანზორ ბარაბაძემ დაპატიმრებაზე სანქცია არ გასცა, რადგან თავისი მილიციელი კოლეგების დასაბუთება ხელოვნურად და არადამაჯერებლად მიიჩნია. სანქციისა და დაკავებულის შესაბამისი აღიარების გარეშე კი, თავადაც გესმით, ბატონ მილიციელებს მასთან ურთიერთობის გაგრძელების უფლება არ ჰქონდათ. კანონი კანონია.

მაგრამ პროკურორი, დაკავებული მაღალი პოსტის მიუხედავად, ჩვენსავით მოკვდავი ადამიანია. თანაც გულით ავადმყოფი. რა მოხდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ვთქვათ, ორი ან სამი თვის შემდეგ, კიდევ ერთხელ უღალატოს გულმა? მილიციის კორდონები კი მის სახლთან ყველა მისასვლელს გადაკეტავენ, რათა ექიმები ავადმყოფამდე არ მიუშვან. ხოლო პროკურორის მოადგილე თავისი უფროსის უეცარი სიკვდილის შესახებ ტელეფონით შეტყობინებას დაელოდება და, რადგან მართლმსაჯულების საკითხებში მასავით ფაქიზი არ არის, იქვე მოაწერს ხელს სანქციას.

რა იქნება მაშინ?

რა და, ზურაბ მაისურაძეს დიდი ხნით მოუწევს თავისუფლებასთან გამომშვიდობება. თუ სამუდამოდ არა. და მის სიცოცხლეს გახვრეტილი გროშის ფასი დაედება.

მაგრამ... ამის შესახებ თხრობას კიდევ დავუბრუნდებით. მანამდე კი...

●

— განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, რაღაც დეტალებია დასაზუსტებელი. სულ რაღაც ნახევარი საათით მივალთ გენპროკურატურაში, იქ გამომძიებელი უკვე გელოდებათ, და მყისვე უკან მოგიყვანთ, — ეუბნებიან თავაზიანი ახალგაზრდები ბურაკოვსკის კლინიკის პაციენტს.

მაგრამ სადარბაზოსთან მომლოდინე მანქანა ძრავის ღრიალით წყდება ადგილს და რატომღაც საშინელი სისწრაფით მიექანება ვნუკოვოს აეროპორტისკენ.

„მოსკოვი-თბილისის“ რეისის თვითმფრინავის სალონში გასასვლელთან მყუდროდ მოკალათებულა სამი მგზავრი. შუაში მჯდომს სახე მიცვალებულივით გაფითრებია.

„რა მოგივიდათ, ცუდად ხართ?“ — იხრება მისკენ ბორტგამცილებელი.

„არა, არა, ყველაფერი რიგზეა,“ — მწყობრად და მხიარულად აძლევენ პასუხს მის ნაცვლად ახალგაზრდები.

გაივლის სულ რაღაც ორი საათი და მათი თანამგზავრის ზურგს უკან ყრუდ მიიხურება „კაგებეს“ საგამოძიებო იზოლატორის მე- 18 საკნის რკინის კარი; საკნისა, რომელსაც ხალხში „ცეკას ჯავშანს“ ეძახიან.

**სვად იყო გუშინ**

შემდეგ ნომერში:
**„Cherchez la femme“**

# www.carbycar.com

პარტნიორი www.gezi.us



## "Barami UAS" და „შპს ბარამი“

- ავტომობილების შეძენა სადილერო აუქციონებზე
- ტრანსპორტირება აშშ-ს ტერიტორიაზე
- ტრანსპორტირება ფოთის პორტამდე, თბილისამდე
- ავტონაწილების შეკვეთა
- ამერიკული მართვის მოწმობის აღება
- ავტომობილის დაზღვევის შეძენა
- ავტომობილის რეგისტრაცია. **ტელ: 1 201 333 72 27**

---

თქვენ შეიტყობთ ავტომობილის სრულ ისტორიას:

## CarFax
## მხოლოდ 20 ლარად

რამდენი მფლობელი ჰყავდა
მოხვედრილა თუ არა ავარიაში,
წყალდიდობაში, ხანძარში,
რეალურ გარბენს, არის თუ არა მოპარული

**აშშ: 1 (201) 333 55 55**

**თბილისი: (995) 32 95 26 09**

**ბათუმი (995) 99 49 19 92**

## ავტომობილები განვადებით

ჩვენთან ეს მარტივია — შემოდიხართ ოფისში
და ჩვენთანვე გაფორმებთ ყველა საბუთს

პარტნიორი www.gezi.us **www.carbycar.com**

# KAVCAS EXPRESS

## გადაზიდვები




- აშშ-დან საქართველოში კილოგრამი - $6.7
- საქართველოდან აშშ-ში კილოგრამი $8

ნებისმიერი დოკუმენტაციისა და მასალის თარგმნა და ნოტარიზირება



**მიულოცეთ ახლობლებს ჩვენი მეშვეობით**

ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, დღესასწაული...

აშშ: 1(201)333-2200
თბილისი: (995) 32 952-609
ბათუმი: (995) 99 491-992




www.gezi.us
www.carbycar.com



# ექსკურსიები ვაშინგტონში

– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4–კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტოკორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

**347-724-0770**












## მილოცვები




დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს მეგობარს **ხათუნა ცინცაძეს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას.

**მეგობრები**

## განცხადება

იყიდება ურეკში 2-სართულიანი სახლი 11 ოთახით, 800მ$^2$ ნაკვეთით, ზღვიდან 300 მ-ის მოშორებით, ე.წ. ივანიშვილის ზოლში. ტელ: (+995) 99 14-27-35 ან (+995) 34 15-34-31, ელზა

## სამძიმარი

მეგობრები თანაუგრძნობს ჯიმი შალამბერიძეს ბაბუის **ნოდარ ისაკაძის** გარდაცვალების გამო.

დავით და ლუდა შაქარაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნელი გელაშვილს **დედის** გარდაცვალების გამო

# ლეგენდარული
# ივერია
# ამერიკაში




**Millenium Theatre**

www.russianNY.com 347-528-0037; 718-615-1500; 347-451-9435.

**4 მარტს,**
შაბათს, 19.00 სთ.

**12 მარტს,**
კვირას, 14.00 სთ.




ერთადერთი ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში
მამული
რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE
ვერხვნის ჩამოწერა
თუ ფერწერქებული არ გეგონოთ, ჰა...
Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
ასავალ დასავალი
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21